ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი, 2009 №268 (5009) ფასი: 30 თეთრი

## მეორე არხი პოლიტიკურ არხად გადაიქცევა გვ.3



# რუსეთმა პანკისის ხეობაში ახალი პროვოკაცია ჩაიფიქრა

მოსკოვი ქართულ სპეცსამსახურებს ალ-ქაიდასთან კავშირში ადანაშაულებს



გვ.5

## საგზაო ნიშნებს ყურადღებას მძღოლების 25 პროცენტი აქცევს გვ.7

## „მიხეილ სააკაშვილმა ბოდიში მომიხადოს!“



გვ.2

## ჩეჩნეთისა და ინგუშეთის დამოუკიდებლობის აღიარება დანაშაულია

მოსკოვს ველი ვალდებულებების შესრულება უნდა მოვთხოვოთ!



გვ.4



გვ.6

## ოპოზიცია 7 ნოემბრისთვის ემზადება

ლევან გაჩეჩილა ის პოლიტიკური გეგმები ჯერ ისევ გაურკვეველია. კვლავ უცნობია, იყრის თუ არა კენჭს მერის პოსტზე, დაუპირისპირდება თუ არა ალასანიას.



## სააკაშვილი ტელევიზიებს რეგიონებშიც ეპოტინება გვ.5

## ოპოზიცია გაერთიანებას ისევ აპირებს გვ.2



## ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხი კონსტიტუციაში ახლებურად აისახება გვ.3

## საპროტესტო აქციებით ხელისუფლებას ვერ შევცვლით გვ.6



## ვაშინგტონი მოსკოვს არ გაალიზიანებს გვ.7



2 რუსეთში ქართული საიტები დაბლოკილია

3 „დემოკრატიული ფრონტის“ ჩამოყალიბების საკითხზე კონსულტაციები აქტიურად მიმდინარეობს

2 ავსტრიაში ქართველმა და ავღანელმა ლტოლვილებმა იჩხუბეს

3 საქართველოში ახალი ტიპის გრიპის ვირუსის კიდევ ერთი შემთხვევა გამოვლინდა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

## მენინგოკოქცემიით 3 წლის ბავშვი გარდაიცვალა

თბილისში მენინგოკოქცემიის ელვისებური ფორმით 3 წლის ბიჭუნა გარდაიცვალა. დაავადებული ბავშვი საგარეჯოდან თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში გადმოიყვანეს, სადაც ის 1 საათსა და 40 წუთში დაიღუპა.

როგორც „მედიანიუსს“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ეპიდზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ხათუნა ზახაშვილმა განუცხადა, ბავშვს დაავადების მძიმე ფორმა აღმოაჩნდა. მისივე თქმით, მიმდინარე წელს საქართველოში მენინგოკოქცემიის უკვე ოცდახუთი შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც ცხრა ლეტალური შედეგით დასრულდა. 3 წლის ბიჭუნა მენინგოკოქცემიის მეცხრე მსხვერპლია.

მედიკოსების განმარტებით, ეს დაავადება ბაქტერიული წარმოშობისაა და ადამიანს მეორე ადამიანისგან ჰაერ-წვეთოვანი გზით გადაეცემა. ბევრი სხვა დაავადების მსგავსად, მისი პირველი სიპტომებია: სხეულის ტემპერატურის მატება, საერთო სისუსტე, ცხვირ-ტუჩის არის ციანოზი, სუნთქვის გაძნელება, უმადობა. ამ სიპტომების გამოვლენისთანავე პაციენტმა ექიმს დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს.

**მედიანიუსი**

## 15 მოსამართლეს უფლებამოსილება ათი წლით გაუხანგრძლივდა



თბილისის საქალაქო, რაიონული და სააპელაციო სასამართლოების 15 მოსამართლეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, უფლებამოსილება კიდევ 10 წლით გაუხანგრძლივდათ.

გუშინ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები ახლად დანიშნულ მოსამართლეებს შეხვდნენ. თხუთმეტივე მოსამართლემ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამოცხადებული კონკურის წარმატებით გაიარა. იმის გამო, რომ თხუთმეტივე კანდიდატი უკვე მუშაობდა მოსამართლედ, მათ არც იუსტიციის უმაღლესი სკოლის სავალდებულო სკოლის გავლა და არც სავალდებულო ფიცის დადება მოუწევთ.

— სასამართლო რეფორმის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია, როგორც ახალი კადრების პროფესიულად მომზადება და მათი დანიშვნა, ასევე გამოცდილი გუნდის შენარჩუნება, — განაცხადა შეხვედრაზე კონსტანტინე კუბლაშვილმა.

ცნობისათვის: მოზადებულია კანონპროექტი, რომელიც მოსამართლის უვადო დანიშვნას ითვალისწინებს. კანონპროექტის თანახმად, მოსამართლეები უვადოდ, ანუ საპენსიო ასაკის მიღწევამდე დაინიშნებიან. კანონპროექტის მიღება საკონსტიტუციის ცვლილებას მოითხოვს და მისი მიღება სავარაუდოდ, 2010 წლისთვის არის დაგეგმილი.

**მედიანიუსი**

# „მიხეილ სააკაშვილმა ბოდიში მოგვიხადოს!“

*შორენა კოწოწაშვილი*

**ლეიბორისტული პარტია ამერიკის ახალ ადმინისტრაციას წინა ადმინისტრაციის საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციას უგზავნის და იმედს იტოვებს, რომ ობამას ადმინისტრაცია დაინტერესდება და მსჯელობას მისცემს იმ მასალებს, რომლებიც თეთრ სახლში უკვე გაიგზავნა.**

როგორც ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამერიკის ახალი ადმინისტრაციისთვის, რომელიც ბუშის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრეა, საინტერესო უნდა იყოს ის ინფორმაცია, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიიდან მიიღო ფერად რევოლუციებთან და ამერიკელ მაღალჩინოსნებთან დაკავშირებით.

— მთელი კაცობრიობის სიმპათიებს იწვევს პრეზიდენტ ობამასა და მისი ადმინისტრაციის კურსი ბუშის დანატოვარი გეოპოლიტიკური ნაღმების გასანეიტრალებლად. როგორც ცნობილია, ამ ფორმატით გუანტანამოს ციხეში სპეციალური პროკურორიც კი დაინიშნა, მაგრამ ის ვნება, რაც ვარდების იმპორტირებულმა რევოლუციამ ჩვენს სამშობლოს მიაყენა, გადაფარავდა დედამიწაზე არსებულ ყველა ციხეში არსებულ ბოროტებას, — აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობამ ვარდების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ წარმოებულ ოფიციალურ მომოწერას თავი მოუყარა და საკმაოდ მნიშვნელოვანი სამტომიანი საქმე აიკინძა. ეს მასალები კი უკვე გადაგზავნილია ამერიკის ახალ ადმინისტრაციაში და განხილვას ელის.

— დღეს თეთრ სახლში, კონგრესსა და სახელმწიფო დეპარტამენტში დაიდება ჩვენ მიერ გაგზავნილი სამი ტომი მტკიცებულებებისა, სადაც დადასტურებულია ბუშის თანამებრძოლთა — სოროსის, ფრიდის, ბრუს ჯექსონის, ბრაიზას და სხვათა დანაშაული ანტიკონსტიტუციურ გადატრიალებაში, რასაც შედეგად მოჰყვა ავანტიურისტ სააკაშვილის მოსვლა ხელისუფლებაში, საქართველოს დაშლა-დანაწევრება, დემოკრატიის მოსპობა, დიქტატურა და სისხლის ტბები ჩვენს ქვეყანაში, — აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ წერილების სამტომეულზე, რომელიც ამერიკაში გაიგზავნა, სათაურად ჰქვია „უპასუხოდ დარჩენილი წერილები“, ქართველი ლეობორისტები დიდ იმედებს ამყარებენ და ითხოვენ, ობამას ადმინისტრაციამ ვაშინგტონელი ჩინოვნიკების საქმიანობა სპეციალურმა პროკურორმა შეისწავლოს.

— ამერიკის დღევანდელი ხელისუფლებისგან ვითხოვთ სპეციალური პროკურორის დანიშვნას იმ ვაშინგტონელ ჩინოვნიკთა და მოღვაწეთა პასუხისმგებლობისთვის, რომლებმაც დაგეგმეს, დააფინანსეს და განახორციელეს 2003 წლის ნოემბერში ვარდების გადატრიალება, ხოლო შემდეგ კი უწევდნენ მფარველობას სისხლიან რეჟიმს. ყველაფერთან ერთად, ამან ძირს დასცა ამერიკის იმიჯი, ხოლო ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს ტროცკისტული ფერადი რევოლუციები მთელ მსოფლიოში რამდენიმე მლრდ დოლარი დაუჯდათ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ბუშის ადმინისტრაცია წავიდა, მაშინ გადატრიალებაზე იყო ჩემი და ლეიბორისტული პარტიის არდაშვება ხელისუფლებაში, რაც მომდინარე წლის 3 ოქტომბერს თვით სააკაშვილმა, როგორც იქნა, აღიარა, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.




აღსანიშნავია, რომ გუშინდელ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ჟურნალისტებს კიდევ ერთხელ მოასმენინა მიხეილ სააკაშვილის მიერ დუშეთში ყოფნისას გაკეთებული ერთი საკმაოდ საინტერესო განცხადება: „შევარდნაძემ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ კინაღამ შალვა მოაჯდა ქვეყანას...“

შალვა ნათელაშვილი:

— ალბათ, მიაქციეთ ყურადღება ორ მომენტს: პირველი — მან აღიარა, რომ ჩვენი ხელისუფლებაში არმოსვლის მიზნით განხორციელდა ვარდების რევოლუცია. სხვა შემთხვევაში შევარდნაძე თავისუფლად გადასცემდა, როგორც იყო მოლაპარაკება ამერიკასთან, მაგრამ ვერ ახერხებდა ჩვენ გამო მშვიდობიანი საარჩევნო ფორმით ამ მანიპულაციისა და სპექტაკლის გათამაშებას; მეორე — დაუკვირდით, რა წამოსცდა ქვეცნობიერად სააკაშვილს — თურმე პრეზიდენტობა ქვეყანაზე მოჯდომაა. კინაღამ შალვა მოაჯდა ქვეყანას პრეზიდენტადო. გამოვიდა, რომ მე ვერ მოვაჯექი, ის მოაჯდა და ამ მოჯდომით მართავს. რაზე გადასვა ქვეყანა და თვითონ რაზე მოუწევს დაჯდომა, ამაზე იფიქროს.

გუშინვე ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა კომენტარი გააკეთა უშიშროების საბჭოში ოპოზიციის მიწვევასა და ოპოზიციის ერთი ნაწილის მონაწილეობაზეც.

— უპირველესად ჩემი განცვიფრება გამოიწვია იმან, რომ სისტემატურად მეგზავნება მოსაწვევები უშიშროების საბჭოდან, ალბათ, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით (ამას სხვა ვერ გაბედავდა), რათა გავეცნო ქვეყნის ყველაზე საიდუმლო ინსტიტუტის მუშაობას. მე, რომელიც გახლავართ რუსეთის აგენტი, სახელმწიფო გადამტრიალებელი, მუხროვანის შეთქმულების ინიციატორი, ფულის გამთეთრებელი, ჯაშუში და სისხლის სამართლის კოდექსში მუხლი არ არის დარჩენილი, ყველა ჩემ წინააღმდეგ არის აღძრული, თურმე, უნდა დავესწრო საიდუმლო ინსტიტუტის სხდომებს, რათა მერე გადავცე რუსებს საიდუმლო აგენტურული ინფორმაცია. აი, სადამდე მიდის მარაზმი. ჯერ გამოვიდეს მიხეილ სააკაშვილი, ბოდიში მომიხადოს იმ დევნისა და ჯალათობისთვის, რაც პერსონალურად ჩემ მიმართ ჩაიდინა და მერე გადავწყვეტთ, იმ ფორმატში რა დონით მივიღებთ მონაწილეობას. ეს მინიმუმ, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

ნათელაშვილის თქმით, გუშინდელი უშიშროების საბჭოს სხდომა იყო მორიგი მოტყუება ხალხის, მსოფლიო საზოგადოებისა, რადგანაც არანაირი კომისია, არანაირი სამუშაო ჯგუფი, არავითარი მონიტორინგის ჯგუფები, რომელსაც შექმნის სააკაშვილი და მის მიერ კონტროლირებადი ინსტიტუტები — უშიშროების საბჭო თუ კონკრეტული სამინისტრო — იქნება ხალხის მოტყუება და არავითარ შედეგს არ მოიტანს, სანამ სააკაშვილი იჯდება პრეზიდენტის სკამზე.

პრესკონფერენციის ბოლოს კი შალვა ნათელაშვილმა უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის მოსკოვში მცხოვრებ ბიზნესმენ ებრალიძეს შეხვდა, რომელიც არ მალავს, რომ საქართველოს პრეზიდენტობის სურვილი აქვს.

— შალვა ნათელაშვილი დღეს კონტროლდება ყველა ელექტრონული, თანამგზავრული, სატელეფონო და ვიდეოსაშუალებით. ძალიან იოლად დაადგენდა ამას ჩვენი, ჩემზე მდევნელი ხელისუფლება, ვიყავი თუ არა თქვენ მიერ დასახელებულ ადგილსა და პიროვნებასთან, მით უმეტეს, რომ მე ვარ კლასიკური და გამოცდილი რეციდივისტი და ჩემ მიმართ სისხლის სამართლის კოდექსში უკვე აღარ დარჩა სტატია, რომელიც შეიძლება გამოიყენო, გარდა, მაპატიეთ, გაუპატიურებისა. სახელმწიფო ღალატი, გადატრიალება, ჯაშუშობა, ციხეში ბუნტი და ახლა მუხროვანის ბუნტიც მე მომიმზადებია.

## უკრაინაში სამი ქართველი დააკავეს

უკრაინელმა სამართალდამცავებმა დააკავეს საქართველოს სამი მოქალაქე, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ძარცვაში.

უკრაინული მედიის ცნობით, საქართველოს ოთხი მოქალაქისგან შემდგარი დაჯგუფება დონეცკის, ლუგანსკისა და ხარკოვის ოლქებში მოქმედებდა. ისინი ძარცვავდნენ ახალგაზრდა გოგონებს და შემდეგ, მათ სცემდნენ და ამცირებდნენ.

ასევე, გამოძიების მასალების მიხედვით, ქართველები ეცნობოდნენ “კრიტიკულ ასაკში“ მყოფ ქალებს და მათთან სტუმრად მისულები სპირტიან სასმელში საძილე საშუალებას უყრიდნენ. ამის შემდეგ, ისინი მსხვერპლის ბინას ძარცვავდნენ.

ქართველები ენაკიევოში ჩადენილი დანაშაულის შემდეგ დააკავეს. ისინი თავს დაესხნენ გოგონას, სცემეს და შემდეგ, წაართვეს ოქროს სამკაულები. მსხვერპლი კი, ხიდიდან გადააგდეს.

გოგონა გონს მალე მოვიდა და მილიცია გამოიძახა, რომელმაც ქართველები ცხელ კვალზე დააკავა.ადგილობრივი მილიციის ცნობით, ერთერთმა ეჭვმიტანილმა საქართველოში გაქცევა მოახერხა.

**მედიანიუსი**

## მედიაკომპანიები ტელეარხ „ტვ25“-ის მხარდაჭერას უცხადებენ

საქართველოს რეგიონალურ რადიოსადგურთა ქსელი და მისი წევრი რადიოსადგურები „ჰერეთი,“ „ძველი ქალაქი,“ „ჰარმონია“ და „ათინათი,“ აჭარის რეგიონში მაუწყებელი დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ტვ25“ არხის მიმართ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებს, რომლის მიხედვითაც, აჭარის საგადასახადო სამსახურმა მაუწყებელს დავა მოუგო და ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში დაგროვილი გადასახადებისა და ჯარიმების დაკისრება დაავალა.

— ვაპროტესტებთ სასამართლოს მიერ არაობიექტურ გადაწყვეტილებას და ვფიქრობთ, რომ ეს არის დამოუკიდებელ მედიაზე კიდევ ერთი ზეწოლა, რაც თავის მხრივ, შესაძლოა, გახდეს ამ მაღალრეიტინგული რეგიონული მაუწყებლის დახურვის მიზეზი, — ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

რადიოსადგურთა ქსელი მოუწოდებს მედიაკომპანიებს, არასამთავრობო სექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს, არ დაუშვან დამოუკიდებელი არხის ხელყოფა.

**მედიანიუსი**

## ავსტრიაში ქართველმა და ავღანელმა ლტოლვილებმა იჩხუბეს

ავსტრიის რადიოს ცნობით, ქალაქ ტრაისკირხენში(ქვემო ავსტრია) მდებარე დევნილთა ბანაკში ქართველ და ავღანელ ლტოლვილებს შორის ჩხუბი მოხდა.

ამ ინფორმაციის თანახმად, ჩხუბი 12 ოქტომბერს საღამოს დაიწყო და მასში 40 ლტოლვილი მონაწილეობდა. ჩხუბისას დევნილები ჯოხებს და ავეჯის ფეხებს იყენებდნენ. პოლიციის რვა ეკიპაჟმა მოჩხუბართა გაშველება მოახერხა.

თუმცა, ხუთი საათის შემდეგ, ჩხუბი კვლავ განახლდა და მასში უკვე 70 ადამიანი მონაწილეობდა. ბანაკის ხელმძღვანელობას პოლიციის 16 ეკიპაჟის გამოძახება დასჭირდა.

ქართველებსა და ავღანელებს შორის დაპირისპირების მიზეზი ამ ეტაპზე უცნობია. ავსტრიის რადიოს ინფორმაციით, რვა დაშავებულს ადგილზე აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, ერთი საქართველოს მოქალაქე, რომელმაც ფანჯრიდან გადახტომისას ფეხი მოიტეხა, საავადმყოფოში გადაიყვანეს.

**მედიანიუსი**

## რუსეთში ქართული საიტები დაბლოკილია

დასტურდება, რომ რუსეთის რეგიონებში ქართული საიტები დაბლოკილია.კერძოდ, ჩრდილო ოსურმა ორგანიზაცია „ხარონმა“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპულთა ნეშტების მოძიებაზე მუშაობს, ოფიციალურად განაცხადა, რომ საქართველოსთან ისინი ელექტრონულ კავშირს ვერ ამყარებენ, ვერ შედიან ქართულ საიტებზე და ვერ აგზავნიანს წერილებს.

„ხარონის“ წევრებმა აღმოაჩინეს მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპული დავით სტეპანის-ძე მამცელაძის ნეშთი.

— ვერ ვამყარებთ კავშირს 1917 წელს დაბადებული, საქართველოს სსრ-ს, ამბროლაურის რაიონის სოფელ ავათრგორას მკვიდრის, დავით სტეპანის-ძე მამცელაძის ნათესავებთან, რადგან საქართველოსთან არანაირი კავშირი არ არსებობს. ჩვენ ვერ შევდივართ ქართულ საიტებზე და ვერ ვაგზავნით წერილებს. თუმცა, ჩვენ ყველანაირად შევეცდებით, რომ ჯარისკაცმა თავისი ნათესავები იპოვოს, — განუცხადა სააგენტო „ნოვოსტის“ „ხარონის“ ხელმძღვანელმა ალან თათაროვმა.

**მედიანიუსი**


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი**, №89/24,
**თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.**
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**E-mail: axtaoba@mail.ru**



რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## საქართველოში ახალი ტიპის გრიპის ვირუსის კიდევ ერთი შემთხვევა გამოვლინდა

საქართველოში ახალი ტიპის გრიპის ვირუსის 23-ე შემთხვევა გამოვლინდა. როგორც „მედიანიუსს“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ეპიდზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ხათუნა ზახაშვილმა განუცხადა, დაავადება ამჯერად 77 წლის მამაკაცს აღმოაჩნდა. წინა შემთხვევების მსგავსად, ინფიცირებული საზღვარგარეთ, ამჯერად აშშ-ში იმყოფებოდა, სადაც მას ახალი ტიპის გრიპის ვირუსი გადაედო. ინფიცირებული მამაკაცი ოჯახურ პირობებში მკურნალობს. ხათუნა ზახაშვილის თქმით, დაავადება ნორმის ფარგლებში, გართულებების გარეშე მიმდინარეობს და პაციენტს სათანადო სამედიცინო მომსახურებას უწევენ.

**მედიანიუსი**

## სასამართლომ სკოლის ყოფილ დირექტორს ინფორმაციის საჯაროდ უარყოფა დაავალა

გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შალვა მჭედლიშვილმა სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლის ყოფილ დირექტორს მარინე უტიაშვილს, საინფორმაციო საშუალებებით ჟურნალისტ გელა მთივლიშვილის ღირსების შემლახველი ინფორმაციის საჯაროდ უარყოფა დაავალა, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

ჟურნალისტმა სასამართლოს სარჩელით 2008 წლის ივლისში მიმართა. მოსარჩელე, მარინე უტიაშვილის მიერ მედიის სხვა საშუალებებით ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციების გავრცელებას აპროტესტებდა. კერძოდ, სკოლის დირექტორი ჟურნალისტს მის მოსყიდვაში, ცილისმწამებლური სტატიების გამოქვეყნებაში, სკოლაში სასწავლო პროცესის ჩაშლასა და პედაგოგების შეურაცხყოფაში ადანაშაულებდა.

საინფორმაციო ცენტრის მონაცემით, მარინე უტიაშვილმა ჟურნალისტის მიმართ გავრცელებული ვერცერთი ბრალდების დადასტურება ვერ შეძლო, რის გამოც სასამართლომ ის დაავალდებულა, გავრცელებული ინფორმაციები საინფორმაციო საშუალებებით საჯაროდ უარყოს.

**მედიანიუსი**

## კლინტონი რომ მხარს გვიჭერს, გასაკვირი არაა



ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა გასაკვირი არ არის, — ამის შესახებ გუშინ „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

თუმცა, მისი თქმით, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ვერ მოგვარდება მანამ, სანამ საქართველოს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება არ ეყოლება.

— ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მეგობრები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერენ, მაგრამ ტერიტორიული მთლიანობის საკითხი და საქართველოს პრობლემები მანამ ვერ მოგვარდება, სანამ ჩვენ ნორმალური, დემოკრატიულად არჩეული და ადეკვატური ხელისუფლება არ გვეყოლება, — აღნიშნა ბურჯანაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# მეორე არხი პოლიტიკურ არხად გადაიქცევა

**ნანა მიშელაშვილი**

**უახლოეს ხანში მეორე არხი, როგორც პოლიტიკური არხი, ეთერში გავა. გუშინ პარლამენტის თავმჯდომარესთან საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა და საპარლამენტო ოპოზიციისა და უმრავლესობის წარმომადგენლები შეიკრიბნენ.**



— დაახლოებით 2 კვირაში საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა კონკრეტულად გაწერილ გეგმას წარადგენს, თუ როგორ მოხდება მეორე არხის ამუშავება და ამ გეგმის საფუძველზე უახლოეს პერიოდში მეორე არხი, როგორც პოლიტიკური არხი, ეთერში გავა, — განაცხადა შეხვედრის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ.

დავით ბაქრაძე ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით არათანმიმდევრულ მიდგომაზე საუბრობს.

— სამწუხაროა, რომ ხშირად აქვს ადგილი არათანმიმდევრულ მიდგომას ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან. თუ ვინმეს აქვს რაიმე პრეტენზია ან უკმაყოფილოა პირველი არხის მუშაობით, ყველაზე კარგი გზა ამ პრობლემის მოსაგვარებლად არის დაბალანსებული სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

მეორე არხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ჭანტურიამ. მისი თქმით, მეორე არხთან დაკავშირებით უკვე დაიწყო მუშაობა.

— მეორე არხი ორიენტირებული იქნება ყველა იმ პოლიტიკურ პროცესზე, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს. ეს იქნება არხი, რომელიც გააშუქებს აბსოლუტურად ყველა პოლიტიკურ, სოციალურ მოვლენას. სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს საშუალება მიეცემათ უფრო ვრცლად წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები, — აღნიშნა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ჭანტურიამ.

უმრავლესობა ოპოზიციის დაბალანსებულ პირველი არხის სამეურვეო საბჭოს სთავაზობს. კერძოდ, მმართველი პარტიის ინიციატივით, სამეურვეო საბჭოში 7 ადამიანის წარდგენის უფლება ექნება უმრავლესობას, შვიდის — ოპოზიციას, ხოლო გადამწყვეტი ხმის ნომინირების უფლება — სამოქალაქო სექტორს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის ვაკანტურ ადგილებზე უახლოეს დღეებში კონკურსი გამოცხადდება და დაიწყება საბჭოს დაკომპლექტება. დაკომპლექტების პროცესში კანდიდატების ნომინირების უფლება მიეცემათ იმ პარტიებს, რომლებმაც უკვე გამოხატეს ინტერესი და მონაწილეობა მიიღეს კონსულტაციებში.

— პრეზიდენტის შეთავაზების შესაბამისად, გადამწყვეტი მეთხუთმეტე ხმის უფლება მიეცემათ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო სექტორს და მათგანაც დაველოდებით კანდიდატურებს, — განაცხადა დავით ბაქრაძემ ჟურნალისტებთან საუბარში.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც პარლამენტში შესხვედრისას ისაუბრეს, პირველი არხის სამეურვეო საბჭოს ფუნქციების გაზრდას შეეხება. ახლო მომავალში ჩამოყალიბდება საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფუნქციები გაიზრდება.

— მაუწყებლის ბორდის დაკომპლექტებისა და მასში ოპოზიციური პარტიების შეყვანის პარალელურად დაიწყება მუშაობა ბორდის ფუნქციების გაზრდაზე. ახლო მომავალში შევჯერდებით იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლითაც მაუწყებლის საბჭოს ფუნქციები გაიზრდება. საბჭო შეიცვლება არა მარტო შემადგენლობის მიხედვით, არამედ მას გაეზრდება ფუნქციები, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

ჯერჯერობით, სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტებაში მონაწილეობის სურვილი საპარლამენტო ოპოზიციამ გამოთქვა. როგორი იქნება სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა, ეს კანდიდატურების დასახელების შემდეგ გაირკვევა.

# ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხი კონსტიტუციაში ახლებურად აისახება

**ნანა მიშელაშვილი**

**გუშინ პარლამენტში გუბერნატორები, საკრებულოების წარმომადგენლები, მინისტრები და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. ისინი პარლამენტში დეპუტატებს არ დაუბარებიათ. პარლამენტის სხდომათა დარბაზში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მინისტრები იმის გამო მივიდნენ, რომ თვითმმართველობის საკითხზე ესაუბრათ.**



ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2010 წლის მაისის ბოლოს გაიმართება. არჩევნებში მონაწილეობას აპირებს საპარლამენტო ოპოზიცია, თუმცა, არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი ჯერ კიდევ ფიქრობს.

თითქმის ყველა მიიჩნევს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინასარეპეტიციო ეტაპი იქნება. ამდენად, ამ არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

როგორი სახის თვითმმართველობა იქნება და რა ფორმულირება ჩაიწერება კონსტიტუციაში? ეს საკითხი ბევრს აინტერესებს.

პარლამენტში გამართულ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ დემეტრაშვილი.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ახალი კონსტიტუციური რეგლამენტაცია იქნება.

როგორც ავთანდილ დემეტრაშვილმა განმარტა, 1 ნოემბრამდე სამუშაო ჯგუფში მომზადდება შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტი. მისივე თქმით, კომისიის მხარდაჭერის შემთხვევაში ჩატარდება საზოგადოებრივი და საერთაშორისო განხილვები, მათ შორის ვენეციის კომისიასთან შეთანხმება უკვე მიღწეულია, რის შედეგადაც წინადადება გაეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს.

— კარგი იქნება თუ პრეზიდენტი წლის ბოლომდე საკანონმდებლო ინიციატივით შევა საქართველოს პარლამენტში და მოახდენს შესაბამისი კონსტიტუციური კანონპროექტის ინიცირებას. ამგვარი მოქმედების აუცილებლობას ვხედავთ იმაში, რომ გაზაფხულზე ჩატარდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რაც ობიექტურად მოითხოვს, რომ ამ არჩევნებს დავახვედროთ ადგილობრივი თვითმმართველობის გამოკვეთილი კონსტიტუციური რეგლამენტაცია, — აღნიშნა ავთანდილ დემეტრაშვილმა.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, კომისიაში გადაწყვეტილება მიღებულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხი სრულად აისახოს ქვეყნის მთავარ ნორმატიულ აქტში.

— ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში უნდა განისაზღვროს, როგორც ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის უფლება და საშუალება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები გადაწყვიტონ ადგილზე, მათივე უშუალო მონაწილეობითა და პასუხისმგებლობით სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად, — აღნიშნა ავთანდილ დემეტრაშვილმა.

იგი მიიჩნევს, რომ კონსტიტუციაში უნდა ჩამოყალიბდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, მისი არჩევითობა, კომპეტენციათა ექსკლუზიორობა, თანასწორუფლებიანობა, საფინანსო და ქონებრივ-რესურსული უზრუნველყოფა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## სოფელ ზემო ნიქოზში განაღმვითი სამუშაოები დასრულდა

სოფელ ზემო ნიქოზში განაღმვითი სამუშაოები დასრულდა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ფეთქებადი ნარჩენებისგან გასუფთავებული ტერიტორია სოფლის თვითმმართველობას უკვე გადაეცა. განაღმული ნიქოზის პირველი სტუმრები საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნიკა ძიმცეიშვილი და მედიის წარმომადგენლები იყვნენ.

აუფეთქებელი საბრძოლო მასალისგან ტერიტორიის გასუფთავების სამუშაო, თავდაცვის სამინისტროს კოორდინაციით საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაცია „ნორვეგიელ ხალხთა დახმარებამ“ აწარმოა.

**ინტერპრესნიუსი**

## „დემოკრატიული ფრონტის“ ჩამოყალიბების საკითხზე კონსულტაციები აქტიურად მიმდინარეობს



„დემოკრატიული ფრონტის“, იგივე „შეურიგებელ ძალთა კოალიციის“ ჩამოყალიბების საკითხზე კონსულტაციები აქტიურად მიმდინარეობს, — ამის შესახებ, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა.

მისი თქმით, კონსულტაციები იმართება როგორც პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან.

ბურჯანაძის შეფასებით, ძალიან მნიშვნელოვანია „საქართველოს გზის“ ლიდერის სალომე ზურაბიშვილის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ის არის შეურიგებელი და შეურუგებელთა კოალიციის რიგებში იბრძოლებს.

— დარწმუნებული ვარ, ჩვენ, როგორც თანაბარი პარტნიორები, მასთან და სხვა ლიდერებთან ერთად შევძლებთ შეურიგებელთა კოალიციის — „დემოკრატიული ფრონტის“ გაძლიერებას და შევძლებთ მივაღწიოთ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, მუშაობა მიმდინარეობს სხვადასხვა მიმართულებით და პროტესტის ერთ-ერთი ფორმა და მიმართულება იქნება აქციები, თუმცა, მუშაობა სხვა მიმართულებებითაც მიმდინარეობს.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს გადარჩენა მხოლოდ იმაშია, რომ არავინ შეეგუოს იმ რეალობას, რომელშიც დღეს ქვეყანა იმყოფება და ქვეყანას ყოველდღე უკეტავენ საერთაშორისო ურთიერთობებისა და პერსპექტივის კარს.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს პროკურატურა 8 არასრულწლოვან პრობაციონერს შუამდგომლობას უწევს

საქართველოს პროკურატურა 8 არასრულწლოვან პრობაციონერს პირობითი მსაჯვრის მოხსნაზე შუამდგომლობას გაუწევს. მოზარდებიდან, რომლებსაც პროკურატურამ უშუამდგომლა, ყველაზე უფროსი 18 წლისაა, უმცროსი კი 14 წლის. მათი დიდი ნაწილი ქურდობისთვისაა ნასამართლევი. ეს ის პრობაციონერები არიან, რომლებიც მთელი ზაფხულის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართული პროექტ "საზოგადოებრივი პროკურატურის" ფარგლებში განხორციელებულ პროექტებში. გარკვეული ინსტანციების გავლის შემდეგ 8 არასრულწლოვან პრობაციონერს პირობითი მსჯავრი მოეხსნება და ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდება.

**პრაიმ-ნიუსი**

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.
შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!
ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“

# ოპოზიცია გაერთიანებას ისევ აპირებს

თეა მარხვაიძე



**დღეს დიდი ოპოზიციური თავყრილობა იგეგმება. სააკაშვილის მიერ საზეიმოდ გახსნილ „ჰელისონში" ოპოზიცია მის საწინააღმდეგოდ ახალი კამპანიის დაწყებას აპირებს. ამ შეხვედრის ორგანიზატორი მოძრაობა „დაიცავი საქართველოა". საქართველოს დამცველები საქართველოს დაცვას მისი სააკაშვილისგან გამიჯვნით აპირებენ.**

საქართველოს გადასარჩენი „სხადნიაკი" მოძრაობის წარმომადგენლებმა ერთი კვირის წინ დაგეგმეს. ეს იმ დღეს მოხდა, როცა ნინო ბურჯანაძემ ოპოზიციას სააკაშვილის წინააღმდეგ ახალი გაერთიანების შექმნისკენ მოუწოდა.

ახალი გაერთიანების შექმნის იდეა „დაიცავი საქართველომ" მოიწონა, თუმცა ახალ ფრონტში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ. საბოლოო გადაწყვეტილება შეიძლება სწორედ დღეს მიიღონ. დღეს გამართულ შეხვედრაზე „დაიცავი საქართველო" ძალიან დიდ იმედებს ამყარებს. შეხვედრაზე მისვლისკენ მოძრაობამ ოპოზიციას გუშინ კიდევ ერთხელ მოუწოდა. მოძრაობამ გუშინ საგანგებო მიმართვაც გაავრცელა. ეს მიმართვა საქართველოს მოქალაქეებისთვის არის დაწერილი.

— საქართველო უდიდესი გამოცდის წინაშე დგას. ჩვენ არაერთგზის განგვიცხადებია და უკვე ჰაიდი ტალიავინის დასკვნამაც დაადასტურა, რომ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა. დასკვნიდან დადასტურდა, რომ პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანწილად ეკისრება საქართველოს ხელისუფლებასა და პერსონალურად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც ერთპიროვნული და უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებით ხელი შეუწყო საქართველოს ტერიტორიაზე რუსულ ინტერვენციას და ქვეყანას დამატებით დააკარგვინა ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი. ტალიავინის დასკვნაში საქართველოს მთავრობის ქმედებები უკიდურესად მძიმედ არის შეფასებული. სწორედ ამ დასკვნით იხელმძღვანელებს ევროპა უახლოესი წლების განმავლობაში, რითაც საქართველოს მოსახლეობა და ქვეყნის ინტერესები დაზარალდება, — ნათქვამია „დაიცავი საქართველოს" მიმართვაში.

მოძრაობის წევრები საზოგადოებას შეახსენებენ, რომ საქართველოს გადარჩენა ყველა მათგანის ვალია.

— მსოფლიოს საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი არ არის საქართველო. ყველა ჩვენგანის ვალია საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენა. საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველო" მოგიწოდებთ საზოგადოებას, თითოეულ მოქალაქეს, იურიდიულ პირს, ყველა პოლიტიკურ პარტიასა თუ მოძრაობას, მასმედიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ერთად დავსახოთ კონკრეტული გზები, რათა გავმიჯნოთ საქართველო და სააკაშვილი; ერთხელ და საბოლოოდ მოხდეს სააკაშვილისა და მისი რეჟიმის გასამართლება, — ვკითხულობთ საქართველოს დამცველთა განცხადებაში.

მოძრაობის ინიციატივას ოპოზიციური პარტიები ინტერესით შეხვდნენ, თუმცა შეხვედრაზე მონაწილეობას ღიად მხოლოდ რამდენიმე მათგანი დათანხმდა, დანარჩენებმა კი თავი დაიფასეს. საქართველოს დამცველები კი ამ შეხვედრისთვის მთელი კვირის განმავლობაში დიდი ენთუზიაზმით ემზადებოდნენ.

მათი აზრით, ამ შეხვედრაში მონაწილეობას ყველა ძალა მიიღებს, რომელსაც საქართველოსთვის გული შესტკივა. საქართველოს ბედზე ჭმუნვად ყოფნის პრეტენზია ბევრ პოლიტიკურ პარტიას აქვს, თუმცა მათ ურჩევნიათ, საქართველოზე „დაიცავი საქართველოს" გარეშე ინერვიულონ. საამისოდ კი ბევრი მიზეზი აქვთ.

ამის მიუხედავად, დღევანდელი შეხვედრა მაინც გაიმართება და რამდენიმე ხმაურიანი განცხადებაც გაკეთდება. არ არის გამორიცხული, დღეს ოპოზიციის სამომავლო გეგმებიც გამჟღავნდეს.

აგერ უკვე რამდენიმე თვეა, რაც ამ გეგმების გამჟღავნების მოლოდინში ვართ. ოქტომბრის დასაწყისში ეკა ბესელიამ დაგვაიმედა, სამოქმედო გეგმას ოქტომბრის შუა რიცხვებში დავდებთო. 14 ოქტომბერი თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ამ თვის შუა რიცხვად, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს თვე 31 რიცხვით არის, შესაძლოა ოპოზიციამ შუა რიცხვად 16 ოქტომბერი დაასახელოს.

სამოქმედო გეგმისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, ალბათ, დღეს გაირკვევა, ვინ შეუერთდება პარლამენტის ყოფილი სპიკერის ინიციატივას. სააკაშვილის წინააღმდეგ ახალი ფრონტის გახსნის იდეა უკვე ოფიციალურად მოიწონა ირაკლი ოქრუაშვილმა. „დაიცავი საქართველოც" ახალი ფრონტის გახსნის მომხრეა, დანარჩენები კი დგანან და ელიან, უფრო სწორად, კონსულტაციებს აწარმოებენ.

რითი მთავრდება ასეთი კონსულტაციები, ამ წლების განმავლობაში კარგად ვნახეთ. ხელისუფლების გადაყენების მოსურნე ძალები ბევრჯერ გაერთიანდნენ, ბევრჯერ ხალხმრავალი აქციებიც მოაწყვეს, მაგრამ ამით ვერაფერს მიაღწიეს.

ოპოზიციამ იმდენი შეცდომა დაუშვა, წესით, ბევრი რამ უნდა ესწავლათ ამ შეცდომებზე. მათი ქმედებებით თუ ვიმსჯელებთ, ოპოზიციამ ვერაფერი ისწავლა. ამ მოსაზრებას ოპოზიცია კატეგორიულად არ ეთანხმება. მათი მტკიცებით, არც გაზაფხულზე დაწყებული აქციები იყო უშედეგო. უფრო მეტ შედეგს ახლო მომავალში გვპირდებიან, თუმცა ჯერ თავადაც არ იციან, როგორ უნდა დადონ შედეგი.

გაერთიანდებიან თუ არა ახალ დემოკრატიულ ფრონტში ესა თუ ის პარტიები, დღევანდელ შეხვედრაზეა დამოკიდებული. ოპოზიციური პარტიები ახლა ორი არჩევანის წინაშე დგანან — მათ ან გაჩეჩილაძე-ბურჯანაძე უნდა აირჩიონ, ანდა ირაკლი ალასანია, რომელიც ოპოზიციასთან აგვისტოდან მოყოლებული აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს და ყველას უმტკიცებს, ამერიკა საქართველოს პრეზიდენტად მე მამზადებსო.

ამის დამტკიცებას, როგორც ამბობენ, ბურჯანაძე და ლევან გაჩეჩილაძეც ცდილობენ. ხელისუფლება ბევრს ეცადა, მათი პრორუსულობა დაემტკიცებინა, მაგრამ არ გამოუვიდათ.

საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ წინ საინტერესო მოვლენები გველოდება, რაც ხელისუფლების წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას სულაც არ ნიშნავს. სავარაუდოდ, ოპოზიცია ახლაც ერთმანეთში დაიწყებს ბრძოლას. ხელისუფლება კი, როგორც ყოველთვის, გამარჯვებული დარჩება, თუმცა, ვინ იცის, ოპოზიცია ამტკიცებს, ეს ბრძოლა ნამდვილად შედეგიანი იქნებაო.

ოპოზიციის სამომავლო გეგმების გარდა, დღეს „დაიცავი საქართველოს" ამბავიც უნდა გაირკვეს. ეს ორგანიზაცია ზაფხულში დიდი ენთუზიაზმით შეიქმნა. საპროტესტო მუხტის მატარებელი საზოგადოება მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. ჯერჯერობით საქართველოს დამცველებმა იმედები ვერ გაამართლებს.

მოძრაობის შიგნით არსებულ დაპირისპირებაზე ბევრი ჭორი აგორდა. მოძრაობის დამფუძნებლებმა ამას შავი პიარი უწოდეს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოძრაობამ დამფუძნებელი ყრილობა ჯერაც ვერ ჩაატარა, ნიშნავს, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ არის.

# ჩეჩნეთისა და ინგუშეთის დამოუკიდებლობის აღიარება დანაშაულია

## მოსკოვს ველი ვალდებულებების შესრულება უნდა მოვთხოვოთ!

გერა მამულაშვილი

**მოსკოვის მორიგ ბრალდებებს საქართველოში შეიარაღებული ტერორისტების არსებობის შესახებ დავით ბაქრაძე „აბსურდულ ტყუილს" უწოდებს. პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები საქართველოს მხოლოდ ორ რეგიონში — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშია. მისივე თქმით, ამ უაზრო ბრალდებებით რუსეთი საქართველოსგან მუდმივი მტრის ხატის შექმნას ცდილობს და ამ გზით აპირებს იმ პრობლემების გამართლებას, რაც ჩრდილოეთ კავკასიაში აქვს. ბაქრაძე ხაზს უსვამს, რომ „სამწუხაროდ, რუსი მაღალჩინოსნების გონებრივი განვითარება 19 წლის წინანდელ პერიოდს ვერ გასცდა".**



რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორი ალექსანდრე ბორტნიკოვი ქართულ სპეცსამსახურებს ჩეჩნეთში ტერორისტების გადასროლაში ადანაშაულებს. მისი განცხადებით, ქართული სპეცსამსახურები ჩეჩნეთში ტერორისტების გადაყვანაში მონაწილეობენ. „ქართული სპეცსამსახურების წარმომადგენლები მუდმივად ცდილობენ მოიპოვონ იარაღი, ასაფეთქებელი მასალები და ფინანსური სახსრები, რათა დაღესტნის მაღალი საფრთხის ობიექტებზე დივერსიული აქტები მოაწყონ", — აცხადებს ბორტნიკოვი.

**„ახალ თაობასთან" ინტერვიუში ექსპერტი სამხედრო უსაფრთხოების საკითხებში ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ კლინტონი-ლავროვის შეხვედრის წინ ამ განცხადებით კრემლმა სწორედ ამერიკული მხარე ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში. მისივე თქმით, რუსებმა ეს გააკეთეს მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლებას მაღალი ნდობის ვოტუმი არ აქვს ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაციის მხრიდან. მიუხედავად ამისა, სესიაშვილი აცხადებს, რომ რუსებს ახალგორში მაინც მოუწევთ იანვრამდე საერთაშორისო დამკვირვებლების შეშვება.**

***— რა მიზანს ისახავს ბორტნიკოვის განცხადება?***

— კლინტონი-ლავროვის შეხვედრის წინ ასეთ განცხადებას რა მიზანი უნდა ჰქონდეს, ამის გაშიფვრა ძნელი არ უნდა იყოს. რამდენადაც ეს ის თემაა, სადაც მხარეებს განსხვავებული აზრები აქვთ. შეხვედრის წინ ასეთი განცხადებები, ცხადია, უხერხულ მდგომარეობაში აყენებს სწორედ ამერიკულ მხარეს. დიპლომატიური თვალსაზრისით ეს არაეთიკურია იმ პირობებში, როცა რუსეთი და შეერთებული შტატები კონსტრუქციულ თანამშრომლობას ცდილობენ.

ხოლო რაც შეეხება უშუალოდ ტერორისტების თემას; ვფიქრობ, რომ ეს უბრალო ისტერიაა. მიუხედავად ამისა, საკითხს მაინც ფრთხილად მივუდგები, რადგან საკმაოდ დელიკატური თემაა. არანაირი მტკიცებულება არ გამაჩნია რეალურად იქ რაიმე დახმარებას აქვს თუ არა ადგილი. ამიტომ ამაზე რაიმე კონკრეტულის თქმისგან, უბრალოდ, თავს შევიკავებდი.

***— დაღესტანზე რატომ გაკეთდა მაინცდამაინც მთავარი მინიშნებები?***

— ეს საკმაოდ დელიკატური თემაა. ასეთი გამოთქმა არსებობს, რომ ჩემი მტრის მტერი, ჩემი მეგობარიაო. ასე რომ, ნამდვილად არ ვარ იმ ჭკუაზე, რომ ქართველი სპეცსამსახურები ეხმარებიან ბოევიკებს, ჩრდილოეთ კავკასიაში. მაგრამ ზოგადად გამორიცხული არაფერი არ არის და აქ არც არაფერი უნდა იყოს გასაკვირი. თუმცა ვფიქრობ, რომ ეს უფრო მეტად გამოგონილი და პოლიტიკური ხრიკია, რომ ამ შემთხვევაში შეერთებულმა შტატებმა თავი უხერხულად იგრძნოს. რამდენადაც აშშ-ს დღევანდელ ადმინისტრაციას სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ ნდობის ფაქტორი ისედაც არც ისე მაღალი აქვს.

მთავარი აქცენტი დაღესტანზე კეთდება იმიტომ, რომ ის უფრო ფეთქებადსაშიშია ამ ვითარებაში, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკები. ამიტომ ყველაზე მტკივნეული თემა რაც რუსეთს აქვს, ბოდიში და სწორედ მას ტენის საქართველოს და ეს ჩვეულებრივი მომენტია.

***— თქვენი დაკვირვებით საით მიდის დღეს რეალურად პროცესები ჩრდილოეთ კავკასიაში?***

— ამ პროცესების კონკრეტულ მიზანს მე ვერ ვხედავ. როგორც ჩანს, ჯერჯერობით ბოევიკებს ამოცანა აქვთ, რომ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიქციონ და ასევე ქვეყნის შიგნით გამოიწვიონ რეაქცია და რეაგირებები, რამდენადაც ამ ეტაპზე მათი ძალები არცთუ ისე დიდია. თუმცა, მათი აზრით, მტრების წინააღმდეგ უმკაცრესი მეთოდებით ბრძოლამ ბევრი უნდა გამოაღვიძოს. როგორც წესი, ტერორისტული აქტის ორგანიზება გათვლილია იმაზე, რომ ამან გარკვეული ეფექტი გამოიწვიოს ვიწრო და ფართო საზოგადოებაში. მათი ამოცანა ეს არის და მიზანს ჯერჯერობით ვერ ვხედავ, რამდენადაც ამ მიზანს აუცილებლად სჭირდება პოლიტიკური მხარდაჭერა და ამის მზაობა. რაც, როგორც ჩანს ჩრდილოეთ კავკასიაში ჯერ საკმარისად გაძლიერებული არ არის.

***— რაც შეეხება პოლიტიკურ მხარდაჭერას; თბილისში გარკვეულ წრეებში გაჩნდა მოსაზრება, რომ დაიწყოს მუშაობა ჩეჩნეთის და ინგუშეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. ამაზე რას იტყვით?***

— არ მინდა კოლეგების მიმართ კრიტიკული ვიყო, მაგრამ ვთვლი, რომ ეს ნაბიჯი აბსოლუტურად გაუმართლებელია. თუ ვიღაცა მკვლელია, არ არის საჭირო, რომ მის სავნოდ მეც მკვლელი გავხდე. ამ შემთხვევაში ის, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევა იყო, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეც უნდა დავარღვიო ეს საერთაშორისო პრინციპები და რახან მან აღიარა, მეც უნდა ვუღიარო — ასეთი მიდგომა ამ ეტაპზე ნამდვილად საჭირო არ არის.

მაგრამ თუ მომავალში დადგება ისეთი დღე, რომ მთელი მსოფლიო აღიარებს სეპარატისტებს, მაშინ შეიძლება ამის მორალური საფუძველი გაგვიჩნდეს. ისევე როგორც კრემლმა კოსოვოს მომენტი გამოიყენა და ამ შემთხვევაში რუსეთის ამ ქმედებებს გარკვეული ლოგიკა აქვს. სწორედ ამაზეც იყო გათვლილი თავის დროზე კრემლის პრინციპული წინააღმდეგობა კოსოვოს აღიარებასთან დაკავშირებით. თორემ კოსოვოს ბედი რომ კრემლს საერთოდ არ აღელვებს, ეს ძალიან კარგად ვიცი. მათ შორის არანაირი ინტერესების შეხება არც აქვს კოსოვოსთან. ის პრინციპულად წინააღმდეგი წავიდა, რათა შემდგომში აფხაზეთის და ოსეთის აღიარებისას წამოეძახებინა, რომ მე რომ არ ვაღიარე, მაშინ მომისმინეთო? ახლა მე ვაღიარებ და თქვენს აზრს არ გავითვალისწინებო.

***— რამდენად შესაძლებელია ამ საკითხებში სტატუს-ქვოს აღდგენაზე საუბრების დაწყება?***

— კოსოვოსთან დაკავშირებით სტატუს-ქვო ვერ აღდგება და ეს გამორიცხულია. სხვა ქვეყნის პრობლემების გამო, ვიღაცამ საკუთარ ბედნიერებაზე უარი რომ თქვას, ასეთი რამ გამორიცხულია. ისევე როგორც აუწონავია ერთი და ათასი ადამიანის სიცოცხლე; რაც შეეხება რუსეთის სავარაუდო პოლიტიკას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში, ის უცვლელი დარჩება; რუსეთი არ წაიღებს ამ აღიარებას, რაც არ უნდა გააკეთოს დასავლეთმა. რა ზეწოლის მექანიზმებიც არ უნდა გამოიყენონ, ის პრინციპულად დარჩება თავის პოზიციაზე. ასე იქნება, სანამ თვითონ რუსეთში არ შეიცვლება პოლიტიკური აზროვნება და იდეოლოგია. ან იმ შემთხვევაში, თუკი კრემლში უსაფრთხოების ახალი კონცეფცია იქნება შემუშავებული სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში, სადაც რუსეთი თავისი პირით არ იტყვის, რომ აღიარებები უკან მიაქვს, მაგრამ შეიძლება აფხაზებს და ოსებს შესთავაზოს, რომ მოხდეს გარკვეული შეთანხმება საქართველოსთან. ამ შემთხვევაში რუსეთი იტყვის, რომ თუ ისინი შეთანხმდნენ, მეც ვაღიარებო.

***— ამ კონტექსტში რა შედეგებს უნდა ველოდოთ კლინტონი-ლავროვის შეხვედრისგან? მანამდე ამ დღეებში ობამას მრჩეველმა მაკფოლმა რუსეთისგან კიდევ ერთხელ საერთაშორისო დამკვირვებლების შეშვება მოითხოვა კონფლიქტურ ზონებში...***

— ვფიქრობ, რომ გარკვეული შედეგები მოსალოდნელია და ეს იანვრამდე აუცილებლად მოხდება. ამისთვის რუსეთი ცხინვალის რეგიონში ფონს ამზადებს. ჯერჯერობით აფხაზეთში კატეგორიული წინააღმდეგნი იქნებიან, რომ შეუშვან. მაგრამ ახალგორში, სავარაუდოდ, მათ შეუშვებენ და მათთვის არცთუ ისე საზიანო ფორმით. ამისთვის კონკრეტული ფაქტები შემიძლია დაგისახელოთ, რომ ფონი მზადდება.

გარდა ამისა, იანვარში ევროსაბჭოს სხდომამაა და რუსეთს წაუყენეს პირობა, რომ მან ვალდებულებები აუცილებლად უნდა შეასრულოს. ის არ შეასრულებს ყველა ვალდებულებას და მხოლოდ ამ ვალდებულებას შეასრულებს. ამით გააჩენს მოლოდინს ევროსაბჭოში და მის

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხი კონსტიტუციაში ახლებურად აისახება

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ავთანდილ დემეტრაშვილის აზრით, კონსტიტუციურმა ნორმებმა უნდა მოიცვას ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი უფლებამოსილების სფეროები.

— კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ცალკე ნორმა უნდა დაეთმოს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივ, ფინანსურ, მატერიალურ გარანტიებსა და ქონებრივ საფუძვლებს, — ასეთია დემეტრაშვილის მოსაზრება.

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას აღნიშნა, რომ თვითმმართველობა არ არის ერთჯერადი პროცესი, რომელიც დღეს დაიწყება და ხვალ დამთავრდება.

დავით ტყეშელაშვილის თქმით, 2005-2006 წლიდან მოყოლებული ძალიან მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებები გატარდა, სრულიად ახალი, განსხვავებული საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა, თუმცა, ამ წლებმა გვაჩვენა, რომ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

— თვითმმართველობის გარეშე დემოკრატიის განვითარება წარმოუდგენელია, ეს არის საფუძველი, საძირკველი ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის, — აღნიშნა დავით ტყეშელაშვილმა.

მინისტრის განცხადებით, დღეს უნდა გაანალიზდეს ყველა პრობლემა, შეცდომა, რომელიც ამ კუთხით იქნა დაშვებული ამ წლების განმავლობაში.

# რუსეთმა პანკისის ხეობაში ახალი პროვოკაცია ჩაიფიქრა

## მოსკოვი ქართულ სპეცსამსახურებს ალ-ქაიდასთან კავშირში ადანაშაულებს

თეა მარხვაი ე

**რუსმა ძალოვნებმა საქართველოს საწინააღმდეგო განცხადებების გაკეთებას ძალიან მოუხშირეს. შარშანდელი ომის შემდეგ მათ დროებით დაივიწყეს საქართველოდან რუსეთში ბოევიკების გადასვლის ამბები, ცოტა ხნის წინ კი ამ თემაზე თავიდან ალაპარაკდნენ.**

რამდენიმე კვირის წინ დაღესტანში ბოევიკების ჯგუფი გაანადგურეს. დაღუპულთა შორის ერთ-ერთი ალ-ქაიდას მებრძოლი აღმოჩნდა. რუსმა ფედერალებმა მაშინვე დაასკვნეს, რომ ალ-ქაიდას მებრძოლი ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს ტერიტორიიდან შევიდა.

მაშინ ამ განცხადებას არც მოსკოვში და არც თბილისში დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. თბილისში ტალიავინის დასკვნას ელოდნენ და რუსეთიდან წამოსული ბრალდება შედარებით მსუბუქად გაატარეს. პროტესტი მხოლოდ რამდენიმე ექსპერტმა გამოთქვა.

მათი განმარტებით, შემთხვევითი არ არის, რომ მოსკოვმა საქართველოს დადანაშაულება განაახლა. ექსპერტების მოსაზრებით, რუსეთი ამ ბრალდებებით საქართველოს წინააღმდეგ ახალი პროვოკაციის მოწყობისთვის ახალ ნიადაგს ამზადებს.

სექტემბერში რუს ფედერალებს სიტყვა ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმაც შეაწია. მისი განცხადებით, ჩეჩნეთში მებრძოლები საქართველოს ტერიტორიიდან შედიან. კადიროვმა მაშინ საქართველოს გარდა აზერბაიჯანიც დაადანაშაულა.

საქართველოს ხელისუფლებამ კადიროვის ბრალდება უარყო. ბრალდებას აბსურდული უწოდეს ბაქოშიც. საქართველოში ჩეჩნური დიასპორის ხელმძღვანელი ხიზრი ალდამოვი კი თვლის, რომ ამ ბრალდებით კადიროვმა კრემლს მორიგი სამსახური გაუწია.

ალდამოვის აზრით, დასავლეთში აღარავის აღარ სჯერა რუსეთის გამოთქმული ბრალდებები საქართველოს მიმართ. მისი თქმით, კადიროვს სწორედ ამიტომ გააკეთებინეს ეს განცხადება. ჩეჩნური დიასპორის ხელმძღვანელმა ეჭვი გამოთქვა, რომ რუსეთი საქართველოს გარდა აზერბაიჯანის წინააღმდეგაც აპირებს პროვოკაციის მოწყობას.

კადიროვის ბრალდებას რუს ჩინოვნიკებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ბოლო ორი კვირის განმავლობაში რუსი ძალოვანები ერთმანეთის მიყოლებით სდებენ ბრალს საქართველოს ბოევიკების მფარველობაში.

ამ ბრალდებებმა იმდენად მასობრივი სახე მიიღო, რომ სააკაშვილის ეკონომიკური სიახლეებით აღფრთოვანებული ნაციონალებიც კი აღშფოთდნენ. აღშფოთდა საპარლამენტო ოპოზიციაც. არასაპარლამენტო ოპოზიციას კი არც ბოევიკებისთვის, არც რუსეთის ბრალდებებისთვის და არც მსგავსი რამეებისთვის არ სცხელათ.

გუშინდელმა განცხადებამ კი მათი მოთმინების ფიალაც აავსო. არასაპარლამენტო ოპოზიცია ძალიან შეწუხდა, როცა რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის უფროსის გამოსვლას მოუსმინა.

რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის დირექტორმა ალექსანდრ ბორტნიკოვმა საქართველოს სპეცსამსახურები ალ-ქაიდასთან თანამშრომლობაში დაადანაშაულა.

მისი განცხადებით, საქართველოს სპეცსამსახურები ალ-ქაიდას ემისრებს ჩეჩნეთში ტერორისტების გადასროლაში, დაღესტანში კი, იარაღის შეტანაში ეხმარებიან.

გუშინ გამართულ საგანგებო სხდომაზე ბორტნიკოვმა მისი უწყების მიერ მოპოვებულ მასალებზეც ისაუბრა.

— ბოევიკების აუდიოანგარიშები ადასტურებენ, რომ მათ და ალ-ქაიდას ემისარებმა კონტაქტები დაამყარეს საქართველოს სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან, რომელთა მონაწილეობით ორგანიზებულია ტერორისტების მომზადება და მათი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გადასროლა. გარდა ამისა, ისინი მუდამ ცდილობენ დაღესტანში დივერსიების მოწყობის მიზნით, იქ იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და ფინანსური სახსრების შეტანას. დივერსანტების სამიზნეები დაღესტნის ნავთობ და გაზსადენებია, — ამბობს რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის უფროსი.

დაბალი რანგის მოხელეების განცხადებებისგან განსხვავებით, ეს განცხადება ბევრად უფრო სერიოზულია. თუნდაც იმიტომ, რომ ეს ადამიანი უსაფრთხოების სამსახურს ხელმძღვანელობს და ის შემთხვევით ამ განცხადებას არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებდა.

ექსპერტების განმარტებით, არ არის გამორიცხული, რუსეთი საქართველოზე დარტყმისთვის ნიადაგს ამზადებს. ტერორისტებს ყველგან ებრძვიან და რუსეთი თუ დაამტკიცებს, რომ საქართველოში ტერორისტები არიან, მის ქმედებას აღარავინ დაგმობს.

ამ თემის გამოყენებას რუსეთი უკვე ათი წელია რაც ცდილობს. 1999 წლიდან მოყოლებული რუსეთი სულ იმას ამტკიცებს, რომ ჩეჩნეთში ბოევიკები საქართველოს ტერიტორიიდან შედიან.

რუსეთის სპეცსამსახურები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ პანკისის ხეობის ტერიტორიაზე ტერორისტების მოსამზადებელი რამდენიმე ბანაკი ფუნქციონირებდა. რუსების მტკიცებით, ჩეჩენ მებრძოლებს ამ ბანაკებში ამერიკელი და თურქი ინსტრუქტორები ამზადებდნენ.



ბოევიკების „მფარველობის“ გამო იმ წლებში რუსეთმა საქართველოს ტერიტორია რამდენჯერმე დაბომბა. პანკისის ხეობაში ვითარება უკიდურესად იყო გამწვავებული. ამ მხრივ ვითარება 2002 წლის აგვისტოს დამლევს განეიტრალდა, როცა საქართველოს ხელისუფლებამ პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაცია ჩაატარა. ამ ოპერაციაში თავდაცვის, უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები მონაწილეობდნენ.

სპეცოპერაცია ქართული მხარისთვის წარმატებულად ჩატარდა. პანკისში მყოფმა ჩეჩენმა მებრძოლებმა საქართველოს ტერიტორია ყოველგვარი შედაკებების გარეშე დატოვეს.

ამის შემდეგ რუსეთმა პანკისის თემით ვაჭრობას ცოტა ხნით თავი დაანება. ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება ძალიან დაუტკბა რუსეთს. შესაბამისად, აღარც რუსეთს აწყობდა ვარდოსნების დადანაშაულება. იმავე პერიოდში საქართველომ და რუსეთმა გადაწყვიტეს ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის ჩამოყალიბება.

გასაგები თუ გაუგებარი მიზეზების გამო, რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები მალევე გაფუჭდა და რუსეთმა სასწრაფოდ გაიხსენა პანკისის ხეობა. შარშანდელ ომამდე პანკისში მყოფ ბოევიკებზე ძალიან ბევრს საუბრობდნენ.

რუსეთის სპეც-სამსახურები სხვადასხვა სახის გეგმებსაც აფრიალებდნენ. ერთ-ერთი გეგმის მიხედვით, პანკისში მომზადებულ ჩეჩენ ბოევიკებს უნდა აეფეთქებინათ როკის გვირაბი.

რუსეთის სპეცსამსახურების მტკიცებით, დიმიტრი სანაკოევის დაქვემდებარებაში მყოფი სამართალდამცავი სტრუქტურები ჩეჩენი ბოევიკებით იყო დაკომპლექტებული. ომის დროს კი გამოჩნდა, რომ ჩეჩენი ბოევიკები არა ქართველების, არამედ ოსების და რუსების მხარეს იბრძოდნენ. ბასაევის მებრძოლების მსგავსად მათ ამჯერად ქართველების წინააღმდეგ სისასტიკე აღარ გამოუჩენიათ. თუმცა, ეს ბევრს არაფერს ცვლის.

ვითარება, როგორც ჩანს, არც პანკისის მიმართულებით იცვლება. რუსეთი ისევ ამტკიცებს, რომ პანკისის ხეობაში ტერიტორისტების მოსამზადებელი ბანაკია. გამორიცხული არაა, რუსების მორიგი სამიზნე პანკისის ხეობა გახდეს. მით უმეტეს, რომ რუსებს უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც პანკისის ჯინი სჭირთ. სასურველ შედეგს კი ისინი, სამწუხაროდ, ყოველთვის აღწევენ.

იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ხელისუფლება გონიერებას გამოიჩენს. ოპოზიცია ხელისუფლებას ამ საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევისკენ მოუწოდებს. მათი თქმით, პანკისის ხეობა საერთაშორისო დამკვირვებლებმა კარგად უნდა დაათვალიერონ, რათა დარწმუნდნენ, რომ იქ არანაირი ბოევიკები არ არიან.

ბოევიკების გარდა, პანკისთან დაკავშირებით სხვა სახის პროვოკაციული ინფორმაციებიც ვრცელდება. ამ თემაზე რუსული პრესა დიდი ინტერესით წერს ხოლმე. რუსული მედიის და სპეცსამსახურების ცნობით, ქართველებმა პანკისის ტერიტორიაზე სამხრეთ ინგუშეთის შექმნა გადაწყვიტეს. რომელსაც რაღაც პერიოდში აღიარებენ კიდევაც.

ამ მოსაზრებას თბილისში აბსურდი უწოდეს. თუმცა ამან მოსკოვზე არანაირი გავლენა არ მოახდინა. მოსკოვში ისევ ამტკიცებენ, რომ პანკისში საეჭვო ძვრები მიმდინარეობს და არაა გამორიცხული, იქ რაიმე პროვოკაცია განხორციელდეს.

მართალია მთელი ყურადღება პანკისზეა გადატანილი, მაგრამ რუსული აგრესიისგან არც სხვა რეგიონებია დაცული. არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ რუსები ალ-ქაიდას ტერორისტული ბანაკების ქსელს საქართველოს რომელიმე სხვა რეგიონში არ „აღმოაჩენენ“.

# სააკაშვილი ტელევიზიებს რეგიონებშიც ეპოტინება

ნათია ხურცილავა

ოპოზიციურ არხად ცნობილი ტელევიზია ტევე-25 შეიძლება დაიხუროს. ამის მიზებენ იმისთვის, რომ კიდევ ერთი თავისუფალი ტელეარხი არ დაიხუროს.

16 ოქტომბერს ზურაბ ნოღაიდელი აჭარაში აქციის გასამართად ჩავა. მისი თქმით, ამ აქციის მსგავს უსამართლობას გააპროტესტებს.



— სააკაშვილი და მისი რეჟიმი ეპოტინება კიდევ ერთ რეგიონალურ ტელევიზიას ტევე-25. ამ ყველაფერს სააკაშვილის ხელისუფლება მოგონილი ბრალდებებით აკეთებს. ასლან აბაშიძის დროს დარიცხული გადასახადები არის თითქოს მიზეზი. ამ საბაბით უნდათ ტელევიზიის განადგურება. მინდა იცოდეს სააკაშვილმა, მისმა რეჟიმმა და მოსახლეობამ, რომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს არ დავუშვათ. ჩვენ დავიწყებთ ამისთვის მოქმედებებს. დაუშვებელია ტერორის განხორციელება. მხოლოდ კუნძულები შემოგვრჩა თავისუფალი აზრის გამოსათქმელად. ანალოგიური შეტევა ხორციელდება „მაესტროს“ წინააღმდეგაც. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ თავისუფალი აზრის გამოსათქმელი ადგილები და რაც მთავარია შევინარჩუნებთ კიდეც. ამის მისაღწევად ჩვენ მრავალფეროვნად ვიმოქმედებთ თუ შეიძლება ითქვას. 16 ოქტომბერს მე მივდივარ აჭარაში აქციის გასამართად, — განაცხადა ნოღაიდელმა.

ზი აბაშიძის დროს დარიცხული დავალიანების გადაუხდელობა შეიძლება გახდეს.

ტევე-25 აჭარის რეგიონალური არხია. მისი დაფარვის არეალი აჭარის რეგიონია.

ამ საკითხს „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი გამოეხმაურა. ნოღაიდელი ამ საქმეში ხელისუფლების ბოროტ ზრახვას ხედავს. მისი თქმით, ტელევიზიის ქონების აუქციონზე გატანა იგეგმება.

ყოფილი პრემიერი აცხადებს, ყველაფერს გააკეთე-

# ოტობაიას სკოლაში ვლადიმერ პუტინის სურათის ჩამოკიდება მოითხოვეს

## რუს მაღალჩინოსნებს 19 წლის წინანდელი აზროვნება შემორჩათ

ნანა მიშელაშვილი

მოსკოვის მორიგ ბრალდებებს თბილისში უპასუხეს. საპარლამენტო ოპოზიცია და უმრავლესობა გუშინ იმ ბრალდებებს პასუხობდა, რომელიც რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორმა გაახმოვანა. რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორი ქართულ სპეცსამსახურებს ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ტერორისტების გადაყვანაში ადანაშაულებს.

ქართველი დეპუტატები ამ ბრალდებებს ტყუილს და უაზრო ცილისწამებას უწოდებენ. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც რუსეთის სხვადასხვა რანგის თანამდებობის პირები საქართველოს მიმართ ამგვარი ბრალდებით გამოდიან. გასულ კვირას მსგავსი განცხადება რუსეთის შსს-ს წარმომადგენელმაც გააკეთა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მოსკოვის მორიგ ბრალდებებს საქართველოში შეიარაღებული ტერორისტების არსებობის შესახებ ტყუილად და უაზრობად აფასებს.

პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები საქართველოს მხოლოდ ორ რეგიონში — აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთშია.

რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა წარმომადგენლის განცხადებას დავით ბაქრაძე ორი გარემოებით ხსნის და აცხადებს, რომ მოსკოვი, ერთი მხრივ, საქართველოსგან მუდმივი მტრის ხატის შექმნას ცდილობს და ამავდროულად სწორედ ამ გზით აპირებს იმ პრობლემების ახსნას და გამართლებას, რომელიც მას ჩრდილოეთ კავკასიაში შეექმნა.

დავით ბაქრაძის აზრით, რუსი მაღალჩინოსნების გონივრული განვითარება 10 წლის წინანდელ პერიოდს ვერ გასცდა და მათი რიტორიკა იმ წლების იდენტური დარჩა.

პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია რუსეთის მორიგ ბრალდებებს ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მოსკოვში ვიზიტს უკავშირებს.

მოსკოვის ბრალდებებთან დაკავშირებით დავითაია აცხადებს, რომ საქართველოში არანაირი ტერორისტები არ არიან და ეს მარტივად გადასამოწმებელია.

— რუსეთის მორიგი ბრალდებები ჰილარი კლინტონის მოსკოვში ვიზიტს უკავშირდება. ვაჭრობა მიდის, კლინტონი მოითხოვს რაღაც საკითხებს და რუსები იტყვიან, რომ საქართველოში ტერორისტები არიან, — ასეთია პაატა დავითაიას მოსაზრება.

საკუთარი წინადადებები აქვთ „ქრისტიან-დემოკრატებს“. ამ ფრაქციის წევრის ნიკა ლალიაშვილის განცხადებით, ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით განხორციელებული მონიტორინგით რუსეთის ცრუ ბრალდებები საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული დაჯგუფებების არსებობის შესახებ გაბათილდება.

ნიკა ლალიაშვილი მიიჩნევს, რომ კრემლის მხრიდან საქართველოში ტერორისტების არსებობის შესახებ ბრალდებები არა თუ გაგრძელდება, არამედ კიდევ უფრო გამწვავდება, რასაც მოსკოვი ახალი სამხედრო დარტყმებისათვის გამოიყენებს.

ამის მაგალითად ლალიაშვილი 2001-2002 წლების მოვლენებს და პანკისის ხეობის საკითხთან დაკავშირებულ ფაქტებს იხსენებს, როცა ანალოგიური ბრალდებების შემდეგ ხეობაზე საჰაერო დარტყმები ხორციელდებოდა.

შევარდნაძის ხელისუფლების დროს, რუსი სამხედროებისა და თანამდებობის პირების განცხადებებს პანკისთან დაკავშირებით საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა და პროვოკაციები მოსდევდა. სწორედ ამ ფაქტებს იხსენებს საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი.

იმ დროს, როცა რუსეთის სხვადასხვა რანგის თანამდებობის პირები საქართველოს ტერორისტების მომზადებასა და გადაყვანაში ადანაშაულებენ, რუსმა სამხედროება სხვა კუთხით გამოიჩინეს თავი.

არც მეტი, არც ნაკლები, მათ გალის რაიონის სოფელ ოტობაიას მე-16 საჯარო სკო-



ლაში ვლადიმერ პუტინის ფოტოსურათის დაკიდება მოითხოვეს. ამის შესახებ ინფორმაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დალი ხომერიკმა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს გუშინ მიაწოდა.

ამ საკითხის გარდა შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს გალის რაიონის სკოლებში არსებულ პრობლემატურ საკითხებზე. გაირკვა, რომ ვერ ხერხდება ქართული წიგნების საზღვარზე გადატანა, რითაც საფრთხე ექმნება სასწავლო პროცესის ქართულად წარმართვას.

— გალის რაიონში მასწავლებლებს აიძულებენ, უარი თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი მათ ანტიკონსტიტუციურ ქმედებებში დაადანაშაულებენ, — განაცხადა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დალი ხომერიკმა.

# ოპოზიცია 7 ნოემბრისთვის ემზადება

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციის გეგმები ისევ გაურკვეველია. ერთადერთი, ვინც გაარკვია, რომ ადგილობრივ არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, ირაკლი ალასანია და მისი ალიანსია. თუმცა, ოფიციალურად ჯერ არჩევნები დანიშნული არ არის. ხელისუფლებაში კი დიდი იმედი აქვთ, რომ თბილისის მერი ისევ გიგი უგულავა იქნება. თუმცა, თუ ჭორებს დავუჯერებთ, შესაძლებელია სააკაშვილი ალასანიას გაურიგდეს და თბილისის მერი ალასანია გახდეს, რაც ერთგვარი ტრამპლინი იქნება მისთვის პრეზიდენტის პოსტზე. მიუხედავად ასეთი ჭორებისა, რეალურად ამ ვარიანტის გათამაშებისთვის არავითარი წინაპირობა არ არსებობს. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა ალასანიას უშიშროების გაფართოებული საბჭოს სხდომაზე ბოიკოტის გამოცხადებამ. რეალურად არავითარი წინაპირობა არ ჰქონდა ალასანიას, რომ უშიშროების გაფართოებულ საბჭოზე მისულიყო, რადგან წინა სხდომაზე მან მიიღო მონაწილეობა და თავისი წინადადებათა პაკეტიც შესთავაზა, მაგრამ არც ერთი მისი შეთავაზება სააკაშვილმა არ გაითვალისწინა.**



ქუჩის ოპოზიციად წოდებულებმა სააკაშვილთან ერთად გამოჩენაზე უშიშროების საბჭოს სხდომაზე უარი თქვეს. ზვიად ძიძიგურის განცხადებით, რეალურად იქ არაფერი არ წყდება და ეს ყველაფერი სააკაშვილს დემოკრატი მმართველის იმიჯის შესაქმნელად სჭირდება. თუმცა, იყვნენ ისეთები, ვინც არ ითაკილეს პრეზიდენტთან ერთად მრგვალ მაგიდასთან დასხდომა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე საუბარი. ისე, აღნიშვნის ღირსია აკაკი ასათიანის და პრეზიდენტის გაბაასება. როგორც ჩანს, აკაკი ასათიანის გამოჩენით სააკაშვილი კმაყოფილი დარჩა, რადგან ამით მას საბაბი მიეცა, რომ თქვას, ქუჩის ოპოზიცია თუ ვერ შემოვირიგე, აგერ „ძველი გვარდიელი“ ჩემს გვერდითააო.

ისევ ოპოზიციას რომ დავუბრუნდეთ, ალიანსის შემდეგ განცხადება ნინო ბურჯანაძემ გააკეთა „დემოკრატიულ ფრონტთან“ დაკავშირებით. „დემოკრატიული ფრონტი“ ოპოზიციის ისევ გაერთიანებას გულისხმობს. თუმცა, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ამ განცხადებას ოპოზიციის დიდი ნაწილი სიფრთხილით ეკიდება. ერთადერთი, ვინც ღიად თანხმობა განაცხადა, ირაკლი ოქრუაშვილია. დანარჩენები კი ბურჯანაძის მიერ გახმოვანებულში მონაწილეობისგან თავს იკავებენ.

კიდევ ერთი იდეით სალომე ზურაბიშვილი გამოვიდა. სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციას 7 ნოემბერს გამოსვლისკენ მოუწოდებს. ზურაბიშვილმა ეს განცხადებმა მისი და მისი პარტიის სახელით გააკეთა. ეს განცხადება ოპოზიციური პარტიის ლიდერებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ამ საკითხზე კონსულტაციები სალომე ზურაბიშვილს დანარჩენებთან არ უწარმოებია.

ვინ გამოვა 7 ნოემბერს ქუჩაში და ვინ არა, ეს ალბათ 7 ნოემბერს გახდება ცნობილი.

უკვე რამდენიმე ოპოზიციური იდეა დაფიქსირდა. პირველი, ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა და ამ გზით ხელისუფლების შეცვლა ჯერ თვითმმართველობის დონეზე. მეორე, „კონსერვატორების“ იდეა, რომელიც პრაიმერის გზით გულისხმობს მერობის კანდიდატის გამოვლენას და საერთო ლიდერის არჩევნებს. პრაიმერი ოპოზიციისთვის მისაღები არ აღმოჩნდა. ბურჯანაძის იდეაც ჯერ ისევ გამოუხმაურებელი რჩება. სალომე ზურაბიშვილის შეთავაზებამ, რომ 7 ნოემბერს ისევ პარლამენტის წინ შეიკრიბონ, დანარჩენები, შეიძლება ითქვას, შოკში ჩააგდო.

ოპოზიცია რამდენიმე მიმართულებად არის დაყოფილი. მათი გაერთიანება თითქმის შეუძლებელი და წარმოუდგენელიც კი არის.

ჯერ ოპოზიცია მთავარ საკითხზე ვერ შეთანხმებულა, არჩევნების შემთხვევაში ვინ მიიღებს მონაწილეობას და ეყოლებათ თუ არა საერთო კანდიდატი. თუ ოპოზიცია ვერ შეთანხმდა საერთო კანდიდატზე, მაშინ ეს ხელისუფლებას ხელს აძლევს. ეს იქნება წინაპირობა, რომ არაერთხელ ნანახი სურათი კვლავ განმეორდეს. მარტივი ლოგიკაა, ოპოზიცია ერთმანეთს ხმებს წაართმევს და გამარჯვებაც ხელისუფლებას დარჩება.

შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიცია მოლოდინშია. ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ ტალიავინის კომისიის დასკვნას ელოდებოდნენ და შემდეგ შესაბამისად იმოქმედებდნენ. ტალიავინის კომისიასთან დაკავშირებით ყველა ოპოზიციურმა პარტიამ თავისი პოზიცია უკვე გამოხატა, მაგრამ ტალიავინის კომისიის დასკვნა ვერ იქცა ქვეყანაში ოპოზიციური ძვრების საწყისად.

კიდევ ერთი ოპოზიციური მოძრაობა, რომლის სათავეშიც ლევან გაჩეჩილაძეა, თავის პოზიციებს დღეს გაახმოვანებს. ლევან გაჩეჩილაძე და მისი არასამთავრობო ორგანიზაცია „დაიცავი საქართველო“ სასტუმრო „რედისონში“ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე იმსჯელებს.

ლევან გაჩეჩილაძის პოლიტიკური გეგმები ჯერ ისევ გაურკვეველია. ჯერ ისევ უცნობია, იყრის თუ არა კენჭს მერის პოსტზე, დაუპირისპირდება თუ არა ალასანიას.

ლევან გაჩეჩილაძემ ყველა ოპოზიციურ პარტიას და არასამთავრობო ორგანიზაციას მოსაწვევი გაუგზავნა და თავიანთი გეგმების და მოსაზრებების მიტანაც სთხოვა.

რამდენად იქნება საქმიანი შეხვედრა და რა შეთანხმებას მიაღწევს ოპოზიცია ლევან გაჩეჩილაძესთან ერთად, დღესვე გახდება ცნობილი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ „დაიცავი საქართველოს“ დაფუძნების დღეს ითქვა, რომ ორგანიზაცია პოლიტიკურ პარტიად არ გადაკეთდება და არც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. შეიცვლება თუ არა ეს პირობა, ესეც დღეს გახდება ცნობილი.

ოპოზიციურ ფლანგზე დიდი გაურკვევლობის მიზეზი შეიძლება ისიც არის, რომ მათ პირველობა ვერ დაუთმიათ. ამბიცა, რომელიც ყველას, შესაძლებლობების მიუხედავად, ერთნაირი აქვთ, ბრძოლა პირველობისთვის, ყოველთვის იყო და იქნება აქტუალური მით უფრო ქართული პოლიტიკისთვის. თუმცა, ამასობაში გვერდზე რჩებათ მთავარი, საზოგადოებრივი აზრი, განწყობა მათ მიმართ, ქვეყანაზე ზრუნვის წარმოჩენა, ახსნა იმის, თუ რა და როგორ შეუძლიათ, ბოლოს და ბოლოს რეიტინგი, რომელზეც ზრუნვა არც თუ ურიგო უნდა იყოს მათთვის.

# საპროტესტო აქციებით ხელისუფლებას ვერ შევცვლით

**უშიშროების საბჭოს სხდომაზე ხელისუფლებამ და ოპოზიციამ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე პოზიციები შეაჯერეს. ერთ-ერთი იყო ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხი. პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ლაღი ე თვლის, რომ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისას ოპოზიციამ მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინოს.**

შორენა გონგლა ე

***— ბატონო გიორგი, ოპოზიციის გარკვეულმა ნაწილმა უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა გარკვეული მიზეზების გამო, თუმცა, როგორ ფიქრობთ, რამდენად პროდუქტიული იყო ეს შეხვედრა?***

— პირველ სხდომაზე, რომელსაც ოპოზიციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, დაყენებული იყო პოლიტპატიმართა გათავისუფლების საკითხი. სამწუხაროდ, საკითხი ხელისუფლების მხრიდან არ იქნა გადაწყვეტილი და პოლიტპატიმრები დღეს საქართველოში ისევ მრავლად არიან. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ გუშინ ოპოზიციის გარკვეული ნაწილი არ დაესწრო უშიშროების საბჭოს სხდომას და მიმაჩნია, რომ ეს არის სრულიად სამართლიანი. ხელისუფლებას, პირველ რიგში, უნდა ჰქონდეს თავისი პრინციპები და, როდესაც იტყვის სიტყვას, ის უნდა იქნეს რეალურად შესრულებული, თუ უნდა, რომ ქვეყანაში განიმუხტოს შექმნილი სიტუაცია. რაც შეეხება გუშინდელ სხდომას, მე ვიტყოდი, რომ მაინც მნიშვნელოვანი იყო ამ სხდომაზე ოპოზიციის დასწრება, ვინაიდან ჩვენ ვდგავართ ძალიან სერიოზული გარესაფრთხეების წინაშე და, აქედან გამომდინარე, არა მარტო ხელისუფლების გადასაწყვეტია ეს პრობლემა, არამედ ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროცესებში ოპოზიციის ჩართვაც. სხდომაზე განხილულ იქნა ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი. ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ ყოველი ჟენევის მოლაპარაკების შემდგომ საგარეო საქმეთა მინისტრი ანგარიშით წარდგება პარლამენტის წინაშე და, მე ვფიქრობ, ეს მეტ გამჭვირვალობას შესძენს ამ მოლაპარაკებებს, რაც დადებითი მომენტია. მინდა მოვუწოდო ხელისუფლებას, რომ პიარის დონეზე კი არ უნდა იყოს ეს ყველაფერი, არამედ რეალურად უნდა გამომდინარეობდეს მათი თითოეული გადაწყვეტილება სახელმწიფოს ინტერესებიდან. დღეს, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის იმიჯი საკმაოდ არის შელახული საერთაშორისო არენაზე და პირველ რიგში ხელისუფლებამ უნდა იმსჯელოს იმაზე, თუ როგორ შეიძლება ქვეყანა გამოვიდეს ამ ჩიხური მდგომარეობიდან. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ პირველ რიგში არა დემოკრატიის ახალი ტალღების გამოცხადებაა მნიშვნელოვანი, არამედ უნდა არსებობდეს კეთილი ნება, რომ ხელისუფლებამ რეალურად გაატაროს დემოკრატიული და სამართლიანი რეფორმები, უნდა დაიხვეწოს საარჩევნო სისტემა, ვინაიდან უკვე ვუახლოვდებით საარჩევნო ციკლს, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს რა საარჩევნო კოდექსიც გვაქვს ამ ყაჩაღი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პირობებში, ნამდვილად ვერ ჩატარდება დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები. მე ვფიქრობ, რომ ამ საკითხების მოგვარება ქვეყანას გამოიყვანს შექმნილი ჩიხური მდგომარეობიდან.

***— მაგრამ, თუკი ოპოზიციის აზრი არ იქნა ბოლომდე გათვალისწინებული, გამოდის, რომ ოპოზიციის პროტესტი სამართლიანია. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ პიარზეა დაფუძნებული?***

— ოპოზიციის პროტესტი იყო საკმაოდ სამართლიანი, როდესაც მათ პროტესტი განაცხადეს, უშიშროების საბჭოს სხდომას დასწრებოდნენ, ვინაიდან ხელისუფლებამ არ შეასრულა ის დანაპირები, რომელიც შეეხებოდა პოლიტპატიმრების გათავისუფლებას, თუმცა ძალიან ცუდი მომენტი იყო ის, რომ ამ პოლიტპატიმართა სიაში, რომელიც ოპოზიციამ ხელისუფლებას გადასცა, არ იყვნენ ე.წ. იგორ გიორგაძის მომხრეები, არ იყო ნორა კვიციანი და სხვები, პრაქტიკულად, შემჭიდროებული იყო ეს სია. ამან გამოიწვია პირველ რიგში ჩემი გაკვირვება.



***— შემდეგი საკითხი შეეხებოდა ოკუპირებული ტერიტორიების თემას. როგორც ითქვა, ლაპარაკი იყო იმ პოლიტიკაზე, რომელიც გატარდება ამ საკითხის მიმართ, მაგრამ ამის პარალელურად, მოდით, გავიხსენოთ მოსკოვის პოზიცია, რომ ისინი არ დაელაპარაკებიან სააკაშვილს. აქედან გამომდინარე, ახალი პოლიტიკის გატარების ეფექტურობაც ეჭვქვეშ დგება.***

— პირველ რიგში ვთქვათ ის, რომ რუსეთის გადასაწყვეტი არ არის, ვინ იქნება საქართველოს პრეზიდენტი, ამიტომ ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩვენი ხედვა და სტრატეგია, რაც, ვფიქრობ, ნამდვილად არ არის ვილაცასთან შესათანხმებელი და პირველ რიგში — რუსეთთან. რუსეთს აქვს საკუთარი ხედვა. მან სამხედრო საწყობად აქცია საქართველოს ტერიტორიის ეს ნაწილი, მაგრამ ჩვენ უნდა გვქონდეს ისეთი ხედვა, რომელიც გამოვა საქართველოს ნაციონალური ინტერესებიდან. ეს არის ამ შემთხვევაში უმთავრესი. სააკაშვილის ყოფნა-არყოფნის საკითხია პირველ რიგში ქართველი ხალხის გადასაწყვეტი. ქართველმა ხალხმა იცის ყველაზე უკეთ, როდის და რა ფორმით შეიცვლება ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ყოველგვარი ძალადობის გარეშე. ჩვენი ხედვა თავისი არსით, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება რუსეთს, როგორც ოკუპანტ სახელმწიფოს, მაგრამ ერთია, რომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩამოყალიბდეს ქართული სახელმწიფოს ხედვა და, მიუხედავად ამდენი წინააღმდეგობისა, მიზანმიმართული პოლიტიკა იქნეს ამ ტერიტორიების მიმართ გატარებული.

***— ახალ ოპოზიციურ გაერთიანებაზე რას იტყვით, რამდენად ეფექტური იქნება ეს გაერთიანება იმისთვის, რომ ოპოზიცია ამ ჩიხური მდგომარეობიდან გამოიყვანოს?***

— არაერთხელ მითქვამს, რომ დიალოგს არ აქვს ალტერნატივა, ამიტომ უმჯობესია, ოპოზიციაც და ხელისუფლებაც მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას, ვინაიდან ქვეყანა იმყოფება უმძიმეს პოლიტიკურ კრიზისში, ვინაიდან აქციები უფრო უკან დასწევს ქართულ ეკონომიკას, ქართულ პოლიტიკას, მით უმეტეს, რომ სამთვიანმა აქციებმა გვიჩვენა, სააკაშვილი არსად წასვლას არ აპირებს და მით უმეტეს აქციების გზით. თუმცა ეს ხელისუფლება ძალიან ბევრ საკითხში იჩენს სიბრიყვეს. რატომღაც მრჩება შთაბეჭდილება, რომ მათ არ უნდათ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის განმუხტვა, ვინაიდან პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით ერთი ნაბიჯიც კი არ გადადგეს, ხალხს თვალში ნაცარს აყრიან, როდესაც აცხადებენ, რომ მიმდინარეობს სასამართლო რეფორმა. არანაირი რეფორმა არ მიმდინარეობს. ეს საკითხი წლების განმავლობაში ერთ ადგილზეა გაყინული, რაც საზოგადოების გაღიზიანებას იწვევს. ხელისუფლება თავისი უგუნური ქმედებებით საზოგადოებას უბიძგებს, გამოვიდეს ქუჩაში. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში ხალხმა უნდა გამოიჩინოს სიბრძნე და თითოეულმა მოქალაქემ უნდა იაზროვნოს ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. სააკაშვილს და მის ხელისუფლებას რომ უამრავი ცოდვა აქვთ ჩადენილი, აქ ნამდვილად არ არსებობს ორი აზრი, მაგრამ ერთია, თუ ვინ მოუწოდებს საზოგადოებას ამ კონკრეტულ შემთხვევაში გაერთიანებისკენ, თუნდაც იგივე ნინო ბურჯანაძე, რომელიც თვითონ იყო ხელისუფლებაში და უამრავი შეცდომა დაუშვა ამ ადამიანმა. მის ირგვლივ გაერთიანება, რბილად რომ ვთქვათ, დიდ შეცდომად მიმაჩნია. საპროტესტო აქციებით ხელისუფლებას ნამდვილად ვერ შევცვლით, მაგრამ იმ აქციებმა, რომლებიც სამი თვის მანძილზე მიმდინარეობდა, თავისი ლოგიკური შედეგი გამოიღო იმ თვალსაზრისით, რომ ხელისუფლება საკმაოდ დამფრთხალია და ფრთხილად ეკიდება საზოგადოების აზრს. მე თავიდანვე შორს ვიყავი იმ აზრისგან, რომ სააკაშვილს აქციების გზით გადააყენებდნენ, მაგრამ, თუ აქციების მიმდინარეობა სწორად იქნებოდა წარმართული, მაშინ შეიძლებოდა მიგვეყო რაღაც შედეგი. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ახლა ნამდვილად არ არის აქციების დრო, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ხელისუფლება კრიტიკის ქარცეცხლში უნდა გავატაროთ, პირველ რიგში უნდა ვაიძულოთ, შეცვალოს საარჩევნო კოდექსი და ყველა პოლიტიკური ძალა მოემზადოს მომავალი არჩევნებისათვის.

***— როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია რამდენად მოახერხებს საარჩევნოდ გაერთიანებას და ერთიანი კანდიდატის წარდგენას?***

— პირველ რიგში მიმაჩნია, რომ ცოტა ნაადრევი იყო ირაკლი ალასანიას მხრიდან თავისი კანდიდატურის დასახელება მერის თანამდებობაზე, მე ვფიქრობ, რომ ერთ კანდიდატზე შეთანხმება ვერ მოხდება, ვინაიდან საკმაოდ ამბიციურია ჩვენი ოპოზიცია. აქედან გამომდინარე, ამბიციები სხვა პოლიტიკურ ძალებსაც გაუჩნდებათ. თუ ვერ მოხერხდა ერთ კანდიდატზე შეთანხმება, სამწუხაროდ, ეს ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალს.

# ჩეჩნეთისა და ინგუშეთის დამოუკიდებლობის აღიარება დანაშაულია

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მომხრე წევრებს მორალურ უფლებას მისცემს თქვან, რომ რუსეთმა უკვე ერთ მოთხოვნა შეასრულა და ნუ წავართმევთო ხმის უფლებას; ამიტომ სჯობს ისევ დრო გავწელოთ და მოსკოვს ძველი ვალდებულებები შევახსენოთო.

დამკვირვებლების ეს შეშვება ერთჯერადი და არაეფექტური იქნება. შეიძლება ეს საერთოდაც ევროსაბჭოს დონეზე მოხდეს და არა ევროკავშირის, შტატების, ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით. ანუ თუ ჩვენი ხელისუფლება უპრინციპოდ მოიქცევა, შეიძლება იქ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია შევიდეს და მისი სტატუსი რეგიონში მკვეთრად განსაზღვრული არც იყოს. ოსები ითხოვენ, რომ ამ მისიას ერქვას მისია ცხინვალში და ჩვენ — მისია საქართველოში. შეიძლება მანდატი იყოს გაეროს ფორმატში, სადაც მითითებული არ იქნება არც ცხინვალი და არც თბილისი. მოსალოდნელია, რომ ამ ფორმატში მათ იანვრამდე შეუშვებენ. მაგრამ ეს იქნება მხოლოდ მოჩვენება როგორც რუსეთის მხრიდან, ასევე ევროპის მხრიდან. იტყვიან, რომ აი, ხომ შეუშვეს, პროგრესი გვაქვს და ტაში, რეალურად კი ეს არაფრისმომცემი იქნება.

***— ანუ აქ საუბარია მხოლოდ და მხოლოდ ახალგორში შეშვებაზე?***

— ჩემი პროგნოზით ამ ეტაპზე ძირითადად ასე იქნება. რუსები იტყვიან — დავიწყოთ, მოვსინჯოთ და თუ პრობლემები არ არის, მაშინ აღარ შევუშვებთო. იმიტომ, რომ ჩვენ თვითონაც კარგად ვაკონტროლებთო და ა.შ. ამისთვის ახალგორში ქმნიან სოციალურ ფონს, იქ დღეს მიდის სოციალური დახმარებები, ხელფასები, ჰუმანიტარული დახმარებები, ხელშეწყობები და ა.შ.

***— რაც შეეხება აფხაზეთს, ბაღაფშმა ამ შეშვების სანაცვლოდ მათი „დამოუკიდებლობის“ აღიარება მოითხოვა. ამაზე რა რეაგირება იქნება?***

— ცხინვალისგან განსხვავებით, აფხაზეთში რუსები ჯერჯერობით არავის შეუშვებენ. დაელოდებიან იმ პროცესს, სანამ ქართველების პასპორტიზაცია იქ დასრულდება. ასევე დაელოდებიან საპრეზიდენტო არჩევნებს აფხაზეთში. მერე აафრიალებენ დროშას, რომ გალის მთელმა მოსახლეობამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო. ხოლო ამით მაქსიმალურად შეეცდებიან თავიდან აირიდონ დამკვირვებლების შეყვანა. ჩემი აზრით, რუსები აფხაზეთთან კიდევ დიდხანს არავის გააკარებენ.

# ვაშინგტონი მოსკოვს არ გაალიზიანებს

**ტალიავინის მისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს მიმართ დასავლეთში ჩამოყალიბებულ რეალობაზე, აგრეთვე, იმაზე, თუ რამდენად შეუწყობს ხელს დასკვნა დასავლეთისა და აშშ-ს საქართველოს უსაფრთხოების გა ლიერებაში მეტ ჩართულობას; რამდენად რეალურია საქართველოში აშშ-ის სამხედრო ბაზების განთავსება, „ინტერპრესნიუსი" პოლიტოლოგ არჩილ გეგეშიძეს ესაუბრა.**

*— ბატონო არჩილ, პოლიტიკოსთა და ექსპერტთა საკმაოდ დიდი ნაწილის აზრით, ტალიავინის მისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ ევროპასა და აშშ-ში საქართველოს მიმართებაში ახალი რეალობა ჩამოყალიბდა. თქვენი აზრით, რა ნიშნით ხასიათდება ახალი პოლიტიკური რეალობა, რომლის შესახებაც საუბრობენ პოლიტიკოსები და ექსპერტები?*

— არ ვიცი, რამდენად ჩამოყალიბდა ახალი რეალობა, მაგრამ ფაქტია, რომ დასკვნამ შესაბამისი გზავნილები გააკეთა მხარეების მიმართ. ახლა უნდა დაველოდოთ, რა შედეგს გამოიღებს იგი. ანუ, რა ცვლილებები მოხდება ამ დასკვნის საფუძველზე მხარეების ქცევაში. ეს ეხებათ არა მარტო ქართულ და რუსულ, არამედ აფხაზურ და სამხრეთ ოსურ მხარეებსაც. ამ დასკვნაში საკმაოდ კრიტიკული შეფასებებია გაკეთებული დასავლეთის მიმართ. მიჭირს იმის თქმა, ამ დასკვნის საფუძველზე რა ცვლილებები მოხდება მხარეების ქცევაში. რუსულ და ქართულ მხარეებს მაინცადამაინც არ უნდა აწყობდეთ, რომ ამ დოკუმენტის საფუძველზე ადგილი ჰქონდეს მოვლენების შემდგომ განვითარებას, ანუ დაინიშნოს გამოძიება ჰუმანიტარული სამართლის ან სამხედრო დანაშაულის ჩადენის ფაქტებთან დაკავშირებით. დრო გვიჩვენებს, აისახება თუ არა ეს საქართველოს მიმართ ევროკავშირის ან ევროპის ცალკეული სახელმწიფოების, ან აშშ-ს მხრიდან დამოკიდებულებაში; რამდენად შეიცვლება დამოკიდებულება რუსეთის მიმართ ევროკავშირის, გერმანიის, საფრანგეთის ან სხვა ქვეყნების მხრიდან. დრო გვიჩვენებს, რამდენად აისახება ეს აშშ-რუსეთის გადატვირთვის პოლიტიკაზე. როგორც ხედავთ, მისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ დიდი კითხვის ნიშნები და ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა გაჩნდა. ალბათობა იმისა, რომ საქართველოსადმი ევროკავშირის დამოკიდებულება შეიცვლება ან არ შეიცვლება, დაახლოებით თანაბარია. ამიტომ, მაინც არ ვივარაუდები, რომ ტალიავინის მისიის დასკვნას იმ აჟიოტაჟის შესაბამისი ცვლილებები მოჰყვეს, როგორსაც ამას ქართული პრესა ვარაუდობს. შესაძლოა, ჩვენ ტალიავინის მისიის დასკვნას ზედმეტად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ვინაიდან სხვა დაინტერესებული მხარეები საერთოდაც მოწადინებული არიან, ამ დოკუმენტში არსებულ დასკვნებს შემდგომი მსვლელობა არ მიეცეს.

*— ტალიავინის დასკვნაში სერიოზული კრიტიკაა გამოთქმული, როგორც ევროკავშირის, ისე აშშ-ს მისამართით იმ თვალსაზრისით, რომ მათ ომამდე საქართველოში კონფლიქტების მიმართ პასიურობა გამოიჩინეს. მისიის დასკვნა იძულებულს ხდის თუ არა ევროკავშირს, უფრო აქტიურად იფიქრონ საქართველოს უსაფრთხოებაზე?*

— ჩემი აზრით, არა იმდენად ამ დოკუმენტში გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები ევროპისა და აშშ-ს მიმართ, არამედ თავად ის ფაქტი, რომ შარშან აგვისტოში ომს ჰქონდა ადგილი, იქნება მთავარი გამომაფხიზლებელი ევროპისა და აშშ-სთვის. მათ მოინდომეს ომის შეჩერებისთვის ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ მეტის გაკეთება დასავლეთსა და აშშ-ს არ სურთ ან არ შეუძლიათ. ამ დოკუმენტის საფუძველზე ჩვენ არ უნდა ველოდეთ საქართველოს უსაფრთხოების საკითხებში დასავლეთისა და აშშ-ს კიდევ უფრო მეტ ჩართულობას. ტალიავინის მისიის დასკვნა არ უნდა განვიხილოთ, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტი პოლიტიკის განსაზღვრისა ვაშინგტონშსა და ბრიუსელში, სხვა ქვეყნების დედაქალაქებში. შესაძლოა, დასკვნა გამოყენებული იყოს ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში, ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხში და რომელიმე მხარეს გაუხსენონ მის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებები. ისე, არა მგონია, რომ ტალიავინის მისიის დასკვნა გლობალურ პოლიტიკაზე, დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობაზე მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.



*— მას შემდეგ, რაც გახმოვანდა, რომ აშშ-ს სამთავრობო დელეგაცია თბილისს ეწვევა, ქართულ პრესაში გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველოში შესაძლოა, ამერიკული სამხედრო ბაზა გაჩნდეს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ამგვარი პერსპექტივა?*

— ის, რომ აშშ-ს მხრიდან ჩვენი უსაფრთხოების ხარისხის გასაძლიერებლად ნაბიჯები გადაიდგმება, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ თვალსაწიერ მომავალში არ ვვარაუდობ საქართველოს უსაფრთხოების გაძლიერება მაინცადამაინც საქართველოში ამერიკული ბაზის განთავსების ხარჯზე მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, ობამას ადმინისტრაცია, სულ მცირე, თავის პირველ ვადაში ნამდვილად არ გააკეთებს იმას, რომ კავკასიაში განათავსოს ამერიკული სამხედრო ბაზა, რადგანაც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რუსეთთან თანამშრომლობა ისეთ საკითხებში, როგორებიც არის მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობა, ირანისა და ავღანეთის თემა, ტერორიზმი და სხვა. აშშ-სთვის პირველხარისხოვანია, ამ საკითხებში ითანამშრომლოს რუსეთთან და პრობლემებს რუსეთთან ერთად მოუაროს. ამ ფონზე ვაშინგტონი მოსკოვისთვის დამატებით გამალიზიანებელ ნაბიჯებს არ გადადგმას. ეს ეხება პირველ ყოვლისა პოსტსაბჭოთა სივრცეს და საქართველოს, რომლის მიმართაც კრემლი განსაკუთრებით მგრძნობიარეა. რაც შეეხება აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციას, რომელიც თბილისში ჩამოდის; ეს არ ნიშნავს, რომ მაინცადამაინც ბაზებზე იქნება საუბარი. საერთოდ გამოვრიცხავ, რომ ამერიკული ბაზების განთავსებაზე იყოს მსჯელობა. ჩემი აზრით, იმ თემებზე იქნება საუბარი, რომელიც უკვე დაწყებულია სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აშშ საქართველოს, სამხედრო სფეროში თანამშრომლობის თვალსაზრისით, თავდაცვის დოქტრინის გადააზრების კონტექსტში, ინსტიტუციური მშენებლობის საქმეში გადაწყვეტილების მიღების გარკვეულ გაუმჯობესებას და ტრენინგების ორგანიზებას სთავაზობს და არა - ბაზების განთავსებას.

*— თქვენი აზრით, რამდენად შეუწყობდა ხელს ცხინვალზე ცეცხლის გახსნის გამო ქართული მართლმსაჯულების მიერ სააკაშვილის დასჯა აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის დაწყებას? ქართულ მედიაში ამის სასარგებლოდ აზრს გამოთქვამენ ნინო ბურჯანაძე, "რესპუბლიკელი" პაატა ზაქარეიშვილი და სხვები. . .*

— ამგვარი მოსაზრება საქმისგან ძალიან შორს მგონია. ძნელი წარმოსადგენია, რომ ქართულმა მართლმსაჯულებამ სააკაშვილი გაასამართლოს. ამისთვის საჭიროა, პრეზიდენტს საპრეზიდენტო იმუნიტეტი პარლამენტმა მოუხსნას, დღევანდელი პარლამენტის

საპარლამენტო უმრავლესობა კი სააკაშვილის არის და როგორ უნდა მოხდეს ეს, გაუგებარია. ჯერ ვერ ვხედავ ტალიავინის მისიის დასკვნების გავლენას საქართველოსთან დასავლეთის ქვეყნების დამოკიდებულებაში. ამ მხრივ ეს არც აქტიურობას და არც პასიურებას ეხება, პირიქით, მაღალი რანგის დელეგაცია ჩამოდის აშშ-დან, თუმცა ორმხრივი კონტაქტები საქართველოს ხელისუფლებასთან აშკარად შეზღუდულია. ეს კი, ტალიავინის მისიის გამოქვეყნებამდეც შეინიშნებოდა. დოკუმენტის ამ მხრივ გავლენას ჯერ ვერ ხედავ. შესაძლოა, დროთა განმავლობაში გამოჩნდეს, მაგრამ ვეჭვობ, ამის გამო დასავლეთის ურთიერთობები საქართველოსთან გაცივდეს, რადგანაც ტალიავინის მისიის დასკვნა და ბრალდებები პირველ რიგში ძალიან მძიმეა რუსეთისთვის. ასეთ ფონზე, საქართველოს ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომა დროთა განმავლობაში სულ უფრო შემსუბუქდება და აქტუალობას დაკარგავს.

**ინტერპრესნიუსი**

# საგზაო ნიშნებს ყურადღებას მძღოლების 25 პროცენტი აქცევს

**გადატვირთული გზები ერთნაირად არის პრობლემა როგორც მძღოლებისთვის, ასევე ფეხით მოსიარულეებისთვის. ორგანიზაცია „დაცულმა მოძრაობამ" საცობებისა და პარკირების პრობლემის დასადგენად კვლევა ჩაატარა. ამისათვის სულ 1150 მძღოლი გამოიკითხა. ორგანიზაციის ექსპერტ ნიკოლოზ რუსიშვილის თქმით, კვლევამ აჩვენა, რომ ქუჩებში საცობების გამომწვევი მიზეზების 48 პროცენტი არასწორი პარკირებისა და მოძრაობის წესების დარღვევის ბრალია, დანარჩენი პროცენტები ქვეითად მოსიარულეებსა და ავტომანქანების სიჭარბეზე მოდის. ყველაზე დიდი პრობლემა, რაც კვლევებმა გამოკვეთა, არის ის, რომ მძღოლების მხოლოდ 25 პროცენტი აქცევს საგზაო ნიშნებს ყურადღებას. რუსიშვილის განცხადებით, ეს ძალიან ცუდი მაჩვენებელია.**



შორენა გონგლაძე

*— ბატონო ნიკა, გადატვირთული გზები ყოველთვის იყო პრობლემა თბილისისთვის, რაც შეეხება იმას, რომ მძღოლების მხოლოდ 25 პროცენტი აქცევს საგზაო ნიშნებს ყურადღებას, ეს ნამდვილად დიდი პრობლემაა...*

— ვფიქრობ, რომ ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც არის თბილისი, ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ავტოსაგზაო წესებს. ყველაზე დიდი პრობლემაა პარკირება, აქ პრობლემაა არასწორ პარკირებაში, იმიტომ, რომ არასწორი პარკირების დროს პირველი მანქანა როცა შეფერხებულად მოძრაობს, თუ პირველი მანქანა სამი წამით შეფერხდა, ოცდამეერთე მანქანა დაახლოებით სამ წუთს ფერხდება და წარმოიდგინეთ, პიკის საათის დროს არასწორი პარკირების გამო საცობების გამოწვევა რამხელა პრობლემას გამოიწვევს. პარკირების გადასახადი, რომელი სისტემაც მუშაობდა და აპრობირებული იყო სხვა ქვეყნებში, ნაადრევად მოეჩვენათ თბილისელ მძღოლებს, ანუ გადახდის სისტემა იყო მიუღებელი. ქალაქის მერის ინიციატივა გამოისახა შემდგომში, რომ თუ მოძრაობ მანქანით და წელიწადში ერთხელ გადაიხდი 25 ლარს, დღეში მაინც სამჯერ რომ გააჩერო მანქანა, წელიწადში დღიური გადასახადი გიწევს ორი თეთრი, თუ ერთხელ მაინც გაჩერდი, წლიური გადასახადი გიწევს 6 თეთრი და ასე შემდეგ. მე მგონი, ეს გადასახადის ყველაზე მისაღები ფორმაა.

*— როგორ ფიქრობთ, რა არის ამ სიტუაციიდან გამოსავალი?*

— ყველაზე კარგი გამოსავალი არის მძღოლების ინფორმირებულობა. სამწუხაროდ, ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მძღოლების მხოლოდ 25 პროცენტი აქცევს საგზაო ნიშნებს ყურადღებას, მძღოლების 75 პროცენტი რომ საგზაო ნიშნებს უგულებელყოფს, ეს არის ჩვენთვის კატასტროფა. ნებისმიერი მძღოლი, რომელიც საგზაო ნიშნებს არ ემორჩილება, ამ პრობლემებს, არასწორი პარკირებით გამოწვეულ ყველა შედეგს საკუთარ თავზე განიცდის. ფართო გზა არ ნიშნავს სწორ მოძრაობას და გზების განტვირთვას. მაგალითად, თამარ მეფისა და ალმაშენებლის გზაჯვარედინზე, როცა იმხელა მოედანი იყო, მუდამ საცობები იყო, დღეს რომ ეს გზა დავიწროვდა, დაიდგა შუქნიშანი და ასე შემდეგ, მოძრაობა განიტვირთა, ანუ თავიდანვე ვთქვათ ის, რომ განიერი გზა არ არის ამ პრობლემის გადაჭრის გზა, პირიქით, ბევრად უფრო შემაფურხებელია მოძრაობის. გამოსავალი არის ის, რომ თითოეულმა მძღოლმა იმოძრაოს წესების სრული დაცვით.

*— მოძრაობის წესების დარღვევა ყველაზე ხშირად რომელი სახეობის ტრანსპორტზე მოდის?*

— ჩვენ გამოკითხვის დაწყებისას გვქონდა ოთხი ჯგუფი, ეს არის მუნიციპალური ტრანსპორტი, მოყვარულები, კერძო ტაქსის და სამარშრუტო ტაქსის მძღოლები. აქედან ყველა ერთმანეთს აბრალებს წესების დარღვევას, მაგრამ რეალურად ყველაზე ცუდად მოძრაობენ ახალბედა მძღოლები. რაც შეეხება მძღოლების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდას, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევებიდან ირკვევა, რომ ინფორმაციის მიღების საუკეთესო გზა არის რადიო და ბუკლეტები, რითიც მძღოლები მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციას. ჩვენ ასევე ვაპირებთ სემინარების ჩატარებას და ასე შემდეგ. ორგანიზაციის წარმომადგენელი დავით მესხიშვილი ამბობს, რომ ავტოპარკირების შესახებ მძღოლთა ინფორმირებულობა არასაკმარისია, ამიტომ ორგანიზაცია უახლოეს მომავალში ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებლად იზრუნებს.ჩვენ ვთვლით, რომ ერთ-ერთი აქტუალური თემაა პარკირების მოწესრიგება, ვინაიდან ქალაქში არის საცობები და აქედან გამომდინარე დავიწყეთ იმის გარკვევა, თუ რა იწვევს საცობებს. ჩვენი ვარაუდით, ეს იყო პარკირების წესების დარღვევა და სწორედ ამ მიმართულებით დავიწყეთ კვლევა. გამოკითხული იქნა 1150 მძღოლი, ჩვენ ამ გამოკითხვით გვინდოდა იმის დადგენა, თუ რამდენად ფლობენ ინფორმაციას მძღოლები პარკირების წესების შესახებ და იყვნენ თუ არა კმაყოფილები დადგენილ გადასახადებზე. ჩვენ მივიღეთ ორი მკვეთრად გამოკვეთილი მესიჯი, ერთი ის, რომ მძღოლების უმრავლესობა ინფორმაციას პარკირების საშუალებით იღებს მასმედიით და მეორე, სამწუხარო მომენტი არის ის, რომ მძღოლების მხოლოდ 25 პროცენტი აქცევს საგზაო ნიშნებს ყურადღებას, რაც მძიმე შედეგი არის. მთავარი მიზეზი საცობების გაჩენის გამოიკვეთა ორი, ეს არის არასწორი პარკირება და მოძრაობის წესების დარღვევა, რაც დაახლოებით გამოკითხულთა 57-მა პროცენტმა დაასახელა, და მთავარი, რაც ასევე გამოიკვეთა, ვფიქრობთ, რომ ეს რეკომენდაციების სახით უნდა შემუშავდეს, არის ის, რომ საჭიროა ქალაქში დამატებითი ავტოსადგომების გაკეთება. დადებითად შეფასდა თბილისის მერიის ინიციატივა საჯარიმო სანქციების და პარკირების საფასურთან დაკავშირებით. ყველაზე მთავარი რეკომენდაცია კი, რაც ჩვენმა ორგანიზაციამ შეიმუშავა, არის ის, რომ უნდა გაიზარდოს ინფორმაციულობის ხარისხი, გავააქტიურებთ მუშაობას როგორც ტელევიზიით, ასევე რადიოთი, იქნება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები ჩატარებული. ასევე გამოიკვეთა ფეხით მოსიარულეებთან დაკავშირებით საკითხი, ვინაიდან მათ მიერ ხშირად ხდება წესების დარღვევა და ისეთ მონაკვეთებზე ხდება, გადასასვლელებზეც არის ინტენსიური მოძრაობა, რაც ასევე იწვევს საცობებს. მძღოლების მხრიდან იყო მოთხოვნა, რომ ფეხით მოსიარულეთათვის წესების დარღვევაზე სანქციები იქნეს გამკაცრებული.


## განცხადება

2009 წლის 3 დეკემბერს, 13 საათზე, ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუში შპს „გეომაგინვესტის" ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდება კერამიკული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია მაკვანეთის კერამიკული თიხების ბაზაზე კერამიკული ნაკეთობების დამამზადებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

შპს „გეომაგინვესტის" ადმინისტრაციულ შენობაში – ოზურგეთის რაიონი სოფელი დვაბზუ;

სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამას" ოფისში – ქ.თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ.№9.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2009 წლის 28 ნოემბრის 18 საათამდე.

შპს «გეომაგინვესტის» ადმინისტრაცია



## X-XIII საუკუნის ხობის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი



აქ მოღვაწე ბერებმა საქართველოს შემოუნახეს კვართი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელისა, წმიდა ნაწილები, წმ. თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი და სხვა სიწმიდეები.

გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის გრიგოლის ლოცვა-კურთხევით დაიწყო ტაძრის რესტავრაცია.

დარეკეთ ჯეოსელიდან, ბილაინიდან და მაგთიდან ნომერზე 700 607 და შეეწიეთ ამ წმიდა საქმეს.

ზარის ღირებულებაა 1 ლარი.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ**
**895 955 129**

ს.ს. „სახალხო ბანკი"-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდი: 220101465.
მიმღები ღვთისმშობლის ხარების სახელობის დედათა მონასტერი.

**ანგ.№ 36010892**

# უნიკალურ ხელნაწერებს ეროვნული ცენტრი გამოფენს

## საერთაშორისო სიმპოზიუმი ოქტომბრის ბოლოს ჩატარდება

ნატა კობი ე

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს 50 წელი შეუსრულდა, ამ თარიღთან დაკავშირებით 19-იდან 25 ოქტომბრამდე საქართველოში პირველად ჩატარდება საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის ორგანიზატორი სწორედ ეს ცენტრია. სიმპოზიუმი „ქართულ ხელნაწერს“ ეძღვნება. ის გააერთიანებს მრავალ სპეციალისტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის ისტორიკოსებს, რესტავრატორებს, ხელოვნებათმცოდნეებს, მეცნიერებს, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი კულტურული პოტენციალის წარმოჩენასა და განვითარებას.

სიმპოზიუმის მიზანია საქართველოში კვლევების გააქტიურება, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შორის ურთიერთობების განვითარება, საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაცია და დაგროვილი გამოცდილების გაანალიზება-შეჯამება.სიმპოზიუმი წინ წამოწევს რამდენიმე თემატიკას, ესენია: საქართველო და ბიზანტიური სამყარო (ასევე პოსტბიზანტიური სივრცე), საქართველო და ისლამური სამყარო, საქართველო და კათოლიკური სამყარო და მსოფლიო ხელნაწერი მემკვიდრეობა. ღონისძიების ფარგლებში გაიმართება ვორქშოპი სახელწოდებით „ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა და თანამედროვე ტექნოლოგიები“. მასზე განიხილება ხელნაწერების მონაცემთა ბაზის მომზადებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ტექნოლოგიების განვითარების საკითხები, პარალელურად გაიხსნება გამოფენა და უცხოელი სტუმრებისთვის



მოეწყობა ექსკურსია.

სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად უკვე მრავალმა მეცნიერმა გააკეთა განაცხადი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, თუმცა კომპეტენტურმა კომისიამ მათგან მხოლოდ 100 მომხსენებელი აირჩია, ისინი საქართველოს ევროპის ქვეყნებიდან და ამერიკიდან ესტუმრებიან. ამ ადამიანთა კვლევები ქართულ წყაროთმცოდნეობას, ძველ ქართულ ტექსტებს, რესტავრაცია-კონსერვაციას და ჩვენი ქვეყნის ისტორიას უკავშირდება. ისინი ამ საკითხების გარშემო აქტიურ დისკუსიებში ჩაებმევიან.

სიმპოზიუმის იდეა ორი წლის წინ გაჩნდა, მაშინდელი გეგმით, ის წლევანდელ ივლისს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მრავალმა უცხოელმა უარი თქვა მასში მონაწილეობის მიღებაზე. ორგანიზატორთა თქმით, ღონისძიებას პარლამენტი გაუწევს პატრონაჟს. ხელნაწერთა ერთდღიანი გამოფენაც პარლამენტში მოეწყობა.

სიმპოზიუმის ბიუჯეტი ნაწილობრივ რუსთაველის ფონდის საგრანტო კონკურსში გამარჯვებამ განაპირობა, დანარჩენი კი საკუთარი სახსრებით შეივსო. ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ეს პროექტი უნიკალური ქართული დამწერლობისა და მდიდარი მწიგნობრული ტრადიციის წყალობით ხელს შეუწყობს ჩვენი მემკვიდრეობის ღირსეულად წარმოჩენას.

სიმპოზიუმი სამ წელიწადში ერთხელ გაიმართება (თუ ეს ფინანსურად შესაძლებელი იქნება), ამ ეტაპზე კი ვერ მოხერხდა დასაბეჭდად გამზადებული სამეცნიერო-პოპულარული წიგნის — „ქართული ხელნაწერი“ გამოცემა. მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მოვლენა, ანუ გამოფენა სახელწოდებით „ხელნაწერი წიგნის კულტურა“, რომელზეც ცენტრის მიერ უნიკალური მასალები იქნება წარმოდგენილი. გამოფენის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ცენტრში დაცული სხვადასხვა ენოვანი კოლექციების ნახვის შესაძლებლობასაც მისცემს დამთვალიერებელს. ექსპონატთა შორის იქნება სპარსული, არაბული, თურქული, ბერძნული, პოლონური, იტალიური, გერმანული... ხელნაწერები და ისტორიული დოკუმენტაციები.

# კინომსახიობთა თეატრში ექსპერიმენტები იწყება

ეკა ირემაშვილი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ექსპერიმენტების განხორციელება დაიწყო.

ქართველმა რეჟისორმა დავით ჩიხლაძემ გადაწყვიტა ქართველ საზოგადოებას მარგო კორაბლიოვას პერფორმანსის თეატრის ახალი ნამუშევარი წარუდგინოს. მარგო კორაბლიოვას პერფორმანსის თეატრი თბილისში 1994 წელს თავად რეჟისორმა დავით ჩიხლაძემ დააარსა.

ქართველი ხელოვანის ნამუშევარში მსახიობები შალვა კობალაძე, ვასო მაჭარაძე, ლევან მაისურაძე და ნუცი გაბისიანი მონაწილეობენ.

— ჩვენი პერფორმანსი, რომლის პრეზენტაციასაც კინომსახიობთა თეატრში მოვაწყობთ, გარკვეულწილად ანტითეატრისა და სტრუქტურალიზმის ესთეტიკურ ბაზისს ეყრდნობა, — აცხადებს შემოქმედებითი ჯგუფი.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ახალი პროექტის „არტ ექსპერიმენტების“ პრეზენტაცია 13 ოქტომბერს გაიმართება.

# თეატრალურის სტუდენტებისთვის მასტერკლასები გაიმართება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით კინოსტუდიაში „ქართული ფილმი“ ქართველი ხელოვანი და კინემატოგრაფისტი ლევან პაატაშვილი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის მასტერკლასებს ჩაატარებს.

მანამდე კი გალერეაში „ჰობში“ ლევან პაატაშვილის პერსონალური გამოფენა გაიხსნება, სადაც წარმოდგენილი იქნება ხელოვანის ნამუშევრები და ფოტოები მისი კინოგადაღებებიდან.

ორივე ღონისძიების ორგანიზატორები საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კინოსტუდია „ქართული ფილმი“ და ეროვნული კინოცენტრი არიან.

ლევან პაატაშვილის მასტერკლასები კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ და მისი ნამუშევრების გამოფენა გალერეა „ჰობში“ 18 ოქტომბრამდე გაიმართება.

# მიხეილ კალატოზიშვილი 50 წლის ასაკში გარდაიცვალა

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი კინორეჟისორი მიხეილ კალატოზიშვილი 50 წლის ასაკში მოსკოვში ინფარქტით გარდაიცვალა.

მიხეილ კალატოზიშვილი მსახიობისა და რეჟისორის გიორგი კალატოზიშვილის შვილი და რეჟისორ მიხეილ კალატოზოვის შვილიშვილი იყო. მისი სადიპლომო ფილმი „მექანიკოსი“ იყო, რომელიც რეჟისორმა 1981 წელს გადაიღო.

ქართველი რეჟისორის ფილმმა „რჩეული“ მადრიდში სპეციალური პრიზი მოიპოვა. მისმა ნამუშევრებმა კი მრავალი რუსული და საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზები დაიმსახურა. მათ შორის „ოქროს არწივი“, „თეთრი სპილო“ და მარაკეშის ფესტივალის გრანპრი.

ქართველი რეჟისორი მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, იგი იყო მიხეილ კალატოზოვის ფონდის დირექტორი. მისი უკანასკნელი ფილმი „ველური ველი“ 2008 წლის საუკეთესო რუსულ ფილმად აღიარეს ეროვნული კინემატოგრაფიული პრემიის „ოქროს არწივის“ დაჯილდოებაზე, ფილმმა გაიმარჯვა ასევე საუკეთესო მუსიკის და საუკეთესო სცენარის ნომინაციებში. ფილმი ამავე წელს რუსეთის კინოკრიტიკისა და კინოპრესის მთავარი პრიზის „თეთრი სპილოს“ მფლობელი გახდა. გარდა ამისა, ფილმმა დაიმსახურა ჯილდოები საუკეთესო სცენარისათვის, მამაკაცის საუკეთესო როლისათვის, მამაკაცის საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლისათვის და ასევე საუკეთესო მუსიკისათვის. ფილმმა ასევე გაიმარჯვა პორტუგალიის კინოფესტივალზე, პრიზთან ერთად ფილმის ავტორებს 20 ათასი ევროც ერგოთ ჯილდოდ. ქართველი რეჟისორის ფილმის მორიგი წარმატება მაროკოს VIII საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. „ველური ველი“ ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე რუსეთის კინოპროგამაშიც მონაწილეობდა.



2009 წელს კი ქართველი რეჟისორის ფილმს „ოქროს არწივი“ მიენიჭა.

# ბრიტანეთის საბჭომ რუსთაველის თეატრში უორქშოფი დაიწყო

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ბრიტანეთის საბჭო და წამყვანი თეატრები ახალგაზრდა ქართველი დრამატურგებისთვის უორქშოფს ატარებენ.

უორქშოფის თემა „ახალი დრამატურგია“ იქნება და იგი სპეციალურად ახალგაზრდა ქართველი დრამატურგებისთვის ჩატარდება. ამ პროექტს კი ჯეკ ბრედლი წარადგენს, რომელიც საკმაოდ ცნობილი დრამატურგია. მან დრამატურგიას 1975 წელს მოჰკიდა ხელი, როცა ახალგაზრდა დრამატურგთა ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და 80-90-იან წლებში 20-მდე პიესა შექმნა. შემდეგ ის დაინტერესდა პიესის განვითარებისა და ლიტერატურული მენეჯმენტის საკითხებით. 1989-94 წლებში მუშაობდა სოჰოს თეატრში, შემდეგ კი ნაციონალურ თეატრში 12 წელი იმუშავა ლიტერატურულ მენეჯერად, სადაც ახალი დრამატურგიის პოლიტიკის გატარებას ხელმძღვანელობდა. მას ჩატარებული აქვს უორქშოფები ბელფასტსა თუ ბუენოს აირესში, ოსლოსა თუ სოუეტოში. ის კრეატიულ უორქშოფებს ბრიტანეთშიც ატარებს. ახლა ჯეკ ბრედლი დამოუკიდებელი კონსულტანტია დრამატურგიის საკითხებში. გარდა ამისა, მან განაახლა პიესების წერა და თარგმნა. ჯეკ ბრედლი სხვადასხვა რანგში თანამშრომლობს სონია ფრიდმან პროდაქშენთან, თრაისიქლ თეატრსა და შოტლანდიის ხელოვნების საბჭოსთან. ამჟამად იგი ასწავლის ნიუქასლის უნივერსიტეტში და მუშაობს წიგნზე დრამატურგიის შესახებ.

— ბრიტანეთის საბჭო დიდი ბრიტანეთის წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციაა განათლების და კულტურული

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# „მის საქართველო 2009“ ცირა სუქნიძე გახდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გოგიჩაიშვილი გახდა, ხოლო „მეორე მის-საქართველოდ“ ნუკი ყარალაშვილი დასახელდა.

სამოდელო სააგენტო „იმიჯ ცენტრი“ მსოფლიოში აღიარებული სილამაზის კონკურსების „მის მსოფლიოს“, „მის უნივერსისა“ და „მის ინტერნეიშენალის“ ექსკლუზიური წარმომადგენელია საქართველოში. ყველა სილამაზის კონკურსი ყოველწიურად იმართება, თუმცა მათ შორის უდიდეს ინტერესს „მის მსოფლიო“ იწვევს, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყნის ულამაზეს ქალბატონს შორის მხოლოდ ერთს ანიჭებს მის მსოფლიოს ტიტულს.

პირველმა „მის საქართველომ“ ირინა ონაშვილმა საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებას მიაღწია და „მის ტალანტის“ ტიტული მოიპოვა. რაც შეეხება წლევანდელ „მის საქართველოს“ და პირველ და მეორე ვიცემისებს, ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა და „მის საქართველო 2009“ ცირა სუქნიძე გაემგზავრება „მის მსოფლიო 2009“-ზე მონაწილეობის მისაღებად. პირველი ვიცე მის საქართველო ნანუკა გოგიჩაიშვილი „მის სამყაროზე“ წარადგენს საქართველოს, ხოლო მეორე ვიცე მის საქართველო ნუკი ყარალაშვილი — „მის ინტერკონტინენტალზე“.

**მარინა ჯანაშია:**

— ყოველთვის უარს ვამბობდი ყველანაირი კონკურსის ჟიურიზე, მაგრამ ამჯერად უარი ვერ ვთქვი. ძალიან საპასუხისმგებლო და სანერვიულო მისია დამაკისრეს. ჩვენ უნდა აგვერჩია გოგონა, რომელიც წლევანდელ „მის მსოფლიოზე“ საქართველოს წარადგენს. იმედია ჩვენი არჩევანი მაყურებელსაც მოეწონა. ჩვენ მაქსიმალურად ობიექტურები ვიყავით.

**ია კიწმარიშვილი:**

— ძალიან სასიამოვნოა, რომ ყოველ წელს სულ უფრო და უფრო მომზადებული და ლამაზი გოგონები მოდიან ჩვენთან. ეს იმას მოწმობს, რომ საქართველო ლამაზი მანდილოსნების ქვეყანაა. ჩვენ წელსაც მთელი საქართველო მოვიარეთ და უამრავი ლამაზი გოგონადან საუკეთესო ოცეული დავტოვეთ, რომლებიდანაც ჟიურიმ ჯერ საუკეთესო ხუთეული შეარჩია, ხოლო შემდეგ გამარჯვებულიც დაასახელა. წელს ჟიურის გაუჭირდა საუკეთესოთა შორის საუკეთესოს არჩევა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ წლევანდელი „მის საქართველო“ ნამდვილად ღირსეული გოგონაა. ვულოცავ ცირას გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებ.

**ცირა სუქნიძე:**

— არ მჯერა, რომ გავიმარჯვე. თავი სიზმარში მგონია, ძალიან ბედნიერი ვარ და დიდი მადლობა ყველას.


# განცხადებები

● ვასრულებსამღებრო-სამალიარო სამუშაოებს „მალიარკა“ მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 899-26-18-55.

● სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად 2-დან 25 წლამდე თვეში 3-4 სმ. მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 858-46-36-74; 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● ვმკურნალობ მამაკაცურ პრობლემებს, იმპოტენციას, პროსტატის ადენომას, შარდის შეკავება-შეუკავებლობას მცენარეული პრეპარატებით ხელმისაწვდომ ფასად. ტელ: 899-53-68-18, 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● ქირავდება საოფისე ფართი ალმაშენებლის №93-ში, 35 კვ.მ. მეტრო „მარჯანიშვილთან“ ახლოს, I სართული, გამოდგება ნოტარიუსის, კომერციული საქმიანობის, მანქანების ლომბარდის, სესხება-გასესხების, სილამაზის სალონისთვის. არის სველი წერტილი, ნათელი ბინაა რკინის კარებით, გისოსებით. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87 ირინა.

● პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს იაპონური აპარატით და წურბელებით, მალამოებით უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, რადიკულიტს, თმის ცვენას, ბუასილს ოპერაციის გარეშე, განგრენის საწყის ფორმას, წითელ ქარს, ტროპიკულ წყლულს, დაწყლულებულ ფეხებს, ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზს, პიგმენტურ ლაქებს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ცხიმგროვას თვალებზე, პეპატიტს A,B,C. საერთო მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია. ტელ: 893-39-04-87; 96-38-27. ალმაშენებლის 93.;

● სიმსუქნე, დიაბეტი, თქვენ სამუდამოდ გათავისუფლდებით ამ პრობლემებისაგან. გთავაზობთ ევროპულ მრავალგზის გამოცდილ მცენარეულ საშუალებას. ტელ: 898-85-69-38 ბექა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან გათავისუფლება, დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ასევე იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა და ტკივილი შარდვისას, მამაკაცური ფუნქციის სწრაფი აღდგენა-შენარჩუნება. მკურნალობა 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38 ან 858 968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი ზრდა თვეში 3-5 სმ. მომატებით, 25 წლამდე გარანტიით, ასევე გახდომა-გასუქება აკრძალვების გარეშე, თვეში 5-დან 20 კგ-მდე, უვნებლად მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით, მკურნალობა 100%-იანი შედეგით, იმუნიტეტის გაძლიერებით. ტელ: 34-02-38 ან 895 293-299 ექიმი ქ-ნი ინგა.

● მხოლოდ მცენარეულ ნედლეულზე დამზადებული პროდუქციით ვმკურნალობთ: ნევროზს, უძილობას და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. ტელ: 898-201-101 იკითხეთ ირინა.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყავით ტანადნი და ჯანმრთელნი! წონაში სწრაფად კლება და მომატება, ჭარბთმიანობა, თმის ცვენა, ორგანიზმის გაწმენდა უნიკალური მცენარეული საშუალებებით, ოპერაციის გარეშე საკვერცხის კისტის, მიომას, ჩიყვის, კუჭის წყლულის, ბუასილის მკურნალობა 100%-იანი შედეგით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 34-02-38; 855 49-50-38 ნინო.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● მამაკაცებისთვის!იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 57-66-90 (საღამოს); 899-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● იყიდება მიწის ნაკვეთი თბილისის ზღვაზე 1500მ$^2$. კვმ-ის ფასი 22 დოლ. (ლოტკინის მთაზე ტრამვაის ხაზთან). 855 63-14-17.

● პროსტატიტით გამოწვეული პრობლემების მოხსნასა და მამაკაცური პოტენციის მოწესრიგებაში დაგეხმარებით ამერიკული მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 855-98-49-35 კონსულტანტი ბელა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871 33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბიფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

# გიორგი ციმაკურიძე: „შენი გუნდი ნაკრების დონეს არ აკმაყოფილებსო“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

***ვაკეთის ჩემპიონატში ავტოგოლი გაიტანეთ.***

— „პარტიზანთან“ თამაშისას რატომ დაგვიდეს პენალტი, ახლაც ვერ ვხვდები, თანაც მსაჯი ქართველი იყო (ლევან ფანიაშვილი), ხოლო საკუთარ კარში გატანილი გოლის დროს გუნდის გადარჩენას ვფიქრობდი და პირიქით მოხდა.

***— ბოლო დროს უკრაინული გუნდები ევროპაში სერიოზულ წარმატებებს აღწევენ და იქიდან სლოვაკეთში გასვლას როგორ შეაფასებდი?***

— უკრაინაში ორი გამოკვეთილი გრანდია — კიევის „დინამო“ და დონეცკის „შახტარი“. შარშან მათ ხარკოვის „მეტალისტიც“ შეემატა. მთლიანობაში ვერ ვიტყვი, რომ სლოვაკეთის ჩემპიონატს ბევრად სჯობია. თავად „ჟილინა“ დნეპროპეტროვსკის „დნიპროსა“ და დონეცკის „მეტალურგის“ დონის გუნდი ნამდვილად არის. სხვაობა უფრო უკრაინული გრანდებია, რომლებიც უფრო ხმაურიან სიტყვას ამბობენ ევროპაში, ვიდრე სლოვაკური გუნდები. ფეხბურთის მხრივ სლოვაკეთში თამაში მირჩევნია, უკრაინაში მაინც „ბეიბეგის“ პრინციპით თამაშობენ ფეხბურთს, სლოვაკეთში ბურთთან ახლოს არიან და პასის კულტურა გაცილებით დახვეწილი აქვთ, ამასთან, უფრო გერმანული ფეხბურთის მიმდევრები არიან და ტაქტიკურადაც უფრო სწორი აზროვნება აქვთ.

***— სლოვაკეთის ვარიანტი როგორ გამოჩნდა?***

— ჩემმა მენეჯერმა სერგეი კლუჩიკმა გაახერხა ეს ტრანსფერი.

***— თუ საიდუმლო არ არის, რამდენი აიღო ლუგანსკურმა კლუბმა ამ ტრანსფერიდან?***

— „ჟილინამ“ 300.000 ევრო გადაუხადა „ზარიას“.

***— საქართველოში სანაკრებო თამაშებით გამოწვეული პაუზის გამო ჩამოხვედით?***

— ერთი ეგ იყო, მეორე — ტრავმის გამოც დავეთხოვე ცოტა ხნით. ამასთან, უფროსი შვილი 6 თვის უნახავი მყავდა, აქაურობაც მენატრებოდა, მშობლები, ახლობლები, თანაც მეუღლესთან ჯვარდაწერილი არ ვიყავი და გუშინ (11 ოქტომბერს) დავიწერე ჯვარი.

***— საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მუდმივად თამაშობდი და ამ გუნდს კაპიტნობდი კიდეც.***

— თითქმის 3 წლის განმავლობაში ვითამაშე ახალგაზრდულ ნაკრებში და ამ დროის მანძილზე ვინც არ უნდა ყოფილიყო მწვრთნელი, მუდმივად მიძახებდა.

***— ეროვნული ნაკრებიდან არასდროს ყოფილა შემოთავაზება?***

— სამწუხაროდ, არა. ვერც იმას დავიჩემებ, რომ გინდა თუ არა ნაკრებში თამაშის ღირსი ვარ, მაგრამ ერთხელ გასინჯვის შანსიც არ მომცემია. ერთხელ ველაპარაკე კიდეც ფედერაციაში მომუშავე ხალხს და ასე მითხრეს, იმ დონის გუნდში თამაშობ, საიდანაც ნაკრებში ვერ მიგიწვევთო. მე მგონი, „ჟილინა“ არცთუ ცუდი გუნდია და ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

# გუნდები სადადიანოდ გაემზადნენ

**როგორც უკვე გაცნობეთ, ქართული საკალათბურთო სეზონი სტარტს, ტრადიციულად, დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირით აიღებს. ეს ტურნირი მერვედ გაიმართება. 7 გუნდი ერთმანეთს რუსთავში 15 ოქტომბრიდან შეეჯიბრება და გამარჯვებულს 17 ოქტომბერს გამოავლენს.**



დადიანის ტურნირის მონაწილე გუნდების მწვრთნელებმა გუშინ „სპორტ კაფეში“ პრესკონფერენცია გამართეს და მომავალი ტურნირის შესახებ ისაუბრეს. პრესკონფერენციას არ დასწრებიან მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (თსუ) და აგრარული უნივერსიტეტის (სსაუ) გუნდის მწვრთნელები, დანარჩენებმა კი საკმაოდ გულღიად ისაუბრეს ჟურნალისტებთან.

სანამ მწვრთნელთა საუბრებს მოგახსენებდეთ, მანამდე მოკლედ მიმოვიხილავთ მონაწილე გუნდებს. სსაუ, სავარაუდოდ, თავისი შემადგენლობიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ფავორიტი იქნება. ოთხეულში მოსახვედრად იბრძოლებს თსუ-ც და, თუ მეტის შანსი მიეცა, მის გამოყენებას შეეცდება. უპირველეს ფავორიტად ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი „ხუთი“ მიიჩნევა, რომელიც, გასული სეზონისგან განსხვავებით, ძალიან გაძლიერდა და საქართველოში მოთამაშე ძლიერ კალათბურთელებს თავისთან მოუყარა თავი. შედარებით დასუსტდა დუდუ დადიანის თასისა და სუპერლიგის ბოლო გამარჯვებული, რუსთავის „ენერჯი-ინვესტი“, თუმცა რამდენიმე ძლიერი კალათბურთელი შეინარჩუნა და შეეცდება, მშვიდი ცხოვრების საშუალება არ მისცეს სხვა გუნდებს. უფრო აუტსაიდერებად მოიაზრებიან „დინამო“, „მაკაბი“, „სოხუმი“ და „ჭიათურა“. დინამოელები აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებენ, ისევე, როგორც „მაკაბი“. რაც შეეხება „სოხუმს“, ეს გუნდი ბოლო 3 წლის მანძილზე არ თამაშობდა საქართველოს ჩემპიონატსა და სხვა ტურნირებზე, ხოლო „ჭიათურა“ საერთოდ დებიუტანტია ქართულ კალათბურთში.

**მიხეილ ბერუაშვილი (ენერჯი-ინვესტი):**

— გუნდი სახეშეცვლილი ხვდება მიმდინარე სეზონს. გასული სეზონის შემდეგ გუნდში 3-4 გამოცდილი კალათბურთელი დარჩა, დანარჩენი ადგილები უკვე ახალგაზრდებმა დაიკავეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი ამბიციები არ გვექნება. გუნდი ისევ მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებს ჩემპიონატში და დუდუ დადიანის ტურნირზეც ძლიერად ვაპირებთ გამოსვლას.

**ზაზა ცაგარეიშვილი (დინამო):**

— ჩვენი გუნდი კიდევ უფრო გაახალგაზრდავებულია. „დინამო“ შარშანდელი შემადგენლობის 80-მა პროცენტმა დატოვა. რაც ყველაზე მთავარია, უკვე ჩვენივე სკოლის აღზრდილები დავაწინაურეთ, მანამდე უფრო სხვა სკოლის ახალგაზრდებზე ვიყავით დამოკიდებული. საქართველოს ჩემპიონატში არის რამდენიმე გუნდი, რომლებთანაც კონკურენცია გაგვიჭირდება, მაგრამ დანარჩენებთან ბრძოლა გვექნება. ჩვენი თამაშის ხელწერა არ შეიცვლება და ორივე ტურნირზე შევეცდებით, ლამაზი კალათბურთი ვითამაშოთ.

**კახა შენგელია (ხუთი):**

— ჩვენი საქმე მომავალ სეზონში ყველაზე უკეთესად იქნება. თუ ვინმე რომელიმე გუნდიდან წავიდა, ყველამ ჩვენთან მოიყარა თავი. წელს ძალიან კარგი გუნდი გვეყოლება — ყველა რგოლში კარგად დაკომპლექტებული და დაბალანსებული. ამის გათვალისწინებით, ამბიციაც მეტი გვექნება და პასუხისმგებლობაც.

**ჯამლეტ ხუხაშვილი (მაკაბი):**

— „მაკაბიმ“ თავისი მოვალეობა შეასრულა და აღზარდა გიორგი შერმადინი. მისი გუნდიდან წასვლის შემდეგ სუსტ გუნდებში ვიყავით. ასე იქნება, სავარაუდოდ, წელსაც. ჯერ არ გვაქვს გადაწყვეტილი, ვითამაშებთ თუ არა სუპერლიგაში, რადგან იქ თამაშის ფუფუნება ნამდვილად არ გვაქვს. რაც შეეხება დადიანის ტურნირზე თამაშს, რომ არ გამოვსულიყავით, ამის უფლება არ გვქონდა, რადგან დუდუ ჩემი შეგირდი იყო. მართალია, კონკურენციას ვერავის გავუწევთ, მაგრამ შევეცდებით, ერთი სენსაცია მაინც გამოვაცხოთ.

**ვაჟა კვარაცხელია (სოხუმი):**

— ჩვენი გუნდი 10 წლის განმავლობაში თამაშობდა უმაღლეს ლიგაში, მაგრამ ბოლო 3 სეზონი უფინანსობის გამო გამოტოვა. წელს ჩვეულებრივ გავაგრძელებთ მონაწილეობას. სოხუმის გუნდი ძლიერებში არასდროს ყოფილა, მაგრამ კარგი კალათბურთელები ნამდვილად გვყავს გაზრდილი. დიდი ამბიციები არც წელს არ გვექნება, მაგრამ ლამაზ კალათბურთს ვაჩუქებთ გულშემატკივარს.

**ტარიელ დეკანოიძე (ჭიათურა):**

— აქამდე დამოუკიდებელ საქართველოში არც ერთი ეგიდით გამართულ შეჯიბრებაში არ მიგვიღია მონაწილეობა. ქველმოქმედი ადამიანების წყალობით პირველად ვითამაშებთ და ეს სწორედ დუდუ დადიანის ტურნირი იქნება. იქ თამაში უფრო ექსპერიმენტის სახით გადავწყვიტეთ. სხვა გუნდებთან ჭიდილში ვნახავთ, რა შესაძლებლობა აქვს გუნდს და ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას, ვითამაშოთ თუ არა სუპერლიგაში.

ეს რაც შეეხებოდა დადიანის ტურნირს, მწვრთნელების საუბრიდან გამომდინარე, სუპერლიგა გაცილებით შეთხელებული უნდა გამოდგეს, თუმცა, როგორც საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროსმა ირაკლი პერტაიამ გვითხრა, სუპერლიგაში მონაწილეობას მიიღებენ „ავიამშენი“, „ქუთაისი“ და ბათუმის „ბასკო“.

დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირის ყველა ფინალი: „დინამო“-თსუ 95:63 (2002 წელი); სტუ ჯეოსელი-„დინამო“ 87:76 (2003); სტუ ჯეოსელი-„დინამო“ 111:102 (2004); „ავიამშენი“-თსუ ნიკორა 88:77 (2005); „ენერჯი ინვესტი“-„ავიამშენი“ 85:69 (2006); „ენერჯი ინვესტი“-„ვითა“ 88:66 (2007); „ენერჯი ინვესტი“-სასოფლო 101:73 (2008).

## ფოგთსმა ლიოვი აღიარა

დღეს ევროპაში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების ბოლო ტურია. აზერბაიჯანის ნაკრები საკუთარ მოედანზე რუსებს დაუხვდება. შესაძლოა, ამ დაპირისპირებაში საინტერესო არაფერი იყოს, მაგრამ გეტყვით, რომ აზერბაიჯანელთა მწვრთნელი გერმანელი ბერტი ფოგსია, რომელიც რუსებს იოლ გასეირნებას არ ჰპირდება. ამასთან, ბუნდესნაკრების მწვრთნელ იოაჰიმ ლიოვს თავის შეგირდად მიიჩნევს და ღიად ამბობს, რომ თვით რუსთა თავკაც, ჰოლანდიელ გუს ჰიდინკზე უკეთესი მწვრთნელია.

— გერმანიასა და შვეიცარიაში ხანგრძლივი შეკრებების შემდეგ, როგორც იქნა, პირველი გამარჯვება (ლიტენშტაინთან — 2:0) მოვიპოვეთ შესარჩევ ჯგუფში. ახლა მთელი მონდომებით ვემზადებით რუსებთან შეხვედრისთვის. მოსკოვში თამაშისას ცუდად არ გამოვიყურებოდით, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ. ახლა გვინდა, კიდევ უფრო უკეთესი მეტოქე აღმოვჩნდეთ, რადგან საკუთარ სტადიონზე გვექნება თამაში. არავინ იფიქროს, რომ რუსები ბაქოდან იოლად წაიღებენ რამეს. ვინ უკეთესი მწვრთნელია, მე თუ ჰიდინკი? გაგიკვირდებათ და ქედს ვიხრი ლიოვის წინაშე — ის ჯგუფის გამარჯვებული და ჩემი შეგირდია, — განაცხადა ფოგთსმა.

## ერიქსონი მანჩინის ეპატიჟება

ინგლისის უძველეს კლუბ „ნოთს ქაუნთის“ სპორტული დირექტორი სვენ გორან ერიქსონი გუნდის გაწვრთნას რობერტო მანჩინის სთავაზობს.

ინგლისის რანგით მეოთხე დივიზიონში მუშაობის პერსპექტივა მანჩინის მაინცდამაინც არ უნდა ხიბლავდეს, რადგან სულ ახლახან იტალიის ელიტური დივიზიონის გუნდს წვრთნიდა და შეთავაზებებიც საკმაოდ ჰქონდა, თუმცა მანჩინისთვის დამატებითი სტიმული ის უნდა იყოს, რომ ერიქსონთან ერთად რომის „ლაციოსა“ და „სამპდორიაში“ თანამშრომლობდა, ამასთან, ხუთწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 12 მილიონ გირვანქა სტერლინგს აიღებს.

გადავა თუ არა მანჩინი სამუშაოდ ნისლიან ალბიონზე, ჯერ უცნობია, რადგან მისი აგენტი მაურიციო დე ჯორჯისი ამ ფაქტს უარყოფს და აცხადებს, რომ მანჩინი არაფერს შეჰპირებია ერიქსონს.

— „ნოთს ქაუნთის“ და მისი პროექტის პატივისცემის მიუხედავად, ასეთი წინადადება არც ყოფილა და ეს ყველაფერი ჭორია. ჩვენ ჯერ არავინ დაგვკავშირებია. შესაძლოა, ეს საუბარი იმიტომ აგორდა, რომ მანჩინი ერიქსონის ახლო მეგობრად ითვლება, თუმცა მათ შორის არანაირი შეთანხმება არ ყოფილა. არ დაგავიწყდეთ, რა კლუბს წვრთნიდა მანამდე მანჩინი, — აღნიშნა დე ჯორჯესმა.

## ალონსომ — დრო მოგვეცითო

მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი, ხაბი ალონსო, ისევ ტრავმირებულია და თავისი ახალი გუნდის დახმარებას ჯერ ვერ ახერხებს, თუმცა დარწმუნებულია, რომ გუნდს მის გარეშეც შეუძლია თავი გაიტანოს და მხოლოდ ცოტა დრო უნდა იმისთვის, რათა კიდევ უფრო სანახაობრივი ფეხბურთი აჩვენოს.

— პელეგრინიმ გარკვევით გვითხრა, რასაც უნდა მივაღწიოთ. როგორი თამაშით იქნება ეს, მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ჩვენი მიზანია, გუნდმა სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშოს და ამისთვის მხოლოდ მცირე ხნით მოუწევს გულშემატკივარს მოცდა. იმედი მაქვს, „ვალიადოლიდთან“ მატჩში უფრო საინტერესო სანახავი ვიქნებით, ხოლო ტურიდან ტურამდე კიდევ უფრო მოვუმატებთ. ჯერ სეზონი ახალი დაწყებულია და სიჩქარე არ ივარგებს, თორემ შესაძლოა სიურპრიზებიც მოხდეს. გათვითცნობიერებული მაქვს, რომ კრიტიკა უნდა მივიღო. გასაგებია, როდესაც ვიგებთ, პასუხსაც არავინ გვთხოვს, ხოლო წაგების შემდეგ ყველა კრიტიკულად არის განწყობილი, მაგრამ ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ ყველაზე კრიტიკულები თავად ჩვენ უნდა ვიყოთ და ჩვენსავე შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ, — აღიარა ალონსომ.

## ახალგაზრდული მარცხი დანიაში

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ირლანდიაში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოპოვებული ქულის (1:1) შემდეგ ამხანაგური მატჩი გამართა დანიის ნაკრებთან.

ოთარ გაბელიას ამ მატჩისთვის ორი წამყვანი ნახევარმცველი, ლევან ყენია და ჯანო ანანიძე აკლდა. ყენია ეროვნულ ნაკრებს დაეხმარება დღევანდელ ამხანაგურ მატჩში, ხოლო ანანიძე — 19-წლამდელთა ნაკრებს შვედეთში.

თუმცა ანანიძეს არც ირლანდიაში უთამაშია, ხოლო ყენიას დანაკლისი ქართველებმა დანიაში ვერ გადაიტანეს და 3:1 წააგეს.

სამწუხაროდ, ამ მატჩის ინტერნეტით ვერც პირდაპირ რეპორტაჟს მივაგენით და ვერც ტექსტურ მონაცემებს. ამიტომ მხოლოდ ის შეგვიძლია გითხრათ, რომ საქართველოს ნაკრები 27-ე წუთზე დაწინაურდა. დანიელებმა 2 წუთში ანგარიში გაათანაბრეს, ხოლო 49-ე წუთზე სულაც დაწინაურდნენ. მესამე გოლი სკანდინავიელებმა ოთარ გაბელიას შეგირდების კარში 90-ე წუთზე გაიტანეს.

## ფაჩულია სტაბილურია

მესამე საგამოფენო მატჩი გამართა რეგულარული სეზონის წინ „ატლანტა ჰოუკსმა“ და ჩვენებურმა ზაზა ფაჩულიამ ისევ იყოჩაღა. ატლანტელებმა შინ 107:90 „შარლოტ ჰორნეტსი“ დაამარცხეს.

ფაჩულიამ მოედანზე 17 წუთი გაატარა და გუნდს 14 ქულა და 4 მოხსნა შესძინა. ჩვენებური კარგად ისროდა თამაშიდან და 8 ქულის მოგროვება 6 სროლიდან შეძლო, ხოლო 7 ნასროლი საჯარიმოდან 6 აღმოჩნდა ზუსტი.

აღსანიშნავია, რომ ფაჩულიამ ისევ თავის კონკურენტ ოლ ჰორფორდზე უკეთესი თამაში აჩვენა (3 მატჩში, მესამედ). ატლანტელთა ძირითადმა ცენტრმა მოედანზე 19 წუთი გაატარა და მისი მონაგარი 8 ქულა და 6 მოხსნაა. ვერ გეტყვით, მოხვდება თუ არა ფაჩულია სასტარტო შემადგენლობაში და გახდება თუ არა „ქორების“ ძირითადი ცენტრი, მაგრამ სეზონის წინ გაფორმებულ ახალ 4-წლიან კონტრაქტს ატლანტელები, ალბათ, არ ნანობენ.

მორიგ საგამოფენო მატჩს „ატლანტა“ ხვალ, გამთენიისას, „მემფისთან“ სტუმრად გამართავს.

## იოვეტიჩი 25 მილიონად შეაფასეს

ბოლო დროს ევროპულ ფეხბურთში მოულოდნელად შემოიჭრა ჩერნოგორიელი ფეხბურთელი, სტევან იოვეტიჩი. ახალგაზრდა ტალანტმა რამდენიმე შესანიშნავი მატჩი ჩაატარა და მასზე უკვე ხმაურიანად ალაპარაკდნენ.

იოვეტიჩი „ფიორენტინამ“ 8 მილიონ ევროდ იყიდა „პარტიზანისგან“, ხოლო „ლივერპულთან“ შესრულებული დუბლის შემდეგ მისი შეძენით უკვე გრანდები დაწინაურდნენ, თუმცა „ფიორენტინასაც“ და ფეხბურთელის აგენტსაც 8 მილიონი უკვე სასაცილოდ ეჩვენებათ.

— „ფიორენტინამდე“ იოვეტიჩით „მანჩესტერი“ და „რეალი“ იყვნენ დაინტერესებული, მაგრამ 8 მილიონი ეძვირათ. როგორც ვიცი, ამ გუნდებს ისევ სურთ ჩემი კლიენტის სათავისოდ გადაბირება, მაგრამ ახლა გაცილებით მეტი თანხის გადახდა მოუწევთ. იოვეტიჩის ღირებულება დღეისთვის 25 მილიონი ევროა და არ ვიცი, სეზონის ბოლოს ისევ ეს თანხა იქნება თუ არა — ჩემი კლიენტი ყოველდღე პროგრესირებს და არ გამოვრიცხავ ამ თანხის გაზრდას, — აცხადებს ფეხბურთელის აგენტი.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ე.ჩ.(21). შესარჩევი ეტაპი**

| | |
|---|---|
| რუმინეთი-ფარერები | 3:0 |
| ამხანაგური | მატჩი(21) |
| დანია-საქართველო | 3:1 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბელენენსეში-ნასიონალი | 0:1 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ფროსინონე-კროტონე | 1:1 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო(მ)-კრუზეირო | 0:1 |
| ბოტაფოგო-ავაი | 2:2 |
| გოიასი-რესიფე | 1:1 |
| ნაუტიკო-პალმეირასი | 3:0 |
| სანტისი-ვიტორია | 0:0 |

**არგენტინა. პრიმერა**

| | |
|---|---|
| რივერ პლეიტი-ინდეპენდიენტე | 1:3 |

### კალათბურთი

**ნბა. საგამოფენო მატჩები**

| | |
|---|---|
| ატლანტა-შარლოტი | 107:90 |
| კლივლენდი-ოლიმპიაკოსი | 111:94 |
| მემფისი-ორლანდო | 83:102 |
| ოკლაჰომა-ფინიქსი | 110:105(დდ) |
| ჰიუსტონი-მილუოკი | 92:96 |
| კლიპერსი-გოლდენ სტეიტი | 124:117 |

### ჩოგბურთი

**შანხაი. ატპ. ტური**

| | |
|---|---|
| საფინი-გონგი | 6:4;6:4 |
| გულბისი-ფონინი | 6:7;3:6 |
| მელცერი-ჩარდი | 6:4;6:4 |
| ჰაასი-ბეკერი | 7:6;6:4 |
| დავიდენკო-კუნიცინი | 6:4;6:2 |
| ჰიუიტი-ისნერი | 6:2;6:4 |
| კოლშრაიბერი-ალმაგრო | 7:6;1:6;6:7 |
| ლუბიჩიჩი-ბენეტო | 6:3;3:6;6:1 |
| სოდერლინგი-ჰანესკუ | 6:3;6:4 |
| ჩილიჩი-ბერდიხი | 6:7;6:3;4:6 |
| შტეპანეკი-ბეკი | 7:5;6:4 |
| გონსალესი-ბელუჩი | 6:3;6:4 |
| მონფილსი-მატი | 6:2;6:2 |
| ტროიცკი-მონაკო | 6:1;6:2 |
| როდიკი-ვავრინკა | 4:6;0:6 |

**ოსაკა. ვტა. ტური**

| | |
|---|---|
| პეერი-მირხა | 6:3;3:6;4:6 |
| გლატჩი-ობრაიანი | 3:6;4:6 |
| კირილენკო-კუტუზოვა | 2:6;0:6 |
| სკიავონე-კრემერი | 7:5;6:2 |
| შვედოვა-იონაჰსონი | 5:7;6:2;5:7 |
| ჟინკი-ფუდა | 6:4;6:4 |
| ჩანი-გალიკსონი | 6:1;6:1 |
| კოინი-კინგი | 6:2;3:6;4:6 |
| ვოზნიაცკი-მორიტა | 6:4;6:1 |
| ბარტოლი-ვოსკობაევა | 6:3;7:5 |
| როდიონოვა-მორიგამი | 4:6;6:4;2:6 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბოსტონი-კოლორადო | 3:4 |
| აილენდერსი-ლოს ანჯელესი | 1:2 |
| ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი | 2:2(0:1ბ) |
| რეინჯერსი-ტორონტო | 7:2 |
| ოტავა-პიტსბურგი | 1:4 |
| ტამპა ბეი-ფლორიდა | 3:2 |
| ნეშვილი-ედმონტონი | 1:6 |
| ჩიკაგო-კალგარი | 6:5(დდ) |
| სან ხოსე-ფინიქსი | 0:0(0:1ბ) |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## დღის კალენდარი

### 14 ოქტომბრისთვის



წლის 287-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 78 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

მე-19 შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი.

დღესასწაული საუფლო კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღვთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა. საფარველი ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. მცხეთობა - სვეტიცხოვლობა. მოციქულთა სწორთა: მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი; წმიდა სიდონიასი და აბიათარ მღვდელისა, ურიაყოფილისა. წმიდა მელქისედეკ I საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა (XVII), მოციქულ ანანიასი, სამეოცდაათთაგანისა (I); ღირსი რომანოზ ტკბილადმგალობელისა (V); მოწამე დომნინე თესალონიკელისა (IV); ღირსი მოწამე მიქაელისა - ზობიელ იღუმენისა და მასთან 36 ღირსი მოწამეთა (780-790).

**დაიბადნენ:**

1585 - ჰენრიხ შიუტცი, გერმანელი კომპოზიტორი, კაპელმეისტერი, ორღანისტი, პედაგოგი, გარდაიცვალა 1672 წელს.

1633 - იაკობ II, დიდი ბრიტანეთის მეფე (1685-1688), გარდაიცვალა 1701 წელს.

1804 - გრიგოლ ორბელიანი, პოეტი. გარდაიცვალა 1883 წელს.

1842 - ვასილ ვერეშჩაგინი, რუსი ფერმწერი, გარდაიცვალა 1904 წელს.

1864 - სტეფან ჟერომსკი, პოლონელი მწერალი, გარდაიცვალა 1925 წელს.

1881 - მიხეილ ზანდუკელი, ლიტერატურათმცოდნე, გარდაიცვალა 1968 წელს.

1890 - დუაიტ დევიდ ეიზენჰაუერი, აშშ-ს 34-ე პრეზიდენტი, გარდაიცვალა 1969 წელს.

1891 - გრიგოლ რობაქიძე, მწერალი, გარდაიცვალა 1956 წელს.

1895 - სიმონ ყაუხჩიშვილი, ფილოლოგი, აკადემიკოსი, გარდაიცვალა 1981 წელს.

**გარდაიცვალნენ:**

1956 - იუხო კუსტი პაასიკივი, ფინეთის პრემიერ-მინისტრი (1918; 1944-1946), 1946 წლიდან ფინეთის პრეზიდენტი, დაიბადა 1870 წელს.

1960 - აბრამ იოფე, საბჭოთა ფიზიკოსი, აკადემიკოსი, დაიბადა 1880 წელს.

1985 - ემილ გილელსი, მევიოლინე, დაიბადა 1916 წელს

1990 - ლეონარდ ბერნშტაინი, ამერიკელი კომპოზიტორი და დირიჟორი.

**მოვლენები:**

1066 წელი — გაიმართა ჰასტინგის ბრძოლა ნორმანდიის ჰერცოგ უილიამსა და ინგლისის მეფე ჰაროლდს შორის. ნორმანდელების გამარჯვების შედეგად ინგლისის მეფედ ეკურთხა უილიამი.

1918 წელი - თურქეთის მთავრობამ აშშ-ს პრეზიდენტ ვილსონს გაუგზავნა წერილი სამშვიდობო წინადადებებით.

1920 წელი - საბჭოთა კავშირმა ფინეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა.

1933 წელი - გერმანია გამოვიდა ერთა ლიგიდან და გამოიწვია თავისი დელეგაცია განიარაღების კონფერენციიდან.

1944 წელი - ბრიტანეთის ჯარმა გაათავისუფლა ათენი გერმანელი ფაშისტებისაგან.

1946 წელი - დაფუძნდა საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაცია.

1964 წელი - საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი გახდა.

1964 წელი - ამერიკელ შავკანიანების ლიდერს მარტინ ლუთერ კინგს მიანიჭეს ნობელის პრემია.

1981 წელი - ხოსნი მუბარაქი ეგვიპტის პრეზიდენტი გახდა.

2000 წელი - წარმატებით გაუშვეს ამერიკული კოსმოსური ხომალდი "დისქავერი" შვიდი ასტრონავტით ბორტზე.

2002 წელი - საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

სტანდარტიზაციის საერთაშორისო დღე;

იემენის დემოკრატიული რესპუბლიკა - ეროვნული დღე.

**მედიანიუსი**

# ლეონარდო და ვინჩის პორტრეტი მისი თითის ანაბეჭდებით იცნეს

პორტრეტი, რომელიც რომელიღაც გერმანელი მხატვრის ნამუშევრად მიაჩნდათ, სინამდვილეში ლეონარდო და ვინჩის სურათი შეიძლება აღმოჩნდეს. მკვლევარებმა სურათზე დიდი ოსტატის თითების ანაბეჭდები აღმოაჩინეს.

ლონდონის ჟურნალ „ანთიქუითის თრეიდ გაზეთის" თანახმად, გოგონას პორტრეტი, რომელიც კატალოგებში ფიგურირებდა, როგორც „XIX საუკუნის გერმანელი მხატვრის ნამუშევარი", რამდენიმე მილიონი დოლარი შეიძლება ღირდეს.

ექსპერტებმა სურათის ზედა მარცხენა კუთხეში საჩვენებელი და შუა თითის ანაბეჭდები აღმოაჩინეს. მათი აზრით, დიდია ალბათობა იმისა, რომ ეს ანაბეჭდები ვატიკანში დაცულ და ვინჩის სურათზე „წმინდა იერონიმზე" აღბეჭდილი ანაბეჭდების მსგავსია.

ექსპერტები, გარდა ამისა, გოგონას პორტრეტისა და და ვინჩის სურათის „ქალის პორტრეტი პროფილში" დიდ მსგავსებაზე მიანიშნებენ. ეს უკანასკნელი სურათი უინძორის სასახლეშია დაცული.



გარდა ამისა, ინგლისური გაზეთის სტატიაში აღნიშნულია, რომ ტუშისა და ცარცის მონასმები სურათზე მარცხენა ხელით არის შესრულებული და, როგორც ცნობილია, და ვინჩი ცაცია იყო.

სურათზე გამოსახული გოგონას ვარცხნილობა და კაბა XV საუკუნის მილანურ მოდას შეესაბამება. რადიონახშირბადული ანალიზის შედეგები ასევე მიანიშნებენ, რომ სურათი დაახლოებით იმ პერიოდში იყო დახატული.

გარდა ამისა, ოქსფორდის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის საპატიო პროფესორ მარტინ კემპს მიაჩნია, რომ სურათისათვის მოდელი ახალგაზრდა ბიანკა სფორცა, მილანის ჰერცოგ ლუდოვიკო სფორცას ქალიშვილი იყო, რომელიც XV საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა.

კემპის თქმით, იგი ამ დასკვნამდე გამორიცხვის მეთოდით მივიდა.

ახლო წარსულში სურათმა, რომლის ზომებია 23X33 სმ, რამდენიმე მფლობელი გამოიცვალა.

1998 წელს სურათი ნიუ იორკის ქრისტის აუქციონზე გაიყიდა სახელწოდებით „რენესანსის ეპოქის კაბაში გამოწყობილი გოგონას პროფილი".

სურათი 19 ათას დოლარად ართ დილერმა ექით განზმა შეიძინა და შემდეგ იგი კანადელ ხელოვნების მოყვარულ პიტერ სილვერმანს დაახლოებით 20 ათას დოლარად მიჰყიდა.

სილვერმანმა ბრიტანეთის მუზეუმის კურატორთან, დოქტორ ნიკოლას ტერნერთან შეხვედრის შემდეგ სურათის უფრო გულმოდგინედ გამოკვლევა გადაწყვიტა.

მომავალ წელს პორტრეტს შვედეთში გამოფენენ.

# ორლანდო ბლუმი იუნისეფის კეთილი ნების ელჩია



გაეროს ბავშვთა ფონდმა იუნისეფმა ბრიტანელი მსახიობი ორლანდო ბლუმი კეთილი ნების ელჩად დანიშნა. შესაბამისი განცხადებით ნიუ იორკში იუნისეფის აღმასრულებელი დირექტორი ენ ვენემანი გამოვიდა.

ვენემანის თქმით, იუნისეფი მოხარულია, რომ მის რიგებში გამოჩნდა ორლანდო ბლუმი, რომელიც ნაკლებად დაცული ბავშვების მხარდაჭერით არის ცნობილი.

ბლუმის თქმით, მას უკვე ჰქონდა შესაძლებლობა, თვალი ედევნებინა იუნისეფის საქმიანობისათვის ნეპალში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, რუსეთში.

— მოუთმენლად ველი იუნისეფში საქმიანობის დაწყებას, რათა სამყარო ბავშვების მიმართ უფრო კეთილგანწყობილად ვაქციო, — განაცხადა 32 წლის მსახიობმა, რომელიც მილიონობით მაყურებლისათვის ცნობილია ფილმებით „ტროა" „ზეციური სამეფო", ტრილოგია „კარიბის ზღვის მეკობრეები" და „ბეჭდების მბრძანებელი", — მინდა იუნისეფის უფრო აქტიური ელჩი ვიყო.

ორლანდო ბლუმს თავისი საქმიანობის დაწყება ბავშვის უფლებების გაეროს კონვენციის ხელმოწერის 20 წლისთავთან დაკავშირებით აქვს გადაწყვეტილი და სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობის შესახებ რადიომიმართვის ჩაწერა სურს.

1948 წელს შექმნილი იუნისეფი მსოფლიოს 157 ქვეყანაში მოქმედებს. ბავშვთა ფონდი იქცა საერთაშორისო სტრუქტურად, რომელიც ახალგაზრდობის პრობლემებზე მუშაობს. იგი ფართომასშტაბიან კამპანიებს მართავს იმუნიზაციის საკითხებთან დაკავშირებით და საგანგებო ვითარებების შემთხვევაში სასწრაფო დახმარების ორგანიზებას ცდილობს.

1954 წლიდან იუნისეფი თავის საქმიანობაში ცნობილი ადამიანების ჩართვას ცდილობს. ამჟამად მისი პროგრამის ფარგლებში 100-მდე კეთილი ნების ელჩი მოქმედებს. მათ შორის არიან სპორტსმენები დევიდ ბექჰემი და როჯერ ფედერერი, მსახიობები მია ფეროუ, დენი გლოვერი, ვუპი გოლდბერგი, ჯესიკა ლანჟი, როჯერ მური, ვანესა რედგრეივი, ჯეკი ჩანი, დენი მეი შაკირა და სხვები.

# ჩინეთში მილიარდერების რიცხვი მატულობს

ჩინეთში დოლარის მილიარდერების რაოდენობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში 101-დან 130-მდე გაიზარდა. რეიტინგის ავტორი კომპანია „ჰურუნ რესერჩის" თანახმად, მილიარდერების რიცხვის მიხედვით ჩინეთი ამჟამად აშშ-ის შემდეგ მსოფლიოში მეორე ადგილზეა.

იმავდროულად, როგორც ჟურნალი „ფორბსი" აღნიშნავს, პლანეტის უმდიდრეს ადამიანებს შორის მხოლოდ 28 ჩინელი მილიარდერია.

„ჰურუნ რესერჩი" აცხადებს, რომ ჩინეთში კიდევ ასამდე მილიარდერი შეიძლება იყოს, რომლებიც თავიანთი ქონების აფიშირებას თავს არიდებენ.

მილიარდერების უმეტესობამ ქონება უძრავი ქონებით ვაჭრობითა და ბირჟაზე დააგროვეს.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ეს მონაცემები მოწმობს, რომ, გლობალური კრიზისის მიუხედავად, ჩინეთის ეკონომიკა კვლავაც სწრაფი ტემპებით იზრდება.

ჩინეთის ყველაზე მდიდარ ადამიანად მიჩნეულია ჩან ჩუანფუ, რომელიც ავტომობილების აკუმულატორებით ვაჭრობს და ავტომობილების წარმოებასაც ცდილობს.

მისი ქონება 5.1 მილიარდად არის შეფასებული. ერთი წლის განმავლობაში მისი ქონება ხუთჯერ გაიზარდა, რაც ძირითადად ამერიკელი ინვესტორის, უორენ ბაფეტის დახმარებით არის განპირობებული.

გასული წლის სექტემბერში ბაფეტმა ამ კომპანიის აქციების 10% 230 მილიონ დოლარად შეიძინა. ვან ჩუანფუს 27% ეკუთვნის.

მეორე ადგილზეა ჩჟან ინი, ქაღალდის გადამამუშავებელი კომპანიის დამაარსებელი. 2006 წელს იგი ჩინეთის უმდიდრეს ადამიანად დაასახელეს.

შარშანდელი ლიდერი, ხუან გუან იუი, საყოფაცხოვრებო ტექნიკით მოვაჭრე უდიდესი კომპანიის მფლობელი, მე-17 ადგილზე აღმოჩნდა. მისი ქონება 3.4 მილიონ დოლარამდე შემცირდა. გასულ წელს იგი ბაზრით მანიპულირების გეგმების ბრალდებით დააკავეს, რის შემდეგაც მან კომპანიის ხელმძღვანელის პოსტი დატოვა.

პირველ ათეულში მილიარდერთა სიაში შვიდი ახალი სახელი გამოჩნდა. ასეთი რადიკალური ცვლილებები ამ სიაში პირველად ხდება.

სიის ერთ-ერთი ავტორის, რუპერტ ჰუგივერფის თქმით, ჩინეთში კიდევ მრავლად არიან ფარული მილიარდერები, რომლებმაც თავიანთი ქონება უძრავი ქონების ბაზარზე, საფონდო ბირჟებსა და ინვესტიციებზე მოაგროვეს. „ოფიციალური" მილიარდერების რიცხვით ჩინეთს მხოლოდ აშშ უსწრებს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# ბრიტანეთის საბჭომ რუსთაველის თეატრში უორქშოფი დაიწყო

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ურთიერთობების განვითარების სფეროებში. მისი საქმიანობის არეალი მსოფლიოს 110 ქვეყანას მოიცავს. ბრიტანეთის საბჭო ხელს უწყობს თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებს შორის ბრიტანული იდეებისა და მიღწევების პოპულარიზაციის მიზნით. ეს უორქშოფი ტარდება რუსთაველის და ლონდონის ნაციონალური თეატრების პარტნიორობის პროექტის ფარგლებში, რომელიც ბრიტანეთის საბჭოს ხელშეწყობით ხორციელდება, — აცხადებენ ბრიტანეთის საბჭოში.

***— რამდენ დღეს გაგრძელდება ერთობლივი პროექტი?***

— სამდღიანი პრაქტიკული სახის უორქშოფის ყურადღების ცენტრშია კლასიკური დრამატურგიის სტრუქტურისა და თანამედროვე პრობლემების შერწყმა. უორქშოფს წარუძღვება ჯეკ ბრედლი, რომელიც აღნიშნავს, რომ ახალი დრამატურგია არისსაჭირბოროტო პრობლემების ასახვა. ამდენად, უორქშოფზე ჩვენ შევეცდებით, გავარკვიოთ, თუ როგორ შეიძლება არსებითი ელემენტების გამოყენება მუდმივად ცვალებადი სამყაროს ასასახად. მუშაობის პროცესში მივმართავთ იმპროვიზაციას, კოლექტიურ შემოქმედებას, ჯგუფურ, ასევე ინდივიდუალურ წერას. ყველაფერი ეს დაგვეხმარება წერის იმ საშუალებების გახსენებაში, რომლებსაც დრო არასოდეს ეხება და აგრეთვე რაღაც საკუთრივ ჩვენის შექმნაშიც! შევეხებით ისეთ საკითხებს, როგორიცაა ნარატივის, დროისა და სივრცის მნიშვნელობა, პერსონაჟის განვითარების, ექსპოზიციის და ისტორიის სიცხადე, კომუნიკაციის ისეთი საშუალებები, როგორიცაა დიალოგი და ჟესტიკულაცია, საუბარი მაყურებელთან, იდენტიფიკაციის, თანაგრძნობის და რელევანტურობის მიზნების გააზრება.

***— რას ითხოვთ ქართველი ახალგაზრდა დრამატურგებისგან?***

— არაფერს განსაკუთრებულს. უორქშოფის მონაწილეები განწყობილნი უნდა იყვნენ წერისა და თანამშრომლობისათვის.

***— რას ემსახურება თქვენი გაცვლითი პროგრამები?***

— თეატრების პარტნიორობის პროექტის მიზანი საქართველოში თეატრალური სექტორის პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა, ახალგაზრდა და პერსპექტიულ რეჟისორებთან თანამშრომლობა, ახალი დრამატურგიის პოპულარიზაცია და ფართო აუდიტორიის ახალი რეპერტუარით დაინტერესებაა.

ბრიტანეთის საბჭოსა და რუსთაველის თეატრის ერთობლივი პროექტი ახალგაზრდა დრამატურგებისთვის 14 ოქტომბერს დასრულდება.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ლითონის სადნობი მეტალურგიული ღუმელი; 2. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 3. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელი; 4. რომელიმე სხეულში არსებული ელექტრონების რაოდენობა; 5. იაპონური ფინანსურ-სამრეწველო კონცერნი; 8. ლამაზად, მოხდენილად ჩამცმელი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 12. მდინარე ჰამბურგში; 13. ზღაპრული სიმდიდრის ქვეყანა; 14. ინგლისელი მწერალი დების გვარი; 16. პატარა იტალიური რესტორანი; 18. ფრანგი მემოდელე; 20. მოკლე მუსიკალური მისალმება.

**თარაზულად:** 6. კამათის, პოლემიკის წარმართვის ხელოვნება; 7. იტალია-საფრანგეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო-საავტომობილო გვირაბი; 8. ჩეხური ქოფაკი; 9. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ეგეოსის ზღვისპირა ნავსადგური საბერძნეთში; 11. ქართლში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის სუფრის ჯიში; 15. ესპანელი კინორეჟისორი; 17. მეცნიერების, ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 19. ხორბლისა და ჭვავის შეჯვარებით მიღებული უხვმოსავლიანი მარცვლოვანი კულტურა; 21. მეტისმეტად ლამაზი ბაღი; 22. კიდული რკინიგზა; 23. ხმელთაშუა ზღვისპირა საკურორტო ზონა იტალიასა და საფრანგეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პლანიცა; 2. „ამსტელი"; 3. დისკუსია; 4. კუბიცა; 5. სალიუკი; 8. ბიუჯეტი; 9. კეჭნაობა; 12. პლანტაჟი; 13. „ლოკჰიდი"; 16. კოლორადო; 17. იარანგი; 19. უშქარი; 20. კურარე.

**თარაზულად:** 6. ალარმისტი; 7. შუცმანი; 8. „ბუკერი"; 10. ზინგერი; 11. ბუკე; 14. ოპონენტი; 15. სანთიობო; 18. „მოსტრა"; 21. შედევრი; 22. ვუდსი; 23. ილვესი; 24. კონდიტერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. იალბუზი; 2. საქარინი; 3. მოხელე; 4. ქცევა; 5. კარერასი; 8. „ბარახასი"; 12. რომი; 13. პოლემიკა; 14. ბრინჯი; 16. ტარიელი; 18. კოდაი; 20. ჯოჯო.

**თარაზულად:** 6. საფიჩხია; 7. პრომოცია; 8. ბეჟარი; 9. დუნგა; 10. ფიტარეთი; 11. აფერისტი; 15. სოლისიტორი; 17. „ციბონა"; 19. ჯორჯთაუნი; 21. მიურიდი; 22. კარალიოკი; 23. კოსმოსი.

# იაპონია ნატოს გემების საწვავით გამართვას იანვრიდან შეწყვეტს




იაპონიას გადაწყვეტილი აქვს, მომავალი წლის იანვრიდან შეწყვიტოს ნატოს იმ სამხედრო ხომალდების საწვავით გამართვა, რომლებიც ავღანეთში სამხედრო ოპერაციას უზრუნველყოფენ.

შესაბამისი განცხადებით იაპონიის თავდაცვის მინისტრი ტოშიმი კიტაზავა ახალი მთავრობის პირველ პრესკონფერენციაზე გამოვიდა.

ინდოეთის ოკეანეში დისლოცირებული იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტი კოალიციის ხომალდებს საწვავით ამარაგებს და ტექნიკურ-მატერიალურ მხარდაჭერას უწევს.

მისიის ვადა 15 იანვარს იწურება.

იაპონიის ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ ეს ვადა არ გაგრძელდება და ამით მიანიშნეს, რომ მზად არიან, ავღანეთში საერთაშორისო კონტინგენტის მხარდაჭერის ალტერნატიული გეგმა წამოაყენონ, კერძოდ, ქვეყანაში მშვიდობიანი ცხოვრების ნორმალიზებაში მიიღონ მონაწილეობა.

იაპონიის დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც ხელისუფლების სათავეში აგვისტოს არჩევნების შემდეგ მოვიდა, წინასაარჩევნო კამპანიის დროს განაცხადა, რომ აშშ-სგან უფრო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებდა.

ასეთი პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ასპექტს ინდოეთის ოკეანეში იაპონიის სამხედრო-საზღვაო მისიის შეწყვეტა წარმოადგენს.

მისია რვა წელი გრძელდებოდა და ამ დროის განმავლობაში იგი არაერთხელ გახდა კრიტიკის სამიზნე. ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ ასეთი ტიპის ოპერაციაში იაპონიის ფლოტის მონაწილეობა ქვეყნის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. კვირას იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი კაცუია ოკადა დაუგეგმავი ვიზიტით ქაბულს ეწვია, სადაც იგი ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ ქარზაის შეხვდა. ამ შეხვედრის დროს მან რეგიონში ვითარების ნორმალიზებაში იაპონიის შესაძლო მონაწილეობის საკითხი განიხილეს.

# „ალ კაიდა“ ფინანსურ კრიზისს განიცდის, „თალიბანი ყვავის

აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, „ალ კაიდა“ უმძიმეს ფინანსურ კრიზისს განიცდის, ხოლო თალიბების ფინანსირება, პირიქით, იზრდება.

ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსირების ექსპერტ დევიდ კოენის აზრით, „ალ კაიდამ“ მიმდინარე წლის განმავლობაში ფინანსური დახმარების თხოვნით სხვადასხვა ორგანიზაციას არაერთხელ მიმართა.

ექსპერტის თქმით, აშშ-ს ძალისხმევა არ დაუკლია, რათა „ალ კაიდასთვის“ ჟანგბადი გადაეკეტა, შეძლებისდაგვარად მისი ფინანსირების წყაროებს ავლენდა და მათ ბლოკირებას ახდენდა.

სწორედ ამიტომ მსოფლიოში „ალ კაიდას“ ზეგავლენა საკმაოდ შესუსტდა.

აშშ-ის ხელისუფლების ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, „ალ კაიდას“ ლიდერებმა თავიანთ სპონსორებს უკვე აცნობეს, რომ ფინანსირების ნაკლებობა მეამბოხეების რიცხვსა და მათი საბრძოლო მომზადების ხარისხზე ახდენს ზეგავლენას.

როგორც ვაშინგტონს მიაჩნია, ვითარება სწრაფად შეიძლება შეიცვალოს, რადგან არსებობს დონორთა არცთუ მცირე რიცხვი, რომლებიც ბინ ლადენისათვის დახმარების აღმოჩენისათვის მზად არიან.

იმავდროულად, ავღანელი თალიბების ფინანსური მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, რადგან მისი ფინანსირების წყაროს ნარკოტიკებით ვაჭრობა წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, დევიდ კოენის თქმით, აშშ ყოველნაირად ცდილობს, თალიბების ხაზინაში შემოსავლების ნაკადი გააკონტროლოს.

აშშ-ის სპეციალურმა წარმომადგენელმა ავღანეთში რიჩარდ ჰოლბრუკმა განაცხადა, რომ მოძრაობა თალიბანს სპარსეთის უბის ქვეყნებიდან კერძო შემოწირულობებითაც ეხმარებიან.

გარდა ამისა, აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს მიაჩნია, რომ გასამხედროებული დაჯგუფებების არაერთი წევრი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ხარჯზე არსებობს. ასე მაგალითად, „ჰეზბოლას“ მეამბოხეები კომპიუტერული პროგრამებისა და აუდიოჩანაწერების მეკობრულ ვერსიებს ყიდიან, გარდა ამისა, სიგარეტის კონტრაბანდას ეწევიან.

# ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა მოლაპარაკების დაწყებაზე შეთანხმდნენ




კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლები მოქმედების მცირე რადიუსის მქონე რაკეტების გამოცდიდან ერთი დღე-ღამის შემდეგ სამხრეთ კორეასთან მოლაპარაკებას დათანხმდნენ.

მოლაპარაკებების დროს, სხვა საკითხებთან ერთად, ფხენიანი კორეის ომით გაყოფილი ოჯახების გაერთიანების საკითხის განხილვასაც აპირებს.

ორშაბათს ჩრდილოეთ კორეამ „დედამიწა დედამიწა“ ტიპის ხუთი რაკეტა გამოსცადა.

გარდა ამისა, სამხრეთ კორეის მედიის თანახმად, 10-დან 20 ოქტომბრამდე ჩრდილოეთ კორეის სანაპირო წყლები, როგორც დასავლეთით, ასევე ქვეყნის აღმოსავლეთით, ნაოსნობისათვის დაიხურა.

სამხრეთ კორეის სააგენტო „იონაპის“ თანახმად, ეს შესაძლოა მიანიშნებს, რომ ჩრდილოეთ კორეა კიდევ ერთი ანალოგიური რაკეტის გამოცდას აპირებს.

იმავდროულად, სამხრეთ კორეის გაერთიანების სამინისტროს განცხადებით, ჩრდილოეთ კორეა სეულთან სასაზღვრო რაიონებში წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვასაც აპირებს.

წყალდიდობასთან ბრძოლა, ფაქტობრივად, მდინარე იმჩჟინგანზე ჩრდილოეთ კორეის მოქმედებას ეხება. 6 სექტემბერს ჩრილოკორეელებმა მდინარის ერთ-ერთი დამბა გახსნეს, რის შედეგადაც სამხრეთ კორეაში ექვსი ადამიანი დაიღუპა.

მოგვიანებით ფხენიანმა განაცხადა, რომ კაშხალში წყლის დონე სახიფათო ნიშნულს ასცდა და იძულებული იყო, დამბა გაეხსნა.

სეულმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ არაფერი მიანიშნებს იმას, რომ წყლის გამოშვება წინასწარ დაგეგმილ აქციას წარმოადგენდა.

სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა ლი მენ ბაკმა ჩრდილოეთის მიერ ბირთვული პროგრამის უარყოფის წინადადების უკუგდების გამო ფხენიანთან ურთიერთობა გაყინა.

გასულ კვირას ფხენიანში ვიზიტის დროს ჩინეთის პრემიერ-მინისტრმა ვენ ძიაბაომ განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეა ექვსმხრივი მოლაპარაკებების განახლებისათვის მზადაა.

ამასთან, მოლაპარაკებების წინასწარ პირობად აშშ-სთან პირდაპირი მოლაპარაკება იქნა წამოყენებული.

ვაშინგტონმა განაცხადა, რომ იგი მზადაა ჩრდილოეთთან ორმხრივი მოლაპარაკებებისათვის, მაგრამ ეს მოლაპარაკებები სამხრეთ კორეის, რუსეთის, ჩინეთისა და იაპონიის მონაწილეობით შემდგომი შეხვედრების მოსამზადებელ ეტაპად უნდა იქნეს მიჩნეული.

მას შემდეგ, რაც ფხენიანმა მიმდინარე წლის მაისში ბირთვული იარაღი გამოსცადა, გაერომ ჩრდილოეთ კორეას ახალი სანქციები დაუწესა.

# გორდონ ბრაუნი ხაზინას 12 ათას გირვანქას დაუბრუნებს



ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა განაცხადა, რომ დაუბრუნებს ხაზინას იმ 12 ათას გირვანქა სტერლინგს, რომელიც მან სხვადასხვა სამსახურებრივი ხარჯების კომპენსაციის სახით მიიღო.

დამოუკიდებელმა აუდიტორმა ასეთი კომპენსაცია უსაფუძვლოდ მიიჩნია და ბრაუნი ფულს სწორედ ამიტომ დააბრუნებს.

2004 წლის შემდეგ გორდონ ბრაუნი სხვადასხვა ხარჯის კომპენსაციას იღებდა. ამ ხარჯებს შორის აღსანიშნავია სამსახურებრივი ბინის დალაგება, სარეცხი და ბარის მოვლა.

მსგავსი კომპენსაციების გადახდა ბრიტანეთის პარლამენტში იმ დროს მოქმედი წესების მიხედვით იყო შესაძლებელი, მაგრამ დამოუკიდებელმა აუდიტორმა სერ ტომას ლეგმა მიიჩნია, რომ დეპუტატების ხარჯების კომპენსაციის ნაწილი უნდა შეეზღუდათ.

ასე მაგალითად, მებაღისათვის წელიწადში 1000 გირვანქაზე მეტის გამოყოფა მისაღებად არ მიიჩნიეს.

პარლამენტის დეპუტატების ხარჯების კომპენსაციის წესი მას შემდეგ გადასინჯეს, რაც გაირკვა, რომ მრავალი დეპუტატი ამ სისტემით ბოროტად სარგებლობდა.

საზაფხულო არდადეგების შემდეგ მრავალმა დეპუტატმა, როგორც მმართველი ლეიბორისტული, ასევე ორი მთავარი ოპოზიციური, კონსერვატიული და ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა, სატრანსპორტო, საბინაო და საყოფაცხოვრებო ხარჯების კომპენსაციის მიზნით მიღებული ფულის ნაწილის დაბრუნების წერილები მიიღეს.

აუდიტორმა ტომას ლეგმა ხუთი წლის განმავლობაში დეპუტატების მიერ წარდგენილი ჩეკები შეისწავლა და მიიჩნია, რომ დეპუტატებს ჭარბი მოთხოვნები გააჩნდათ.

მიუხედავად ამისა, გასული რამდენიმე წლის განმავლობაში ბუღალტრებს რაიმე დარღვევა არ აღურიცხავთ.

პარლამენტის დეპუტატების ხარჯებისადმი საზოგადოების დამოკიდებულება მას შემდეგ შეიცვალა, რაც ხარჯების შესახებ ცნობილი გახდა. როგორც გაირკვა, სახელმწიფო ხაზინიდან გაღებული თანხებით დეპუტატების მიერ ნამცხვრების, ძვირფასი ავეჯის, ჩოგბურთის კორტის რემონტის მსგავს ხარჯებს ფარავდნენ.

ჟურნალისტებმა და საზოგადოებამ პოლიტიკოსები სიხარბესა და ანგარებაში დაადანაშაულეს და განაცხადეს, რომ პარლამენტისადმი მათი დამოკიდებულება ისეთივეა, როგორიც ჯენტლმენური კლუბისადმი, რომელიც საკუთარი შინაგანი კანონებით ცხოვრობს.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა განაცხადა, რომ პარლამენტი ფინანსების აღრიცხვისა და კონტროლის ახალი, ეფექტური სისტემის შემოღებას აპირებს.

ამ სკანდალთან დაკავშირებით კრიტიკის ცეცხლში პირველი შს ყოფილი მინისტრი ჯეკი სმითი მოყვა. მან შემთხვევით შინ ფილმების ნახვის ანგარიში წარადგინა და ამ ფილმებს შორის პორნოგრაფიული ფილმებიც იყო, გარდა ამისა, დასთან ერთად ლონდონში საცხოვრებელი ფართი იქირავა და ამტკიცებდა, რომ აქ მისი მთავარი ბინა იყო. მიუხედავად ამისა, საპარლამენტო კომისიამ დაადგინა, რომ ჯეკი სმითი დროის მეტ ნაწილს თავის საარჩევნო უბანში მდებარე მეორე ბინაში ატარებდა და ამისათვის კომპენსაცია არ უნდა მოეთხოვა.

ყოფილ მინისტრს თემთა პალატის დეპუტატებისათვის ბოდიშის მოხდა მოუწევს.

# 100 წლის ბებიამ ბირთვის კვრაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა

სიდნეიში, ოსტატების მსოფლიო თამაშებზე, ასი წლის სპორტსმენმა, რუთ ფრითმა, რომელიც ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად სიდნეიში ბრისბენიდან ჩავიდა, ბირთვის კვრაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

როგორც რეიტერის სააგენტო აცხადებს, რუთ ფრითი თავდაპირველად ოქროს მედლის მოპოვებას გეგმავდა, რადგან 100 წელზე მეტი ასაკობრივი კატეგორიის ერთადერთი წარმომადგენელი იყო.



კვირას მან ბირთვი 4.07 მანძილზე ტყორცნა, რამაც მას, გარდა ოქროს მედლისა, რეკორდსმენის ტიტულიც მოუტანა.

რუთ ფრითს უკვე შვილთაშვილებიც ჰყავს, გარდა ბირთვისა, უროს და შუბსაც ტყორცნის და მიაჩნია, რომ მის მაგალითს სხვა მრავალი პენსიონერიც მიბაძავს.

ფორმის შესანარჩუნებლად ხანდაზმული სპორტსმენი კვირაში ხუთი დღე ვარჯიშობს, არ სვამს და არ ეწევა.

ოსტატების მსოფლიო თამაშები პირველად 1985 წელს ტორონტოში გაიმართა. მას შემდეგ ეს ტურნირი ყოველ ოთხ წელიწადში იმართება. ოლიმპიადისგან მას ის განასხვავებს, რომ მასში ყველა ასაკისა და შესაძლებლობის ადამიანებს შეუძლიათ მონაწილეობა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

მარიკა კალანდაძე და ეთერ გოგიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი ქართველი ქალის, შესანიშნავი მოქალაქის, ღრმად ერუდირებულის, ზეამაღლებული ბუნების, ადამიანის მოყვარულის, ყოველ ნაბიჯზე სიკეთის მთესველის, დიდი პიროვნების ხსოვნას, რომელიც ჩვენი ყოფიერებიდან მარადისობაში გადასვენდა.

**გოგონა (ვერა) კილასონიას**

14 ოქტომბერს, დიდი სვეტიცხოვლობის ბრწყინვალე დღეს, 85 წელი შეუსრულდებოდა. ულმობელმა სიკვდილმა ის თანამედროვეობას გამოსტაცა 26 დეკემბერს. მეხუთე წელია ოჯახის წევრები და ახლო ნათესავ-მეგობრები თვალცრემლიანნი დაგვტოვა.

ნათელში იყოს შენი ბრწყინვალე სული, კეთილო ადამიანო!

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**14 ოქტომბერი ოთხშაბათი**

**08.00** ან. სერ. "ფლატმანია" **08.30** დოკ. ფილმი "პეტრიწონი" **09.00** მცხეთობა – სვეტიცხოვლობა **14.00** დოკ. ფილმი "შინდი თეთრი" **14.30** მოამბე სომხურ ენაზე **15.00** სერ. **"სიყვარულის არდადეგები"** **16.00, 20.00** მოამბე **16.30** ან. სერ. "ფლატმანია" **17.00** სერ. **"ზურგის ქარი"** **18.00** დოკ. ფილმი "მცხეთა" **18.20** მ. მხ. ფილმი **"ალავერდობა"** **19.00** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **20.45** "სიზმარვიზია" **21.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **22.00** მოწყვიტე წამი **23.00** მხ. ფ. **"ისწავლე შეცდომებზე"** (U) (შ. ტერონი) **01.05** მხ. ფილმი **"შიშის მემკვიდრეობა"** (18)

**19.00** ან. ფილმი "ფლატმანია" **19.25** "სიზმარვიზია" **19.40** სერ. **"ჩემი მიწა"** **20.25** დოკ. ფ. "არტეფაქტები" **21.25** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **22.00** ჩვენებურები **23.00** მხ. ფ. **"სამაგიერო"** (12)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"შურისძიების ცეცხლში"** **11.00** ვა-ბანკი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.20** სერ. **"გზა დიდებისკენ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფრთხილდი ანგელოზს"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"გულის ძახილი"** **16.50** სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **19.50** სერ. **"დონა ბარბარა"** **22.00** ვის უნდა **20** ათასი **23.00** სერ. **"სიცრუის თეორია"** **00.00** პატრული **00.20** მხ. ფილმი **"იდიოტოკრატია"** (18) (ლ. უილსონი) **02.20** სერ. **"ცუდი გოგოები"**

**08.00** მულტფილმი "ეგვიპტური ზღაპარი" **09.00** სერ. **"მარია ემილია"** **09.50** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.50** სერ. **"ტყუპები"** **12.00** სერ. **"სი-ეს-აი"** **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ. "მარტორქის მოგზაურობა" **15.50** მხ. ფილმი **17.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **19.30** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **20.20** სერ. **"ტყუპები"** **21.10** ძილისპირული **21.30** სერ. **"მარია ემილია"** **22.35** "სიცილი მზეზე" **23.10** სერ. **"სი-ეს-აი"** **00.00** მხ. ფილმი

**07.40** სერ. **"ყავა და ლუდი 2"** **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **11.20, 12.40, 14.45** ტვ-მარკეტი **11.40** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **13.00** სერ. **"ნერონი"** **1**-ლი ს. **15.00** სერ. **"კლონი"** **16.00** სერ. **"ვინმე"** **1**-ლი ს. **17.35** დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **18.00** სერ. **"სიყვარულის აჩრდილი"** **19.05** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **21.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **22.00** სერ. **"ყავა და ლუდი 2"** **23.00** სერ. **"ვინმე"** **00.00** მხ. ფილმი **"უოლ სთრითი"** (U) (მ. შინი) **02.10** ქრონიკა **02.25** მხ. ფილმი **"გაალეთ პოლიციაა"** (U) (ფ. ნუარე)

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.45** მხ. ფილმი **"მარტო სახლში"** **10.30, 19.30** სერ. **"დაშნათა დედოფალი"** **11.45, 21.00** სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** **12.40** მხ. ფ. **"ძლიერი ქარი"** **15.25** მხ. ფილმი **"ვარსკვლავური ომები"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **22.00** "სცენა" **23.00** მხ. ფილმი **"სენსაცია"** **00.35** მხ. ფილმი **"ირლანდიური კვარტალი"**

ერთსულოვნება **09.00** "სვეტიცხოვლობა" (ტრანსლაცია მცხეთიდან) **13.00** კონცერტი **14.00** ჩემი ქალაქი **14.25** გაცოცხლებული წარსული **14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **15.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** მხ. ფ. **"აკაკის აკვანი"** **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** დებიუტი **19.15** დრო და ადამიანები **19.30** მხ. ფილმი **"ადამიანთა სევდა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოკლემ. მხ. ფილმი **22.00, 00.15** სიახლენი **22.15** გადაცემა "პერსპექტივა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გადაცემა "პერსპექტივა" **00.00** პატრიარქის ქადაგება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 14 ოქტომბრეს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,6825
ევრო —2,4035
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0533

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 22-25, ღამით — 11-13
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 26-28, ღამით — 15-18
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 18-22, ღამით — 1-11

**ამინდის პროგნოზი 14 ოქტომბრისთვის**







ქართული ფლორის საოცრება

# „სალხინო"

## უებარი წამალია

"სალხინო" აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა,შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ "სალხინო" სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ "სალხინო"-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო"-ში შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების ათეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


# გიორგი ციმაკურიძე: „შენი გუნდი ნაკრების დონეს არ აკმაყოფილებსო"

გიორგი ციმაკურიძე იმ ქართველ ფეხბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც საქართველოს ჩემპიონატში არ უთამაშიათ. ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში მიაშურა უკრაინას. 25 წლის ფეხბურთელმა ალჩევსკის „სტალში", დონეცკის „მეტალურგში", მარიუპოლის „ილიჩევეცსა" და ლუგანსკის „ზარიაში" გატარებული წლების შემდეგ სლოვაკეთს მიაშურა და 2 თვეა იქაურ „ჟილინაში" თამაშობს. თითქოს უკრაინული ჩემპიონატიდან სლოვაკეთში გადასვლა უკანდახეული ნაბიჯი უნდა იყოს, მაგრამ „ჟილინა" იქაურ ჩემპიონატში მუდამ ჩემპიონობისთვის იბრძვის, წელს კი ერთი ნაბიჯი დააკლდა, ევროპის ლიგაზე მოხვედრილიყო. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ სლოვაკეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე თავის ქვეჯგუფში პირველ ადგილზეა და სამხრეთ აფრიკაში წასასვლელი საგზურის რეალური პრეტენდენტია, ჩვენებურისთვის იქ გადასვლა უფრო პროგრესულია.



საქართველოს ჩემპიონატში უთამაშებლობას ციმაკურიძისთვის ხელი არ შეუშლია, ახალგაზრდულ ნაკრებში მუდმივად ეთამაშა. მეტიც, გიორგი იმ გუნდის კაპიტანი იყო, თუმცა შემდეგ მისი ეროვნულ ნაკრებში გამოძახება არავის გახსენებია.

ახლა ევროპაში სანაკრებო პაუზაა და ციმაკურიძემაც ეს დრო საქართველოში გაატარა, ამასთან, როგორც მასთან საუბარში გავარკვიეთ, საკმაოდ ნაყოფიერადაც.

***— როგორ შეეწყვე ახალ გუნდს?***

— საკმაოდ ნორმალურად. ადაპტაციის პროცესი იყო, მაგრამ დიდი ხნით არ გაგრძელებულა. გუნდს მალე შევეწყვე და მუდმივად ვხვდები ძირითად შემადგენლობაში. მწვრთნელი მენდობა და მეც შეძლებისდაგვარად ვამართლებ მათ იმედებს.

***— „ჟილინაში" ბოლო 2 თამაში გამოტოვე.***

— ეს ტრავმით იყო გამოწვეული. საქართველოში წამოსვლამდე 2 დღე მსუბუქად ვივარჯიშე. ახლა რომ ჩავალ, ალბათ, სრული დატვირთვით განვაახლებ ვარჯიშს. ძალიან მინდა, მალე ჩავდგე ფორმაში, რადგან პირველივე თამაშს უშუალო კონკურენტს, ბრატისლავის „სლოვანს" ვეთამაშებით.

***— ალბათ, საჩემპიონო ბრძოლა სწორედ ამ ორ გუნდს შორის გაიმართება.***

— ეს გუნდები აშკარად გამოკვეთილი ფავორიტები არიან. გასულ სეზონშიც მათ შორის იყო ბრძოლა და ჩემპიონი „სლოვანი" გახდა. ახლა ჩვენ შორის სხვაობა 1 ქულაა. მათთან თამაშს საკუთარ მოედანზე ვატარებთ და მოგების შემთხვევაში გადავასწრებთ. რომ იტყვიან, 6-ქულიანი თამაშია და ჩვენი შანსი უნდა გამოვიყენოთ.

***— თავდაპირველად მართლა გაგიჭირდა, ჯერ ევროპის ლიგაზე „პარტიზანთან" მატჩში პენალტი აიკიდეთ, შემდეგ სლო-***

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# „მის საქართველო 2009" ცირა სუქნიძე გახდა

ეკა ირემაშვილი

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში სამოდელო სააგენტო „იმიჯ ცენტრმა" სილამაზის კონკურსის „მის საქართველო 2009" დასკვნითი ფინალური შოუ გამართა.

ბათუმში სანამ წლევანდელ „მის საქართველოს" აირჩევდნენ, „მის საქართველოს" მონაწილეები, „მის საქართველო 2008-ის" ხათუნა სხირტლაძის ორგანიზებით, მახინჯაურის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლს ესტუმრნენ. კონკურსანტებმა პატარებს სხვადასხვა საჩუქრები და პირადი მოხმარების ნივთები ჩაუტანეს. სტუმრებისთვის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებმა საგანგებო კონცერტი გამართეს.

ბათუმის თეატრში კი საქართველოს მასშტაბით შერჩეული 20 ლამაზმანიდან ჟიურიმ, რომელსაც რუსთაველის თეატრის მსახიობი მარინა ჯანაშია თავმჯდომარეობდა, საუკეთესო ხუთეული დაასახელა, რომელთა შორისაც სამი გოგონა მის საქართველო, პირველი ვიცე-მისი და მეორე ვიცე-მისები გახდნენ.

წელს „მის საქართველო 2009"-ის ტიტული ცირა სუქნიძემ მოიპოვა. „მის საქართველოს" გარდამავალი დიადემა გამარჯვებულს გასული წლის „მის საქართველომ" ხათუნა სხირტლაძემ დაადგა თავზე. ცირა სუქნიძეს სუზუკის ცენტრისგან ახალი, ყველაზე



ეკონომიური ავტომობილი „სუზუკი სელერიო" გადაეცა. „პირველი ვიცე მის საქართველო" ნანუკა

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 14 ოქტომბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**ზედმეტად ნუ იაქტიურებთ.**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — პოზიტიური დღეა, თქვენი საქმე წინ მიდის. **ტყუპები** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — გზიდან ფულს მიიღებთ. **ქალწული** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **სასწორი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **ღრიანკალი** — პოზიტიური დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — თქვენი საქმე კარგად იქნება, იაქტიურეთ. **მერწყული** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **თევზები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეებს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 2. კრივში პირი, რომელიც მსაჯთა გადაწყვეტილებას უცხადებს მაყურებელს; 3. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 4. სურნელოვანი პარფიუმერული სითხე; 5. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მიერ გამოყოფილი ნივთიერება; 8. ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფი პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთობლიობა; 9. სახლზე დაშენებული არასრული სართული; 12. იტალიელი კინორეჟისორი; 13. ამერიკული ჟურნალი; 16. რაიმეს გაგების, შესწავლის სურვილი; 17. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 19. აეროპორტი ვარშავაში; 20. დილის სადილი.

**თარაზულად:** 6. ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი; 7. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 8. სატრფიალო ხასიათის ქალ-ვაჟთა მეგრული ცეკვა; 10. ხის კასრების მკეთებელი ოსტატი; 11. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 14. პირველი ამერიკელი ქალი ასტრონავტი; 15. მკურნალობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 18. საფრანგეთის ნაკრებისა და „ჩელსის" ფეხბურთელი; 21. გერმანიის პრეზიდენტი; 22. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 23. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 24. დედამიწის მტკიცე გარსი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## იუმორი



— გაილვიძე, სადილის დროა.

— უჩემოდ ისადილეთ, მე დღეს მშიერი ვმუშაობ...

***

— იდიოტი თუ გმართავთ, სულელები ყოფილხართ...

***

ქმარი მივლინებიდან დაბრუნდა. კარი გაალო და კისერზე ნახევრად შიშველი ცოლი ჩამოეკიდა:

— ჩქარა, აქედან გავიქცეთ, რადიოში გამოაცხადეს, თქვენს სახლში ბომბია ჩადებულიო.

— ახლავე ძვირფასო, მაგრამ ჯერ შევამოწმებ, შემთხვევით ჩვენს კარადაში ხომ არ არის...

***

— ჰა, როგორ არის გიტარაზე დაკვრის საქმე.

— ისე, რა.

— რატომ?

— ვერ გამიგია, როგორ დავუკრა, ხუთი თითი მაქვს, სიმები კი ექვსია...

— ჰოოო... წარმომიდგენია არფაზე რა მონსტრები უკრავენ...

***

— ალო, ექიმო!

— დიახ.

— ტელეფონით დიაგნოზის დასმა შეგიძლიათ?

— გაიხადეთ....

## იქნებით თუ არა ერთად? ტესტი



1. იცნობ და წელიწადზე მეტია ხვდები.
2. იგი ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივარია.
3. დედამისი შესანიშნავი მზარეულია.
4. ვერ იტანთ, როდესაც ტანისამოსი ოთახშია გაფანტული.
5. თქვეგან ერთ-ერთი ტოროლაა, მეორე — ბუ.
6. ორივეს გიყვართ კინოში სიარული.
7. ახალშობილები გაშინებენ, არ იცით, რა მოუხერხოთ მათ.
8. მიგაჩნიათ, რომ კომპიუტერი შინ საჭირო არ არის, ოფისშიც საკმარისია.
9. აღმერთებთ ლუდს.
10. მას შინ ძაღლი ჰყავს.
11. უყვარს მძიმე როკი და ალტერნატიული მუსიკა.
12. თქვენ ორივენი დედისერთა ხართ.

**პასუხები**

*უარყოფითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:*

**0-3 ქულა:** ზოგჯერ თქვენი მეგობარი ვაჟის საქციელი ისე გაღიზიანებთ, რომ მზად ხართ, თავი გაუტეხოთ. ხშირად კამათობთ, ისწავლეთ კომპრომისის გზა.

**4-8 ქულა:** მეგობრებს იდეალური წყვილი ჰგონიხართ, თუმცა, თქვენ იცით, რომ ასე არ არის. უბრალოდ, ახერხებთ, პრობლემების გადაწყვეტას და სკანდალების გარეშე ახერხებთ მასთან მორიგებას.

**9-12 ქულა:** ასეთი რამ იშვიათად ხდება, თქვენი ურთიერთგაგება, ერთმანეთზე ზრუნვა მხოლოდ პატივისცემას იწვევს. ალბათ, უკვე ერთად ცხოვრობთ, ტესტი კი ისე, ცნობისმოყვარეობის გამო შეავსეთ.

*გ.თ.*